ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008
დარჩა 57 დღე

№ 137 (12 513) 12 ივნისი ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



IRB NATIONS CUP Bucharest 2008

## ამ თამაშის წაგება როგორ შეიძლებოდა?!

რაგბი. IRB. ერთა თასი »»» 13

## სანახაობაც და პრაგმატიზმიც

ევრო 2008. პირველი ტურის შეჯამება »»» 10

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

**დღეს**

**B ჯგუფი**

კლაგენფურტი

ხორვატია-გერმანია 20:00

**B ჯგუფი**

ვენა

ავსტრია-პოლონეთი 22:45

## ბილიჩი: შეტევა, შეტევა და მხოლოდ შეტევა



B ჯგუფი »»» 6

# პორტუგალია

## პირველი მეოთხედფინალისტია





## თურქეთი და ჩეხეთი ჯგუფის ფინალია, შვეიცარია გავარდა

A ჯგუფი »»» 5



# არაგონესმა ტორესს თითი დაუქნია

ევრომამბები »»» 7-9

## რატომ გაბრაზდა ელ ნინიო?

უკანასკნელ საათს

## სკოლარი ჩელსიში დაინიშნა

ვრცლად ხვალინდელ ნომერში



დინამო

# ვანაძე ერთ თვეში დაბრუნდება



მათე ვანაძე

თბილისის "დინამოს" 19 წლის თავდამსხმელი **მათე ვანაძე** მოედანს მხოლოდ ერთ თვეში დაუბრუნდება - ესეც საუკეთესო შემთხვევაში.

*"ერთ თვეში, შეიძლება, ვარჯიში განვაახლო, ესეც საუკეთესო შემთხვევაში. ისეთი მძიმე ტრავმა მივიღე, უფრო ადრე მოედანს ვერ დავუბრუნდები. ასე რომ, სეზონისთვის მოსამზადებელ ეტაპსაც გამოვტოვებ და ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპსაც"*, - გვითხრა ვანაძემ.

მისი არყოფნა ლიგის პირველი ეტაპის მატჩებში თბილისის "დინამოსთვის" დიდი დანაკლისი იქნება. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელმა მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეში ითამაშა, 9 ბურთი გაიტანა და "დია 2008-ის" ერთ-ერთი ნომინაციის, "წლის აღმოჩენის" გამარჯვებული გახდა.

მათე დასრულებული ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში, თბილისის "ლოკომოტივთან" შეხვედრის პირველ ტაიმში დაშავდა, მუხლის გვერდითა იოგი გაუწყდა და ოპერაცია დასჭირდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ლოკომოტივმა მერანელები დაიმატა

## ბათიაშვილი უმაღლესში აღადგინეს

თბილისის "ლოკომოტივს" ძალიან მალე ინტერტოტოს გათამაშებაში ელის გამოცდა. 21 ივნისს თბილისური კლუბი ლუქსემბურგის "ეტცელას" ესტუმრება, ერთ კვირაში კი განმეორებითი თამაში ელის შინ.

თბილისელებმა უკვე მოახერხეს ლიდერების ნაწილის დატოვება. კლუბის პრეზიდენტ **ლექსო თოფურიას** თქმით, "ლოკომოტივს" ინტერტოტოზე **რატი ალექსიძე** და **ვიტალი დარასელია** დაეხმარებიან. თბილისის "დინამოდან" კლუბმა ახალგაზრდა, პერსპექტიული ნახევარმცველი **ირაკლი ჩირიკაშვილი** დაიმატა. ირაკლი ბოლო სეზონი განათხოვრებით თამაშობდა ჯერ "ცხინვალში", მერე კი "ბორჯომში".

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ **ლევან ცქიტიშვილს**, მისი მომავალი ნავსაყუდელი ჯერ კიდევ უცნობია. ლექსო თოფურიას თქმით, ლევანი უკრაინაში იყო – რატომ და რა მიზნით, არაა ცნობილი. როგორც შევიტყვეთ, ცქიტიშვილი თბილისში დაბრუნდა, მაგრამ ითამაშებს თუ არა "ლოკომოტივში", ჯერ კიდევ გაურკვეველია.

გუნდის უფროსის, **ირაკლი ჩოთალიშვილის** თქმით, „ლოკომოტივიდან" წავიდნენ მეკარე **მიხეილ ალავიძე**, რაზეც "ლელო" უკვე იუწყებოდა. აგრეთვე, თავდამსხმელი **გიორგი ალავერდაშვილი**, რომელსაც დიდი ხანია უცხოეთში წასვლა სურს. გუნდი დაემშვიდობა **ქუცურუასა** და **ნიკოლაიშვილს**.

რაც შეეხება მატებას, ყველაზე მნიშვნელოვანი "მერანიდან" იჯარით დამატებული ფეხბურთელები არიან – მეკარე **დგებუაძე**, **სარალიძე**, **გრიგალაშვილი** და მეკარე **ზურაბ ბათიაშვილი**, რომელმაც გასული ჩემპიონატის მეორე წრე პირველი ლიგის "გაგრაში" ითამაშა.

**მერაბ მამულაშვილი**

შენ რას ფიქრობ, კოლეგა. ევრო 2008

# კლასი მაღალია, ტემპი და აზროვნება სწრაფი

## უხეშობამ იკლო, ბრძოლამ არა

ვაგრძელებთ რუბრიკას, რომლიდანაც ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე ჩვენი კოლეგების აზრს შეიტყობთ.

როგორც წინა ნომერში, ამჯერადაც ტრადიციულ სამ შეკითხვას ჩვენმა ოთხმა კოლეგამ უპასუხა.

**1. რითი განსხვავდება ევრო 2008, კონტინენტის წინა ჩემპიონატებისგან?**

**2. ბომბარდირობაზე რომელი სამი ფეხბურთელია თქვენი ფავორიტი?**

**3. გამარჯვებულის ან საბოლოო ოთხეულის თქვენეული პროგნოზი...**

**ალეკო კაკაურიძე ("ოლიმპი"):**

1. ერთი რამ აშკარად თვალშისაცემია, უხეშობა შემცირდა. არბიტრები ყვითელ ბარათებს მხოლოდ იმიტომ იყენებენ, რომ თამაშის სადავეები ხელიდან არ გაექცეთ. ეს და სხვა ფაქტორები კი იმაზე მეტყველებს, რომ ფეხბურთის საერთო სახე შეიცვალა, უხეშობამ და საერთოდ ხისტმა თამაშმა იკლო, ბრძოლამ კი - არა.

ერთსაც ვიტყოდი, მიმდინარე ჩემპიონატს წინა პირველობებისგან განსხვავებით კიდევ ერთი ტენდენცია ახასიათებს - უმეტესად ის გუნდები იგებენ მატჩებს, რომლებიც ფიზიკურად უკეთ არიან მომზადებულები. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ჰოლანდიის ნაკრებია.

2. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დავიდ ვილიასა და ლუკას პოდოლსკის უკვე აქვთ ფორა, მათ დავასახელებდი. მესამედ კი კრიშტიანუ რონალდუს. მჯერა, ეს ფეხბურთელი ევრო 2008-ზე გაიბრწყინებს.

3. პორტუგალიას ვგულშემატკივრობ და ჩემპიონად მას დავასახელებდი. მომდევნო სამ გუნდად კი ესპანეთს, საფრანგეთსა და ხორვატიას.

**პაატა გამცემლიძე ("ოლიმპი"):**

1. ბევრად უკეთესი, მაღალი დონისა და საინტერესო ჩემპიონატია. ევრო 2008, ხეირიანად ჯერ არ გახურებულა და უკვე აშკარად სჯობს 4 წლის წინათ ჩატარებულ პირველობას. მაშინ საბერძნეთი დაეუფლა ოქროს მედლებს. ვფიქრობ, ახლა საბერძნეთის ნაკრებზე უკეთესი ჩემპიონი გვეყოლება.

2. უპირველესად დავიდ ვილიასა და ლუკას პოდოლსკის დავასახელებდი. ამასთან, მჯერა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირი, მიროსლავ კლოზე ამ პირველობაზეც თავის სიტყვას იტყვის.

3. გერმანია, საფრანგეთი, ხორვატია, შვედეთი.

**ვაჟა ქუნთელია (11X11):**

1. მიმდინარე ჩემპიონატზე უფრო სწრაფი ტემპია. გუნდები გაცილებით მაღალი კლასითა და სწრაფი აზროვნებით გამოირჩევიან.

2. ბომბარდირთა სამეული? დავიდ ვილია, ლუკას პოდოლსკი და ფერნანდო ტორესი.

3. ჰოლანდია, პორტუგალია, ესპანეთი, გერმანია.

**მიხეილ აბაიშვილი ("24 საათი"):**

1. ამ და ევროპის წინა ჩემპიონატებს შორის სხვაობა თანდათანობით უფრო გამოჩნდება. მეორე ტურის მატჩები ახლა დაიწყო, მაგრამ უკვე შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება.

ლეო ბეენჰაკერმა პრესასთან საუბარში აღნიშნა, რომ ტოტალური ფეხბურთის დაბრუნება იწყებაო და ამ მწვრთნელს ვეთანხმები. თუმცა ტოტალური ფეხბურთის ელემენტები ჯერჯერობით, ჰოლანდიის ნაკრებმა წარმოაჩინა. ასევე კარგ ფორმაშია პორტუგალია. ჩეხეთმაც უკეთ ითამაშა... ვფიქრობ, გუნდები, რომლებიც პირველ ტურში სათანადოდ ვერ წარმოჩნდნენ, გააქტიურდებიან.

ჩემი აზრით, ამ ჩემპიონატში გამძლეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება. ევრო 2008-ს ის გუნდი მოიგებს, რომელიც ფიზიკურად უკეთაა მომზადებული, ძალა და ენერგია ვისაც ბოლომდე გაჰყვება.

2. ესპანეთის სასტარტო მატჩის შემდეგ, ბომბარდირთა პრეტენდენტებში დავიდ ვილია რომ არ დავასახელო, მართალი არ ვიქნები. ესპანელი მეგოლის გარდა ბომბარდირთა პრეტენდენტებში კრიშტიანუ რონალდუსა და კარიმ ბენზემას დავასახელებდი.

3. საბოლოო ოთხეული? ჰოლანდია, საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია.

**დავით ცაბაძე**

# ქართველ ახალგაზრდას სპარტაკში გასინჯავენ

## ბრაზილიელები საქართველოში აღარ ჩამოდიან

**გოჩა ალადაშვილმა** დრო გამონახა და საქართველოში მცირე ხნით ჩამოვიდა. ბრაზილიურ კლუბ "სენტრალის" ქართველი მწვრთნელი სამხრეთამერიკელების ნატურალიზაციასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს.

**- მრავალჯერ გამოითქვა მოსაზრება საქართველოს ნაკრებში უცხოელთა ნატურალიზაციის თაობაზე, ხმა რომ მიგინვდებოდეთ ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, რომელიმე მოთამაშის ნატურალიზაციას შესთავაზებდით?**

- რატომაც არა? იქ ისეთი ბიჭები ვერ ხვდებიან ნაკრებში, გული დაგწყდება. ამჟამად პირველი ლიგის კლუბ "სენტრალში" ვმუშაობ და ბევრი ძლიერი და რაც მთავარია, ახალგაზრდა ფეხბურთელი გავიცანი. მაგალითად, არის 19 წლის შემტევი ნახევარმცველი ფერნანდო. საქართველოს მოქალაქეობა რომ მისცენ, ჩვენს ნაკრებს უდიდეს სამსახურს გაუწევენ. "სენტრალში" ასეთი კიდევ რამდენიმე ბიჭი მეგულება. არის 18 წლის თავდამსხმელი, საყრდენი ნახევარმცველი, მოკლედ, დაფიქრება შეიძლება.

**- მართალია, რომ რუსები და უკრაინელები ვიეირას დონის ფეხბურთელებში ქართულ კლუბებზე ათჯერ მეტ თანხას იხდიან?**

- რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ბრაზილიაში ქართული კლუბების ინტერესს მე ვიცავ, რუსები კი მეორე და მესამე პირის დახმარებით გადიან საინტერესო მოთამაშეებზე.

მე "ზესტაფონს" ერთგვარი საჩუქარიც გავუკეთე, როდესაც ვიეირა ჩამოვიყვანე. დამიჯერეთ, მისი ხელფასი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც რუსები და უკრაინელები იხდიან. მათ დიდი ფულიც აქვთ და არც ენანებათ.

**- უახლოეს პერიოდში, რომელიმე ქართულ გუნდში ხომ არ ჩამოდიან ბრაზილიელები?**

- სამწუხაროდ, ეს უკვე დღითიდღე რთულდება. თუკი ადრე იოლად თანხმდებოდნენ, ახლა ხელფასები ბრაზილიაშიც გაიზარდა. მაგალითად, ჩვენს კლუბში საშუალო დონის ფეხბურთელს 2000 დოლარს უხდიან და საქართველოში 1500 დოლარზე რატომ წამოვა?

ქართული კლუბების მდგომარეობა როგორიცაა, თავადაც მშვენივრად იცით.

**- როგორც გვახსოვს, "სენტრალში" თავდამსხმელი თორნიკე ხაჩიძე ვარჯიშობდა. ამ ბიჭს რა ბედი ეწია - კლუბში დარჩა თუ საქართველოში დაბრუნდა?**

- დროებით საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ უახლოეს პერიოდში რუსეთში გაემგზავრება.

**- რომელიმე რუსულ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა?**

- ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მალე ასე მოხდება. თორნიკე მოსკოვის "სპარტაკის" დუბლებში უნდა გასინჯონ.

ის მაღალი და ჯანიანი თავდამსხმელია. წარმოიდგინეთ, ბრაზილიაში არ დაიკარგა და არა მგონია, "სპარტაკში" ვერ მოაწონოს თავი. ისე კარგად იხსნება და მოძრაობს, რომ ბრაზილიელებს მოაწონა თავი. თუმცა რუსეთში ბედის ცდა თავად ამჯობინა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ცხადაძის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა

*"კახა ცხადაძე კვლავაც ბაქოს "სტანდარდის" მთავარი მწვრთნელი იქნება. კლუბის ხელმძღვანელობასა და ცხადაძეს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები შედეგიანად დასრულდა და ქართველი მწვრთნელი პოსტს არ დატოვებს"*, - ეს ცნობა გუშინ აზერბაიჯანულმა სააგენტოებმა გაავრცელეს.

თუმცა, როგორც გავიგეთ ინფორმაცია ჯერ კიდევ არაა საბოლოო, **კახა ცხადაძის** საკითხი ჯერჯერობით კვლავ ღიაა.

*"კახა ბაქოშია და კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აგრძელებს, საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. ყველაფერი საბოლოოდ ამ დღეებში გაირკვევა"*, - გვითხრეს გუშინ თბილისში, ცხადაძეების ოჯახში დაკავშირებისას.

**დავით ცაბაძე**

# ჭელიძე ნეფთჩისთვის აფრიკელებს გაეჯიბრება

ფორვარდი **გიორგი ჭელიძე** მალე ბაქოს ეწვევა და ადგილობრივ "ნეფთჩიში" ტესტირებას გაივლის. ეს ცნობა, გუშინ, აზერბაიჯანულმა სააგენტოებმა გაავრცელეს. "ნეფთჩიში" გადასვლის შემთხვევაში მას იქ **გიორგი ადამია** დახვდება, რომელმაც ბაქოურ კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა.



გიორგი ჭელიძე

*"შესაძლოა ბაქოს "ნეფთჩი" კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელით გაძლიერდეს. ფორვარდი გიორგი ჭელიძე მალე აზერბაიჯანის დედაქალაქში ჩამოვა და რამდენიმე დღის განმავლობაში "ნეფთჩიში" ივარჯიშებს. ჭელიძეს გუნდის მთავარი მწვრთნელი ანატოლი დემიანენკო დააკვირდება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მერე მიიღებს"*, - წერს ვებგვერდი "აპა სპორტი".

იქვე მოგვიანებით **ანატოლი დემიანენკოს** კომენტარიც გამოქვეყნდა:

*"ჩვენ შემტევი სტილის ფეხბურთელი გვჭირდება და სამი ვარიანტი შემოგვთავაზეს. ერთი ქართველი თავდამსხმელი გიორგი ჭელიძეა, რომელიც კონტრაქტით მოსკოვის "ლოკომოტივს" ეკუთვნის. დანარჩენი ორიდან კი ერთი კამერუნელია, მეორე - ნიგერიელი. სამივე ფეხბურთელი ჩამოვა, დავაკვირდებით და რომელიც მოგვეწონება დავიტოვებთ"..*

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 46 32 62**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# დევდარიანი ორჰუსში მიდის

რუსთავის "ოლიმპისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემტევი შუახაზელი **დავით დევდარიანი**, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 31 მაისს პორტუგალიასთან ჰქონდა დებიუტი, უცხოეთში მიდის - თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დევდარიანი დანიის სუპერლიგის "ორჰუსში" გადავა.

აწოწილი, რბილი მანერით მოთამაშე ტექნიკური პლეი მეიკერი – დევდარიანი 2007-08 წლების სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა გამოდგა. მას ძალიან სხარტი გონება აქვს, ძალისმიერ ორთაბრძოლებში კი ჯერ საუკეთესო ნამდვილად არ არის. როგორც უნდა იყოს, დევდარიანი ნიჭით გამორჩეული ფეხბურთელია და წინსვლისთვის ევროპაში წასვლა მისთვის ალბათ, აუცილებელია.

დევდარიანს "ორჰუსში" წასასვლელად "ფონდი არველაძე" ეხმარება. ის თვის ბოლოს უნდა მივიდეს "ორჰუსში" და რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ მისი ამ გუნდში ჩარიცხვა პრობლემა არ უნდა იყოს. განვლილ სეზონში დანიის თორმეტგუნდა სუპერლიგაში "ორჰუსი" მეათე ადგილზე გავიდა. დევდარიანისთვის "ორჰუსი" ტრამპლინი უნდა გამოდგეს ევროპის რომელიმე ელიტურ ლიგაში გადასასვლელად – ასეთია ჩანაფიქრი.

დავით თავართქილაძე

# ჩაირიცხება თუ არა ბეგლარიშვილი აიაქსში?

## ფრანკ დე ბურს ევროკავშირი ადარდებს



ზაქარია ბეგლარიშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

17 წლის ქართველი ნახევარმცველი **ზაქარია ბეგლარიშვილი** გაზაფხულზე "აიაქსის" ახალგაზრდულ გუნდში გასინჯეს და მოეწონათ. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი მას შემდეგ ჰოლანდიის ვიზის მოლოდინშია.

მიზეზთა გამო, დაგვიგვიანდა ამ თემის შესახებ საინტერესო კომენტარის გამოქვეყნება, რომელიც **ფრანკ დე ბურისგან** ჩავიწერეთ. ჰოლანდიის ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს "შერატონ მეტეხი პალასში", არველაძის გამოსათხოვარი მატჩის შემდგომ გამართულ ბანკეტამდე ვესაუბრეთ.

დე ბურის თქმით, ევროკავშირის მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა, ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს პრობლემები შეუქმნა: *"ბეგლარიშვილი ძალიან ნიჭიერი ბავშვია. ის გასინჯეს და თქვეს, რომ გარკვეული ვარჯიშების შემდეგ, "აიაქსის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პერსპექტივა უდავოდ გააჩნია. თუმცა სერიოზულ პრობლემას ვიზის გაცემის პროცედურა ქმნის. ბეგლარიშვილს შეუძლია ჩამოვიდეს, ჩვენთან ივარჯიშოს, ამხანაგური მატჩები გამართოს, მაგრამ ჯერ "აიაქსის" დუბლებში გამოსვლის უფლებას არავინ მისცემს. მე არც ვიცი, ეს პრობლემა სწრაფად როგორ შეიძლება მოგვარდეს. თუმცა "აიაქსი" ამ საკითხზე მუშაობს".*

ფრანკ დე ბური "არველაძეების ფონდის" პარტნიორია და სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრა: *"ჩვენ გვსურს, რომ ნიჭიერი ქართველი ბავშვები უცხოეთში წავიყვანოთ. თუკი მოწინავე ევროპულ ლიგებში რამდენიმეს მაინც მოვაწყობთ, ეს იქნება ქართული ფეხბურთისთვის წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ვფიქრობთ ამ საკითხზე და მომავალშიც შევეცდებით, ბეგლარიშვილის მსგავსად, წარმატებულ კლუბებს უცნობი ტალანტები გავაცნოთ."*

მერაბ მამულაშვილი

# რუბინმა ამხანაგური წააგო

რუსულ პრემიერლიგაში პაუზაა და გუნდები სეზონის მეორე ნაწილისთვის ემზადებიან. ყაზანის "რუბინი" რამენსკოეს ეწვია და "სატურნთან" ამხანაგური მატჩი გამართა. შეხვედრა მასპინძლებმა 2:1 მოიგეს.

ყაზანელთა რიგებში ორმა ქართველმა ითამაშა. ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი **დავით კვირკველია** სასტარტო შემადგენლობაში იყო და მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა, მცველი **ლაშა სალუქვაძე** კი მეორე ნახევრიდან ჩაერთო თამაშში. რამენსკოელებმა ორივე გოლი შესვენებამდე გაიტანეს. მეორე ტაიმში კი ყაზანელებმა ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს.

დღეს, 12 ივნისს "რუბინი" მოსამზადებელ შეკრებაზე ავსტრიაში გაემგზავრება. ჩვენებურთა გუნდი ავსტრიაში 26 ივნისამდე დაჰყოფს და რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს, თუმცა სპარინგ პარტნიორთა ვინაობა არაა დაკონკრეტებული.

დავით ცაბაძე

სტაჟირებაზე არგენტინაში
**თქვენ დელგადო გიწვევთ!**

ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი **ედუარდო დელგადო** იწვევს 17-18 წლის ასაკის, პერსპექტიულ ფეხბურთელებს: ორ მეკარეს, ორ თავდამსხმელს, მარჯვენა და მარცხენა მცველსა და ნახევარმცველს სტაჟირებაზე 1-2 წლით არგენტინაში.

ფეხბურთელები სათანადო დონეზე მომზადების შემდეგ, დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში. მომზადების პროცესში შედის ამხანაგური მატჩები არგენტინის კლუბებთან.

სტაჟირების, აგრეთვე სხვა ხარჯებს გაიღებენ მსურველები ან მათი სპონსორები.

30 ივნისამდე, გამგზავრებამდე მსურველებს გაკვეთილები ჩაუტარდებათ ესპანურ ენაში. გასაუბრება და დაწვრილებითი ცნობები10 ივნისიდან ყოველდღე, კვირის გარდა.

*ლეონიძის (ყოფილი კიროვის) ქუჩა №4 (თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე) 12-დან 14სთ-მდე. ტელეფონი: 8 99 23 55 20*

ქართულ-არგენტინული საფეხბურთო კლუბი GEHARG-ის წარმომადგენლობა საქართველოში

ბავშვთა ფეხბურთი

# ოლიმპი: პირველად...

მისასალმებელია, როცა ცალკეულ ფირმებსა და კომპანიებს თავისი წვლილი შეაქვთ სპორტის განვითარებაში. ამ მხრივ ჩვენში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა, რაც თანდათან ღრმავდება. სამაგალითოდ დავასახელოთ თუნდაც "კოკა-კოლა", "პეპსი", "ყაზბეგი", "მაგთი", "ჯეოსელი", სხვათა ქველმოქმედება.

სამშენებლო კომპანია "მოდული" ერთ-ერთია მათ შორის, ვინც მოზარდთა საფეხბურთო ტურნირებს ატარებს. "მოდულის თასი" 14-წლიანთა შორის ამ ფირმამ ამჯერად მესამედ გაათამაშა. ორი ტურნირი შარშან ჩატარდა და ორივე "ნორჩი დინამოს" ფეხბურთელებმა მოიგეს. ახლა 10 გუნდს შორის გამარჯვებული გამოვიდა "ოლიმპი-I" (მწვრთნელები **გურამ** და **ლევან გვანცელაძეები**), რომელიც ფინალში ამავე საფეხბურთო სკოლის მეორე გუნდს შეხვდა და 2:1 მოუგო. მესამე ადგილზე 35-ე საფეხბურთო სკოლა გავიდა.

ტურნირის ჩატარებას ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ხელმძღვანელობდა.



მოდულის თასის გამარჯვებული ოლიმპი I გახდა

# ცეცხლთან თამაში

## ფრინგსი და აბადოკი





გახსოვთ ალან პარკერის "კედელი"? ეს ისეთი შესანიშნავი ფილმია, სადაც პინკფლოიდური სიჩუმეც კი მეტყველია. სიჩუმე მეტყველი იყო "დია 2008"-ზეც, როცა სეზონის საუკეთესო მწვრთნელად არც ჩემპიონი და არც თასის მფლობელი გუნდის დემრიგებელი არ დაასახელეს. დუშან უჰრინსა და თემურ მახარაძეს ჟურნალისტებმა მეორეადგილოსანი "ვიტ ჯორჯიას" თავკაცი რამაზ მუმლაძე ამჯობინეს. ამ ლაურეატის გამოცხადების შემდეგ დარბაზში რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა – ზოგი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, ზოგისთვის კი ჟურნალისტთა გამოკითხვის ასეთი შედეგი გაუგებარი დარჩა.

მაინც, რატომ მოხდა ასე? ყველაზე კარგად ეს "დინამოში" და "ზესტაფონში" იციან, დანარჩენებს კი ჯერ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეუძლიათ. გენერალური პროკურატურიდანაც ჯერ არ ჩანს ცნობები, თუ რომელ გუნდს უმტკიცდება გარიგებულ მატჩებში მონაწილეობა. მანამდე კი თქვენი ნებაა, დაეთანხმებით თუ არა ჟურნალისტთა გამოკითხვას.

არც თუ უტყვი სიჩუმეა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშიც. ფოლკერ ფინკე საქართველოდან სატელეფონო ზარს ელის, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციიდან დუმილია. სამაგიეროდ, მძლავრი პიარკამპანიაა პეტარ სეგრტისთვის, საქმე იქამდეც კი მივიდა, სეგრტი აქეთ თხოულობს საგაზეთო ინტერვიუს. ვინ უნდა იყოს სეგრტის წამქეზებელი თუ არადა ფეხბურთის ფედრაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი?

არ ვურეკავ ფინკეს, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის არც სხვა კანდიდატს, ვუცდი მოვლენების განვითარებას და ვაკვირდები საზოგადოების აზრს სეგრტზე- ასეთი სიტუაცია ხეირს ალბათ არ მოგვიტანს. მანჰაიმის "ვალდჰოფზე" ცნობილ კლუბში სეგრტს არ უმუშავია, იქაც თინეიჯერების მწვრთნელი იყო. სკაუტობაში განაფული პეტარი კარგად ყვირის ვარჯიშებზე თუ თამაშის დროს, შედეგი კი ჯერ დიდად მოსაწონი არ აქვს არც ახალგაზრდულ ნაკრებში და არც - ეროვნულში.

მაგრამ, დახეთ, რა ქათინაურები უძღვნეს სეგრტს ჩვენი სასახელო ნაკრების ფეხბურთელებმა. ის კარგი ტაქტიკოსია, მუყაითია, გამჭრიახია, მოტივირებულია, დისციპლინის მოყვარულია...

თქმა არ უნდა, ფეხბურთელების აზრი ერთობ ყურადსაღებია, მაგრამ გახსოვთ ოდესმე ჩვენი ნაკრების ფეხბურთელს გუნდის ახალ მწვრთნელზე ეთქვას, მთლად კარგი სპეციალისტი არ ჩანსო? გახსოვთ, ოდესმე ჩვენს ნაკრებს ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ებრძოლოს? გახსოვთ, ოდესმე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს ეთქვას, ჩვენი მწვრთნელი ნაკრებს მერკანტილური მიზნებისთვის იყენებსო?

ახლა ევროპის ჩემპიონატია და თუ კარგად დააკვირდები, საინტერესოს ბევრს დაინახავ. "ბილდის" მესვეტე მარიო ბასლერმა ევროპის ჩემპიონატამდე თქვა, ტორსტენ ფრინგსი აბადოკზე და გრძელ თმებზე ხელს რომ წაივლებს, გოგოს ჰგავს, მაგრამ ბრძოლის ველზე მრისხანე კაციაო. აბადოკიანი ბიჭები ჩვენც გვყავს ნაკრებში, თუმც მათ ვერც გოგოს მიამსგავსებ და ვერც მრისხანე მეომრებს. გერმანიამ პოლონეთს რომ მოუგო, გრძელთმიანი და აბადოკიანი ფრინგსი ყოჩივით, მედიდურად დარბოდა მოედანზე , უწყრებოდა კიდეც თანაგუნდელებს, შეტევაში გაჭრილს ბურთი რატომ არ მომაწოდეთო. სიტყვით ალბათ,



შეუძლებელია ყველაფრის მთელი სისავსით გადმოცემა, ფრინგსის დარი ფეხბურთელი კი მართლა ვინატრე საქართველოს ნაკრებისთვის.

ამასობაში, "დინამო თბილისს" ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. რაინერ ცობელს სხვადასხვა ქვეყანაში უმუშავია და იშვიათად, რომ ასეთი მწვრთნელი ზარმაცი და დაუდევარი იყოს. "დინამომ" ჩემპიონთა ლიგის შესარჩევში უნდა ითამაშოს და მოკლე დროში ცობელს ალბათ, ძალიან გაუჭირდება რაღაცის შეცვლა. "დინამოს" მწვრთნელთა ხშირი ცვლა დასჩემდა, რაც კიდევ ერთხელ არის იმის მანიშნებელი, რომ არ ჩანს მკაცრად განსაზღვრული საკლუბო პოლიტიკა. უჰრინი "დინამოში" მხოლოდ იმისთვის მიიყვანეს, რომ გუნდი ორწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ჩემპიონი გამხდარიყო?

სეგრტის ამბავი კი ცეცხლთან თამაშს ჰგავს. ავანტიურისტული ფეხბურთია კარგი, თორემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. სეზონის შეჯამება. დინამო

# დაბრუნებული ოქრო და ახალი ევროსამიზნე

## დინამო

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| დილმელაშვილი | 26 | 26 | 1 | 3 | - |
| ხმალაძე | 25 | 25 | 3 | 4 | - |
| ხუციშვილი | 25 | 23 | 16 | 5 | - |
| შ. კაშია | 24 | 24 | - | 3 | - |
| ოდიკაძე | 24 | 15 | 3 | 1 | - |
| ზელიჩი | 23 | 23 | - | 3 | - |
| სპასოევიჩი | 23 | 9 | 9 | 3 | - |
| კრშკო | 22 | 22 | - | 3 | - |
| ოვონო (მეკ.) | 22 | 22 | -13 | 4 | - |
| აკირემი | 22 | 20 | 10 | 2 | 1 |
| გ. მერებაშვილი | 21 | 20 | 12 | 4 | - |
| დობეში | 16 | 15 | - | 2 | - |
| გ. კაშია | 16 | 9 | 1 | 2 | - |
| ვაწაძე | 13 | 8 | 9 | 4 | - |
| კობახიძე* | 11 | 3 | 2 | 1 | - |
| გველესიანი | 9 | 8 | - | 1 | - |
| ფირცხალავა | 9 | 1 | - | - | - |
| ფეიქრიშვილი* | 8 | 4 | - | - | - |
| ნერგაძე** | 6 | 2 | - | - | - |
| თომაშვილი | 6 | 1 | - | - | - |
| ლორია (მეკ.) | 4 | 4 | -5 | - | - |
| ძანთარია | 2 | 1 | - | - | - |
| შ. გრიგალაშვ.** | 1 | 1 | - | 1 | - |
| ნ. ჯიშკარიანი | 1 | - | - | - | - |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| *1. დინამო* | *26* | *23* | *1* | *2* | *67-18* | *70* |
| 2. ვიტ-ჯორჯია | 26 | 19 | 3 | 4 | 45-14 | 60 |
| 3. ზესტაფონი | 26 | 18 | 5 | 3 | 56-16 | 59 |
| 4. ოლიმპი | 26 | 16 | 4 | 6 | 26-16 | 52 |
| 5. ამერი | 26 | 15 | 3 | 8 | 48-27 | 48 |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| 7. მგლები | 26 | 10 | 3 | 13 | 27-33 | 33 |
| 8. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 32 |
| 9. ბორჯომი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-39 | 31 |
| 10. ლოკომოტივი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-35 | 27 |
| 11. სპარტაკი | 26 | 5 | 8 | 13 | 15-28 | 23 |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| 13. ბათუმი | 26 | 4 | 4 | 18 | 16-51 | 16 |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |

სეზონის სტარტზე "დინამო" ვენის "რაპიდთან" განადგურდა, მაგრამ მალევე მოიკრიბა ძალები და შიდა ასპარეზზე თავისი უპირატესობის დამტკიცებას შეუდგა. მთელი ქართული სეზონი დუშან უჰრინის გუნდმა სტაბილურად, მინიმალური დანაკარგებით ჩაატარა და სამწლიანი პაუზის შემდეგ, ქვეყნის ჩემპიონობა დამსახურებულად იზეიმა.

"დინამოს" წარმატება, უპირველეს ყოვლისა, სტაბილურობამ განაპირობა. გუნდს სეზონის განმავლობაში ერთი სერიოზული ჩავარდნაც არ ჰქონია. შედარებით რთული პერიოდი "დინამოს" მიმდინარე წლის დასაწყისში ჰქონდა, როცა მეორე წრის სტარტზე "ოლიმპთან" საშინაო მარცხს თასის მეოთხედფინალში "სპარტაკთან" ბეწვზე გადარჩენა მოჰყვა. ჩემპიონატში კი უჰრინის გუნდს დაგეგმილი ქულები თითქმის არ დაუკარგავს, კარგად გამოიყურებოდა კონკურენტებთან ჭიდილშიც. ცხრილის ზედა ნაწილის გუნდებთან "დინამოს" უარყოფითი ბალანსი მხოლოდ "ვიტ ჯორჯიასთან" აქვს, "ზესტაფონსა" და "ამერს" კი შინაც სძლია და სტუმრადაც.

დუშან უჰრინმა თავისი სამწვრთნელო კარიერა საქართველოში დაასრულა. კლუბმა სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაიბრუნა ნანატრი ტიტული. აქვს თუ არა "დინამოს" საგრძნობი პროგრესი, ამას ისევ და ისევ ევროტურნირები გამოაჩენს. დედაქალაქელები ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოემზადებიან, სადაც განთესილები არიან და თუ წილისყრაში გაუმართლათ, მეორე ეტაპზე გასვლის დიდი შანსი ექნებათ.

გუნდი კი, როგორც იცით, გერმანელ რაინერ ცობელს მიანდეს, რომელსაც პირველი დინამოური გამოცდის ჩაბარება სწორედ ევროსარბიელზე მოუწევს.

### საუკეთესო მატჩი

მეორეადგილოსან "ვიტ ჯორჯიასთან" "დინამო" ვერ ბრწყინავდა, სამაგიეროდ, "ზესტაფონსა" და "ამერთან" ოთხივე შეხვედრაში გუნდმა დამაჯერებლად გაიმარჯვა.




დინამომ კიდევ ერთი ჩემპიონობა იზეიმა



ახალი სეზონიდან დინამოელებს გერმანელი ცობელი გაწვრთნის




### ყველაზე ცუდი მატჩი

"დინამომ" ჩემპიონატის ორივე შეხვედრა საკუთარ მოედანზე წააგო. "ვიტ ჯორჯიამაც" და "ოლიმპმაც" ეროვნულ სტადიონზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და მომავალ ჩემპიონს დამსახურებულად სძლიეს.

### პლუსი

კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს "დინამოს" სტაბილურობას. მდევრებისგან ჩემპიონები სწორედ ამით გამოირჩეოდნენ.

### მინუსი

დაცვის რგოლში "დინამოს" გარკვეული პრობლემები ჰქონდა, ეს პირველ რიგში, ფლანგებს ეხება.

### რჩეულნი

ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ქართულმა სპორტულმა გამოცემებმა და პროფლიგამ **გიორგი მერებაშვილი** დაასახელეს. "დინამოში" სხვებიც გამოირჩეოდნენ – ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირი **მიხეილ ხუციშვილი**, მეკარე **დიდიე ოვონო**, ცენტრალური მცველი **მილოშ კრშკო**, მარჯვენაფლანგელი **დავით ოდიკაძე**. გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ასევე **დავით დილმელაშვილმა, ჟორჟ აკირემიმ, მათე ვაწაძემ**...

### აღმოჩენა

**მათე ვაწაძეზე** ცალკეც უნდა ვთქვათ. გასულ სეზონში პერსპექტიული ფორვარდი გავიცანით. ეს უფრო ადრეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ "დინამოს" ახალგაზრდა თავდამსხმელს ტრავმების გამო დიდი პერიოდი გაუცდა. სამწუხაროდ, იგი ამჟამადაც დაშავებულია. მათემ მეორე წრეში არაერთი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და ალბათ, მომავალ სეზონში კიდევ უფრო მეტს შეძლებს

### ფინანსური მდგომარეობა

თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, "დინამოს" ფინანსური პრობლემები არც მომავალ სეზონში უნდა შეექმნას.

### მიზნები

ევროპაზე დინამოელები, ალბათ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს დაუმიზნებენ, თუმცა ორი ეტაპის გადალახვაც დიდი წარმატება იქნება. ბუნებრივია, "დინამო" საქართველოს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებასაც გეგმავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**I ტური**
ს | ოლიმპი | 2:0
გოლები: აკირემი, ხუციშვილი

**II ტური**
ს | ბორჯომი | 2:1
გოლები: გ. მერებაშვილი, სპასოევიჩი

**III ტური**
შ | მერანი | 3:0
გოლები: სპასოევიჩი, ხუციშვილი

**IV ტური**
ს | სპარტაკი | 3:0
გოლები: აკირემი, სპასოევიჩი, ხაჭიპერაძე (ავტოგოლი)

**V ტური**
შ | სიონი | 3:0
გოლები: გ. მერებაშვილი, აკირემი, ხუციშვილი

**VI ტური**
ს | მგლები | 2:1
გოლები: გ. მერებაშვილი, ხუციშვილი

**VII ტური**
შ | ბათუმი | 7:0
გოლები: აკირემი (2), კობახიძე (2), ხუციშვილი, სპასოევიჩი, ხმალაძე

**VIII ტური**
ს | ამერი | 2:0
გოლები: სპასოევიჩი, ხუციშვილი

**IX ტური**
შ | ვიტ ჯორჯია | 0:1

**X ტური**
ს | მესხეთი | 2:0
გოლები: აკირემი, სპასოევიჩი

**XI ტური**
ს | ლოკომოტივი | 2:1
გოლები: გ. მერებაშვილი (2)

**XII ტური**
შ | დილა | 5:0
გოლები: ხუციშვილი (3), გ. მერებაშვილი (2)

**XIII ტური**
შ | ზესტაფონი | 2:0
გოლები: დილმელაშვილი, ხუციშვილი

**XIV ტური**
შ | ოლიმპი | 1:2
გოლი: გ. მერებაშვილი

**XV ტური**
ს | სიონი | 2:1
გოლები: გ. მერებაშვილი, ვაწაძე

**XVI ტური**
შ | ბორჯომი | 4:2
გოლები: ვაწაძე (2), ხუციშვილი, სპასოევიჩი

**XVII ტური**
ს | მერანი | 2:0
გოლები: გ. მერებაშვილი, ოდიკაძე

**XVIII ტური**
შ | სპარტაკი | 2:1
გოლები: ვაწაძე (2)

**XIX ტური**
შ | მგლები | 1:0
გოლი: გ. მერებაშვილი

**XX ტური**
ს | ბათუმი | 4:1
გოლები: ხუციშვილი (2), ხმალაძე, სპასოევიჩი

**XXI ტური**
შ | ამერი | 2:1
გოლები: ხუციშვილი, ოდიკაძე

**XXII ტური**
ს | ვიტ ჯორჯია | 0:0

**XXIII ტური**
შ | მესხეთი | 5:1
გოლები: აკირემი (3), სპასოევიჩი, ვაწაძე

**XXIV ტური**
ს | ზესტაფონი | 1:0
გოლი: ვაწაძე

**XXV ტური**
შ | ლოკომოტივი | 6:5
გოლები: ვაწაძე (2), ხუციშვილი (2), ხმალაძე, აკირემი

**XXVI ტური**
ს | დილა | 2:0
გოლბი: გ. კაშია, ოდიკაძე

EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაორებული მახვილით მეოთხედფინალისკენ

**A ჯგუფი**

**ჩეხეთი-პორტუგალია 1:3**

ჟენევა. 11 ივნისი

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, უიფალუში, როზენალი, იანკულოვსკი, სიონკო, პოლაკი, მატეიოვსკი (68. ვლჩეკი), გალაშეკი (73. კოლერი), პლაშილი (85. იაროლიმი), ბაროში.

**პორტუგალია:** რიკარდო, ბოსინგვა, პეპე, რიკარდო კარვალიო, პაულო ფერეირა, პეტიტი, დეკუ, მოუტინიო (75. ფერნანდო მეირა), სიმაო (80. კვარეშმა), ნუნუ გომეში (79. უგო ალმეიდა), კრისტიანო რონალდო.

**გოლი:** 0:1 დეკუ (8), 1:1 სიონკო (17), 1:2 კრისტიანო რონალდო (63), 1:3 კვარეშმა (90)

**მაყურებელი:** 30 000

**არბიტრი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 8 (3) | დარტყმა | 16 (13) |
| 16 | ჯარიმა | 15 |
| 6 | კუთხური | 6 |
| 46% | ბურთის ფლობა | 53% |

პორტუგალია პირველია, მეოთხედფინალში რომ გავიდა. ჩეხებზე გამარჯვებით "დიდი ფილის" გუნდმა ერთხელაც დაგვანახა, რას წარმოადგენს - ორი თავისუფალი მხატვრით გაფერადებული ნამუშევარი, რომელსაც სილამაზის გარდა, დამთრგუნველობაც მოსდგამს. **დეკუ** და **კრისტიანო რონალდო** - ეს დუეტი გაორებული მახვილივით ეტაკებოდა ჩეხთა დამცავ ეშელონებს. ცხადია, **კარელ ბრიუკნერს** კარგად ექნებოდა განჭვრეტილი ამ მახვილის ძალა, თუმც თავის გუნდს რიგიანი აბჯარი მაინც ვერ ჩააცვა. **დეკუ-რონალდო-ნუნუ გომეშის** მომნუსხველი კომბინაცია პირველის გოლით დასრულდა და თამაშიც გაიხსნა. ჩეხებმა სივრცეები გახსნეს, შეუტიეს და პორტუგალიელებს კბილიც კარგად გამოსდეს. **მილან ბაროში** და **ლიბორ სიონკო** მოსვენებას არ აძლევდნენ პორტუგალიელ მცველებს. სიონკო ძალიან მახვილი და გაუტეხელი გახლდათ შეტევის მარჯვენა ფლანგზე, ბაროში კი მუდმივად კარზე დაგეშილი. თუ ჩეხეთის ნაკრებს სწრაფი თამაში გამოსდიოდა, პორტუგალიის დაცვას პატარა ნაპრალები უჩნდებოდა.

საგოლე კუთხური სიონკოს ჩაუქობას მოჰყვა - **იაროსლავ პლაშილის** ჩაწოდებულზე ჰაერში გაიწვართა და ანგარიში ეფექტური თავურით გაათანაბრა. ბრიუკნერმა წინა მატჩში უნიათოდ მოთამაშე **იან კოლერი** ბაროშით რომ შეცვალა, გუნდს კი არგო, მაგრამ ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა - თავდასხმას ნახევარდაცვა კარგად ვერ ამარაგებდა, დეკუსა და რონალდოს მეურვეობას ჩეხთა შუა ხაზმა დიდი ჯანი შეალია.

თქმა არ უნდა, პორტუგალია მხოლოდ დეკუ-რონალდო არ არის. **პეპე** და **პეტიტიც** ჩინებულად გაისარჯნენ, **ჟოაო მოუტინიოსგან** კი, ალბათ, ყველა უფრო მეტს ელოდა. ფასდაუდებელია კარგი მეკარის ფაქტორიც. რომ არა **პეტრ ჩეხის** საიმედო თამაში, ვინ იცის, როგორ მოირღვეოდა ბრიუკნერის გუნდი. ჩეხმა რამდენიმე შორეული თუ ახლო დარტყმა მოიგერია და, შეიძლება ითქვას, გაშვებულ გოლებშიც უბრალო აღმოჩნდა.

ჩეხებისგან დამუშავებული ილეთებიც ვიხილეთ - სტანდარტულ სიტუაციებზე მართლაც ბევრი უმუშავიათ ბრიუკნერსა და მის შეგირდებს. მათი ერთ-ერთი კოზირი სწორედ სტანდარტულები იყო, თორემ კომბინაციურ თამაშში ტექნიკურ და სხარტ პორტუგალიელებთან ტოლსწორად ვერ იქნებოდნენ.

შესვენების შემდეგ პირველი ხიფათი ჩეხებმა შექმნეს. ისევ სიონკომ გამოიდო თავი, თუმც მეორე ჯერზე საგოლე შანსი გაუცუდდა. პორტუგალიამ გამოხდომას რამდენიმე მწვავე იერიშით უპასუხა. ბურთის ფლობის ხანგრძლივობაში უპირატესობა პირენეელებს კი ჰქონდათ, მაგრამ ჩეხები მაინც გვარიანად ანერვიულებდნენ მეტოქეს.



...და მატჩის კულმინაციაც - **ტომას უიფალუშის** ძალიან ცოტა დააკლდა, თავურით რომ დაეწინაურებინა ჩეხეთი. ამ მომენტიდან წუთი თუ იქნებოდა გასული, დეკუმ რეტი რომ დაასხა ჩეხთა დაცვას და გამოზომილი პასი დაუგორა რონალდოს, რომელმაც უზუსტესად გააძვრინა ბურთი მცველებში - ისეთი მოსხიპა, მეკარე ამღები არ იყო.

ბრიუკნერმა შეცვლებს მიმართა, ბაროშსა და სიონკოს კიდევ ორი შემტევი მიაშველა: ახმახი კოლერი და ჩაფსკვნილი **სტანისლავ ვლჩეკი**. დასვენებული შემტევებისგან დიდი ენერგიის გადმოფრქვევა ვერ ვიხილეთ.

მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე, სიონკოს თავური **რიკარდომ** კუთხურზე მოიგერია - ჩეხები არ ცხრებოდნენ, მაგრამ პორტუგალიელთა მესამე გოლმა აქეთურიც დააოკა და იქეთურიც - რონალდო ისევ დაუსხლტა დაცვას და **კვარეშმას** ცარიელ კარში გაატანინა.

## მატჩის შემდეგ

**ლუიშ ფელიპე სკოლარი** (პორტუგალია): *"მოწინააღმდეგის შემადგენლობა ჩვენთვის სიურპრიზი იყო. ისეთ თერთმეტეულთან ვგეგმავდით თამაშს, სადაც იან კოლერიც იქნებოდა. მილან ბაროშმა ცხოვრება გაგვირთულა. სირთულეების წინაშე კიდევ იმიტომ აღმოვჩნდით, რომ ორი ფლანგელი გვყავდა, მეტოქეს კი ნახევარდაცვაში სულ ეგულებოდა ოთხი-ხუთი მოძრავი შუახაზელი, რომლებიც ფლანგებზეც გვიზღუდავდნენ სივრცეებს. ბაროში ისეთი ცენტრფორვარდია, მოედნის სიღრმიდანაც რომ თამაშობს... ტურნირის ორივე მატჩში ორი ძალიან კარგი მეორე ტაიმი ვითამაშეთ, ფანტასტიკური ფიზიკური მომზადება გამოვავლინეთ და ბურთთანაც კარგად ვიმუშავეთ. რონალდოსა და სიმაოს, ფლანგების გარდა, შუა ხაზში თამაშიც დავავალე და მათ ზუსტად შეასრულეს ყველაფერი".*

**კარელ ბრიუკნერი** (ჩეხეთი): *"მატჩის საკმაოდ მოზრდილ ნაწილში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ საბოლოოდ დავმარცხდით მეტად ნიჭიერ მეტოქესთან. პირველ ტაიმში დავამტკიცეთ, რომ დაცვაშიც და შეტევაშიც კარგი გუნდი ვართ. დღეს უფრო მეტი საგოლე შანსი გვქონდა, ვიდრე წინა შეხვედრაში შვეიცარიასთან. რამდენიმე ჩვენი ფეხბურთელი მეორე ტაიმში დაიღალა და პორტუგალიამ თითქმის სრულყოფილი კონტრშეტევითი თამაში აჩვენა. შემიძლია დაგპირდეთ, რომ მესამე მატჩს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით".*

დავით თავართქილაძე

# თურქეთისთვის ევროპა ახლა იწყება

**A ჯგუფი**

**შვეიცარია-თურქეთი 1:2**

ბაზელი. 10 ივნისი

**შვეიცარია:** ბენალიო, ლიხტშტაინერი, მიულერი, სენდეროსი, მანინი, ინლერი, ფერნანდესი (76. კაბანიასი), ბეჰრამი, ბარნეტა (66. ფონლანტენი), დერდიოკი, ჰ. იაკინი (85. ჟიგაქსი).

**თურქეთი:** ვოლქანი, ჰამით ალთინთოფი, ემრე აშიქი, სერვეთი, ჰაქანი, მეჰმეთ აურელიო, გიოქდენიზი (46. სემიჰი), არდა, თუმერი (46. მეჰმეთ თოფალი), ნიჰათი (85. კაზიმი), თუნჯაი.

**გოლები:** 1:0 ჰ. იაკინი (32), 1:1 სემიჰი (57), 1:2 არდა (90)

**მაყურებელი:** 39 730

**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 14 (7) | დარტყმა | 8 (4) |
| 22 | ჯარიმა | 24 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |

ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში მხოლოდ და მხოლოდ მეორედ მოხდა ისე, რომ მასპინძელი ჯგუფში ჩარჩა. 2000 წელს ეს ბელგიის ნაკრებს დაემართა, ახლა კი შვეიცარიას. და ძალიან დიდი შანსია, რომ მეოთხედფინალში ვერც მეორე მასპინძელი გავიდეს. ალბათ, არავინ შეგვეწინააღმდეგება, თუ ვიტყვით, რომ შვეიცარიელები გუშინ მინიმუმ ფრეს მაინც იმსახურებდნენ. აპლოდისმენტები თურქეთის ნაკრებს - **ფათიჰ თერიმის** გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, დაუნდობელი სულისკვეთება კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა და მასპინძელი, შვეიცარიის საკმაოდ სიმპათიური გუნდი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

ყველას კარგად გვახსოვს 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი ციკლი. უფრო სწორად, მისი ფლეი-ოფი, სადაც ერთმანეთს შვეიცარია და თურქეთი გადაეყარნენ და ისიც გვახსოვს, რა ამბები ატყდა მაშინ სტამბულში, საპასუხო მატჩის შემდეგ. გვახსოვს თურქების დისკვალიფიკაცია და, თამამად შეიძლება ითქვას, თერიმის გუნდმა გუშინ, შვეიცარიაზე ჯავრი იყარა.

პირველი ტურის მატჩისგან განსხვავებით, შვეიცარიელთა თავკაცმა **კობი კუნმა** თავდასხმის ძირითადი დუეტი ვერ გამოიყენა - **ალექსანდერ ფრაი** და **მარკო შტრელერი** გუნდს ტრავმების გამო დააკლდნენ. კუნმა ისინი **ჰაკან იაკინითა** და **ერენ დერდიუკით** შეცვალა. ლიდერი თურქებმაც მოისაკლისესდაა: დაშავებული **ემრე** სათადარიგოთა სკამზე იჯდა. წინდაწინვე ცნობილი იყო, რომ მატჩი ემოციებით დატვირთული იქნებოდა. მოლოდინი გამართლდა - თავსხმა წვიმაში, ბაზელში, პირველი წუთებიდანვე, სანახაობრივი და დაძაბული მატჩი გაჩაღდა. სველი მინდორის გამო, ხეირიანი კომბინაციების გათამაშება ორივე გუნდს უჭირდა, მაგრამ, რაც მთავარია, იყო ბრძოლა.

შვეიცარიელები საწყის ეტაპზე შედარებით უკეთ გამოიყურებოდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. ყველაზე მეტად იაკინი აქტიურობდა, რომელიც გოლამდე ორჯერ დაემუქრა თურქების კარს და მეკარე **ვოლქან დემირელს** პრობლემები შეუქმნა. მაგრამ თურქეთის ნაკრების კარის დარაჯი ბრწყინავდა. 25-ე წუთზე მან **ბარნეტას** ჯარიმა შესანიშნავ ნახტომში მოიგერია. 29-ე წუთზე თურქებმა კინაღამ ანგარიში გახსნეს, როდესაც **ბენალიოს** "საჩუქრით" **არდამ** ისარგებლა, მაგრამ ბურთი ძელს მოარტყა. ანგარიში კი შვეიცარიელებმა გახსნეს - 32-ე წუთზე, **სენდეროსის** გრძელი პასის შემდეგ, **სერვეთმა** უყურადღებოდ ითამაშა. დერდიუკმა მარჯვენა ფლანგზე რეიდი განახორციელა და გამჭოლი პასით იაკინი მოძებნა, რომელსაც ისღა დარჩენოდა, ვოლქანის კარი დაელაშქრა. სამი წუთის შემდეგ იაკინს მეორე გოლის გატანაც მართებდა, მაგრამ **ბეჰრამის** პასისა და სერვეთის მორიგი შეცდომის შემდეგ, ცარიელ კარს ააცილა.

მეორე ტაიმი თურქეთმა ორი ცვლილებით დაიწყო - თერიმმა მოედანზე **თოპალი** და **შენთურქი** შეუშვა, რომლებმაც თამაში გამოაცოცხლეს. თერიმის ცვლილებებმა გაამართლა - 57-ე წუთზე სემი შენთურქმა ხუთი მეტრიდან თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გოლი შვეიცარიელთა მეკარე ბენალიოს სინდისზეა, რომელსაც ამ დარტყმის მოგერიება მართებდა. თურქების გოლის შემდეგ შვეიცარიელები ძალიან გააქტიურდნენ და მედგრად შეუტიეს. სიტუაცია დაიძაბა, რადგან მასპინძლებს ფრე ხელს არანაირად არ აძლევდათ. 61-ე წუთზე იყო **ლუდოვიკ მანინის** დარტყმა შორი დისტანციიდან - ბურთი კარს მცირე მანძილით ასცდა. სამი წუთის შემდეგ უკვე **თუნჯაიმ** სცადა იგივე დისტანციიდან გაეტანა. 84-ე წუთზე შვეიცარიელებს შესანიშნავი შანსი მიეცათ, მაგრამ **ჰამით ალთინთოფის** უპატიებელი შეცდომით ვერ ისარგებლეს. საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ მატჩი ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე, გამარჯვებული მაინც გამოვლინდა - არდამ 18 მეტრიდან დაამწუხრა **ბენალიო** და მთელი შვეიცარია.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე, შვეიცარიელებს სერიოზული მიზნები ჰქონდათ. კაპიტანი ფრაი ამბობდა, ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთო. ისე, ჩვენც დარწმუნებულები ვიყავით, რომ შვეიცარია გაცილებით უკეთ იასპარეზებდა, ვიდრე ავსტრია. თურქები კი ბრძოლას აგრძელებენ და ბოლო ტურში, ჩეხეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ელით.

## მატჩის შემდეგ

**იაკობ კუნი** (შვეიცარია): *"იმედგაცრუება უდიდესია. 1:0-ის შემდეგ მეორე გოლის გატანაც შეგვეძლო და რომ გაგვეტანა, მოვლენები სხვანაირად განვითარდებოდა. სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. შტრელერი და ფრაი ძალიან დაგვაკლდნენ, მაგრამ ეს არ არის თავის გასამართლებელი საბუთი. გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი, ისინი ჩვენგან გაცილებით მეტს ელოდნენ. ბოლო თამაშს ღირსეულად ჩავატარებთ."*

**ფათიჰ თერიმი** (თურქეთი): *"უბედნიერესი ადამიანი ვარ, ეს დიადი გამარჯვებაა. ურთულეს მატჩში სამი ქულა მოვიპოვეთ და ბოლო შეხვედრას უფრო თავდაჯერებულები და დამშვიდებულები შევხვდებით. თურქეთის ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატი ახლა იწყება."*

გოტფრიდ ლენცი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| თურქეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**III ტური**

15 ივნისი, კვირა

**ბაზელი**

შვეიცარია-პორტუგალია 22:45

**ჟენევა**

თურქეთი-ჩეხეთი 22:45

### რეგლამენტი. თანაბარი ქულების შემთხვევაში...
## ჩეხეთი VS თურქეთი, დაინიშნება პენალტები?

ჩეხეთს და თურქეთს ქულების თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ. ბოლო ტურის წინ მათ ბურთების სხვაობაცა და გატანილ-მიღებული გოლების რაოდენობაც ერთნაირი (2-3) აქვთ. უეფას რეგლამენტის თანახმად, თუ ორი გუნდი, რომლებიც ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან, თანაბარ ქულებს დააგროვებენ, ბურთების შეფარდებაც ერთნაირი ექნებათ და გატანილ-გაშვებული გოლებიც, ასევე, ერთმანეთშიც ფრეს ითამაშებენ, მაშინ, მეოთხედფინალისტის ვინაობას 11-მეტრიანების სერია გაარკვევს. ვაზუსტებთ, პენალტები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინიშნება, თუ საქმე მხოლოდ ორ გუნდს ეხება და ისინი ერთმანეთს ხვდებიან. ასე რომ, თუკი ჩეხეთისა და თურქეთის მატჩი ფრედ დასრულდება, პენალტების სერიას ვიხილავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# EURO 2008

# ხორვატია შეუტევს, როგორც მაშინ

## ბილიჩი: თუ გინდა, რომ გერმანიას მოუგო, სწრაფ ტემპში უნდა ითამაშო

**B ჯგუფი**

**ხორვატია-გერმანია**

კლაგენფურტი. 12 ივნისი. 20:00

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ხორვატია:** პლეტიკოშა, კორლუკა, რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, პრანიიჩი, ნ. კოვაჩი, ვუკოიევიჩი, სრნა, კრანჩარი, მოდრიჩი, ოლიჩი.

**გერმანია:** ლემანი, ლამი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, იანსენი, ფრიტცი, ფრინგსი, ბალაკი, პოდოლსკი, გომესი, კლოზე.

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის - სწორედ ამ დევიზით ხვდება გერმანიის ნაკრები ხორვატიასთან მატჩს, რომელიც დღეს კლაგენფურტში 20 საათზე დაიწყება. ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელის, **იოახიმ ლიოვის** თქმით, გერმანიის ნაკრებში იდეალური ატმოსფეროა, რაც უშუალოდ გუნდის თამაშზეც აუცილებლად აისახება. ბიჭები ხორვატიაზე დაგეშილები არიანო, ამბობს იოგი.

პოლონეთის დამარცხების შემდეგ, გერმანელები ჩინებულ ხასიათზე არიან. იგივე უნდა ვთქვათ ხორვატიის ნაკრებზეც - **სლავენ ბილიჩის** გუნდმა ხომ მასპინძელ ავსტრიას მოუგო. ამრიგად, პირველი ტურის შემდეგ ორივე გუნდს 3-3 ქულა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი შეხვედრა ფაქტობრივად პირველი ადგილისთვის ბრძოლაა.

ლიოვმა განაცხადა, მეორე ტურში ძირითად შემადგენლობას სავარაუდოდ საერთოდ არ შევცვლიო და ჩვენს გერმანელ კოლეგებსაც ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ იოგი ზუსტად იმავე სასტარტო შემადგენლობას გამოიყვანს, რომლითაც პოლონეთთან მატჩი დაიწყო. ექსპერტები ელოდებოდნენ, რომ ლიოვი **კრისტოფ მეტცელდერის** ნაცვლად, რომელიც პოლონეთთან არც ისე კარგად გამოიყურებოდა, **არნე ფრიდრიხს** ათამაშებდა, მაგრამ ეს თითქმის გამორიცხულია. შეგახსენებთ, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე და 2006 წლის მუნდიალზე ფრიდრიხი ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო.

*"სანახაობრივი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, ეს აქსიომაა. ხორვატიასთან მხოლოდ და მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ, რათა მერე თავი დამშვიდებულად ვიგრძნოთ. მთელი გუნდი კონცენტრირებული და მონდომებულია,"* - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლიოვის ასისტენტმა **ჰანსი ფლიკმა.**

*"ხორვატიასთან გაცილებით რთული თამაში გველის,"* - აცხადებს ბუნდესკაპიტანი **მიხაელ ბალაკი,** - *"უფრო კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ, ვიდრე პოლონეთთან, რადგან ხორვატიას გაცილებით დიდი ამბიციები აქვს. მეტოქე შემტევ ფეხბურთს თამაშობს, ასე რომ, გახსნილ თამაშს უნდა ველოდოთ. ფაქტია, რომ ამ მატჩის შემდეგ ზუსტად გვეცოდინება, რა შეგვიძლია და როგორ ფორმაში ვართ. ფაქტი ის არის, რომ ჩვენ ფინალში გასვლა და მისი მოგება გვინდა."*

კაპიტნის თქმით, ვარჯიშზე უდიდესი კონკურენცია იგრძნობა. **ბასტიან შვაინშტაიგერი** კარგ ფორმაშია და თავს არ ზოგავს. ლიოვი ამბობს, ნელნელა ფორმაში შედისო. მაგრამ შვაინი სავარაუდოდ ისევ სათადარიგოთა სკამზე დაჯდება. ლიოვი ბედნიერია იმის გამო, რომ პოლონეთთან მატჩში არცერთი მისი ფეხბურთელი არ დაშავებულა.



მიხაელ ბალაკი გუშინდელ პრესკონფერენციაზე

*"გერმანია, რა თქმა უნდა, ფავორიტია, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს, რაც პირველ ტურშიც დავამტკიცეთ. სწორედ ამიტომ, მე ვიტყოდი, რომ შანსები 50/50-ზეა,"* - ეს სიტყვები კი ხორვატთა დამრიგებელ ბილიჩს ეკუთვნის. მისი თქმით, თუ გერმანიის ნაკრებს სწრაფ ტემპში ეთამაშები, დიდი შანსია, წარმატებას მიაღწიო.

*"რაკი პირველი თამაში მოვიგეთ, ახლა უფრო თავისუფლად ვითამაშებთ. მერე რა, რომ მეტოქე გერმანიის ნაკრებია. ხორვატია არავისზე ნაკლები არ არის და ეს არაერთხელ დაგვიმტკიცებია,"* - აცხადებს კაპიტანი **ნიკო კოვაჩი.** დიდი შანსია, რომ ბილიჩმა დღეს ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშოს თავდამსხმელი **მლადენ პეტრიჩი,** რომელმაც ავსტრიასთან არც ისე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. აშკარად ჩანდა, რომ პეტრიჩი ცუდ ფორმაშია. დორტმუნდელის სკამზე დასმას ბილიჩი დაცვის ან უფრო ნახევარდაცვის გასაძლიერებლად გამოიყენებს და მხოლოდ ერთი ფორვარდით (**ივიცა ოლიჩი**) შეუტევს.

გერმანია და ხორვატია ერთმანეთს სულ 7-ჯერ შეხვედრიან და აქედან ხორვატებმა მხოლოდ ერთი თამაში მოიგეს (1 ფრე, 5 წაგება). მაგრამ ის ერთი გამარჯვება ხორვატიის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო და წონადი გახლდათ. ალბათ მიხვდით: ეს იყო 1998 წლის მუნდიალის მეოთხედფინალში, როცა ლიონში ხორვატიამ გერმანია 3:0 გაანადგურა. სლავენ ბილიჩი, რომელიც დღეს ხორვატიას წვრთნის, მაშინ ნაკრებში თამაშობდა. მას მერე ათი წელიწადი გავიდა და დღეს ორივე გუნდში, მაშინდელი განაცხადიდან მხოლოდ ორი ფეხბურთელია: ხორვატიაში **დარიო შიმიჩი,** გერმანიაში კი **იენს ლემანი,** რომელიც მაშინ სათადარიგოთა სკამს ხეხავდა. ბილიჩი ხორვატიის ნაკრებში მაშინაც თამაშობდა, როცა ეს გუნდები ერთმანეთს ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალში შეხვდნენ.

*"1998 წელი ჩემთვის უტკბესი მოგონებაა. იმ ტურნირიდან ყველაზე მეტად სწორედ გერმანიასთან მატჩი დამამახსოვრდა. ეს მართლაც გრანდიოზული გამარჯვება იყო. მინდა, რომ ის გრძნობა კიდევ ერთხელ, ამჯერად მწვრთნელის რანგში გამოვცადო,"* - ამბობს ხორვატთა დამრიგებელი.

**გოტფრიდ ლენცი**



1998 წელი. ხორვატები მუნდიალის მეოთხედფინალში გერმანიის განადგურებას ზეიმობენ (3:0).
შუაში: სლავენ ბილიჩი, რომელიც დღეს ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელია

# დაუნდობელი ბრძოლა ბოლო შანსისთვის

**B ჯგუფი**

**ავსტრია-პოლონეთი**

ვენა. 12 ივნისი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ავსტრია:** მახო, პრიოდლი, შტრანცლი, პოგატეცი, დარიში, შტანდფესტი, აუფჰაუზერი, ზაუმელი, ივანშიტცი, ქორქმაზი, კინასტი (ან ლინცი).

**პოლონეთი:** ბორუცი, ჟევლაკოვი, იოპი, ბაკი, ვავრინიაკი, დუდკა, ლევანდოვსკი, ბლაშჩიკოვსკი, საგანოვსკი, გერეირო, სმოლიარეკი.

**არბიტრი:** ჰოვარ უები (ინგლისი)

ავსტრიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მარცხით დაიწყო - 0:1 ხორვატიასთან. შესაბამისად, პოლონეთთან მატჩი, რომელიც პირველ ტურში ასევე დამარცხდა (0:2 გერმანიასთან) კონტინენტის პირველობის ერთ-ერთი მასპინძლისთვის უკანასკნელი შანსია. ავსტრია ტურნირის უსუსტესი გუნდია, მაგრამ რაკი მასპინძელია, უნდა გაიბრძოლოს - ეს **იოზეფ ჰიკერსბერგერის** გუნდის ვალდებულებაა. მაშ ვისთან უნდა გაიბრძოლონ ავსტრიელებმა, თუ არა პოლონეთთან? ფაქტი ის გახლავთ, რომ ვინც დღეს დამარცხდება, მეოთხედფინალში გასვლაზე ველარ იოცნებებს.

ავსტრიელთა თავკაცი ოპტიმისტურადაა განწყობილი და სამი ქულის მოპოვებას იმედოვნებს, თანაც უნდა, რომ გერმანიისა და ხორვატიის მატჩი ფრედ დასრულდეს. მაგრამ იქნებ ავსტრიელთათვის ის ჯობდეს, რომ გერმანელებმა მოიგონ და მეოთხედფინალში გასვლა ნაადრევად გაინაღდონ. ასეთ შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, რომ ბოლო ტურში **იოახიმ ლიოვმა** ავსტრიასთან გადახალისებული, ან სულაც მეორე შემადგენლობა ათამაშოს, რაც ჰიკერსბერგერის გუნდის წისქვილზე დაასხამს წყალს. აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მოხდა ისე, რომ მასპინძელმა ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა - 2000 წელს, ბელგიამ. მაგრამ მაშინ ბელგიელებს ჯგუფიდან გასვლის შანსი ბოლო ტურამდე ჰქონდათ.

სამი ქულისთვის იბრძოლებენ პოლონელებიც. *"რაც მთავარია, ჯგუფის ფავორიტს უკვე შევხვდით, გერმანია მოვიშორეთ. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. თუ ორივე თამაშს მოვიგებთ, მეოთხედფინალში გავალთ. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი,"* - ეს სიტყვები პოლონელთა დამრიგებელ **ლეო ბეენჰაკერს** ეკუთვნის. სხვათა შორის, 2006 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლში, პოლონეთი და ავსტრია ერთ ჯგუფში იყვნენ და მაშინ პოლონელებმა ორივე თამაში მოიგეს.

რაც შეეხება ავსტრიელთა მწვრთნელს. ჰიკერსბერგერი პირდაპირ ამბობს, რომ მისი გუნდი დღეს მხოლოდ სამი ქულისთვის იბრძოლებს. *"პოლონეთს აუცილებლად უნდა მოვუგოთ. ჩვენ რისკზე წავალთ, შევუტევთ და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ყველა სხვა შედეგი არადამაკმაყოფილებელი იქნება,"* - განაცხადა ჰიკერსბერგერმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

როგორც იცით, პოლონელებს **მაცეი ჟურავსკი** დაუშავდათ. ამ უკანასკნელის ტრავმა ბეენჰაკერისთვის სერიოზული პრობლემაა, მაგრამ მწვრთნელი ამბობს, როგორმე გადავიტანთო. *"თუ გვინდა, რომ მეოთხედფინალში გასვლის შანსი შევინარჩუნოთ, თუკი საერთოდ რამე გვინდა, მაშინ ავსტრიას აუცილებლად უნდა მოვუგოთ. და უნდა მოვუგოთ ხორვატიასაც,"* - ეს თავდამსხმელ **ები სმოლიარეკის** სიტყვებია, რომელმაც შესარჩევ ციკლში შვიდი გოლი გაიტანა, პირველ ტურში, გერმანიასთან კი ამაოდ დაშვრა.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ხორვატია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ავსტრია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

რუსეთი

## ჰიდინკის ექსპერიმენტი

რუსეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი უფერულად დაიწყო. ის ესპანეთის ნაკრებთან 1:4 დამარცხდა. მოსკოვის "სპარტაკის" ყოფილმა ფეხბურთელმა ვიქტორ პაპაევმა ინტერნეტ გამოცემა "გაზეტა რუს" მკითხველებს საკუთარი მოსაზრება გაუზიარა. რუსმა ექსპერტმა გუუს ჰიდინკის შტაბი მკაცრად გააკრიტიკა.

"სიმართლე გითხრათ, ესპანეთთან მატჩზე საუბარიც არ მსურს. ყველამ ყველაფერი ნახა. ისეთი იმედგაცრუება დამეუფლა, რომ აღარაფრის ხალისი არა მაქვს. მთელი თვე ნაკრების ხელმძღვანელობას ადიდებდნენ. სამშაბათს მათი შრომის ნაყოფი საკუთარ თვალით ვიხილეთ.

ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო. ვის გაუგონია ნახევარმცველებით დაკომპლექტებული დაცვის ხაზი? ერთ-ერთი კომენტატორისაგან მოვისმინე - ესპანელები სათანადოდ არ დავაფასეთო. რომელ არდაფასებაზეა საუბარი? რომელი ფეხბურთელი შეიძლება არ დააფასო ესპანეთის ნაკრებში? უკეთესი იქნებოდა, საკუთარი შესაძლებლობები გაგვეთვალა და ტაქტიკაც აუტსაიდერისათვის შესაფერისად აგვერჩია.

როგორც კი რუსეთის ნაკრების დაცვა წნეხში ექცევა, აბსოლუტურად უმაქნისი ხდება. ესპანეთთან მატჩისას რუსეთმა მთელი გუნდით თავდაცვა იუკადრისა. შედეგად, მეტოქემ მისი უკანა ხაზი გაარღვია.

მეორე ტაიმში ესპანელებმა გაგვანებივრეს კიდეც. ანგარიში მიჰყავდათ და თავს მოდუნების უფლება მისცეს, თუმცა თამაშზე კონტროლი ერთი წუთითაც არ დაუკარგავთ. დრო და დრო, რუსეთი ნორმალურად გამოიყურებოდა, მაგრამ საერთო ჯამში... გუნდის თამაშს დეტალური გარჩევა სჭირდება. საამისო დრო კი არ არის. ევროპის ჩემპიონატი გრძელდება.

ესპანეთთან თამაშმა ცხადყო, რომ **შიროკოვი** ცენტრალური მცველი არ არის. არც **კოლოდინია** ცენტრალური მცველი. **ჰიდინკმა** ეს ექსპერიმენტი ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე წამოიწყო. ამიტომ პირველ მატჩში გაშვებული ოთხი გოლი სენსაცია არ არის.

ფავორიტთან სადებიუტო მატჩში რუსეთს ფრთხილად უნდა ეთამაშა. ბურთის დაკარგვისთანავე მთელ გუნდს საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნა. ესპანელთა ტექნიკური უპირატესობის გაბათილება მხოლოდ ამ მეთოდით იქნებოდა შესაძლებელი. თუმცა ასე არ მოხდა - რუსეთის სუსტი წერტილები პირველ წუთებშივე გამოაშკარავდა.

ვფიქრობ, ამ თამაშზე გაუთავებელი ლაპარაკი არ ღირს. წავაგეთ და წავაგეთ. რა გაეწყობა? ესპანელები უკეთესად თამაშობენ ფეხბურთს. იქნებ მომდევნო მატჩებში სახეცვლილი რუსეთის ნაკრები წარდგეს?

შვედეთისა და საბერძნეთის შეხვედრა ვნახე. ვფიქრობ, ორივე მათგანის დამარცხება შეგვიძლია. ესპანეთი ჯგუფის გამოკვეთილი ფავორიტია. ბერძნებთან და შვედებთან კი თამაშიც შეიძლება და გამარჯვებაც. მთავარია, ჰიდინკმა გუნდს ოპტიმალური სათამაშო სქემა შეურჩიოს."

**ვიქტორ პაპაევი, Gazeta.ru**



ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ტურის სტატისტიკა

# ყველაზე, ყველაზე...

## ფეხბურთელები

სულ გავიდა: 16 გოლი (საშუალოდ 2.0 მატჩში)

| ფეხბურთელი | გოლი |
|---|---|
| ვილია (ესპანეთი) | 3 |
| პოდოლსკი (გერმანია) | 2 |
| სვერკოში (ჩეხეთი) | 1 |
| პეპე (პორტუგალია) | 1 |
| რაულ მეირელეში (პორტუგალია) | 1 |
| მოდრიჩი (ხორვატია) | 1 |
| ვან ნისტელროი (ჰოლანდია) | 1 |
| სნეიდერი (ჰოლანდია) | 1 |
| ვან ბრონკჰორსტი (ჰოლანდია) | 1 |
| ფაბრეგასი (ესპანეთი) | 1 |
| პავლიუჩენკო (რუსეთი) | 1 |
| იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი) | 1 |
| ჰანსონი (შვედეთი) | 1 |

1 პენალტით: ლუკა მოდრიჩი (ხორვატია)

10 საჯარიმო მოედნის ტერიტორიიდან: **თითო-თითო, 10 ფეხბურთელი**

6 საჯარიმოს მოედნის გარედან: **დავიდ ვილია** (ესპანეთი) - 3, **ლუკას პოდოლსკი** (გერმანია)

ყვითელი ბარათი: 25

კარში დარტყმა: **დავიდ ვილია** (ესპანეთი) - 5, **რუუდ ვან ნისტელროი** (ჰოლანდია) - 3, **ივიცა ვასტიჩი** (ავსტრია) - 3

კარისკენ დარტყმა: **დავიდ ვილია** (ესპანეთი) - 8, **კრისტიანო რონალდო** (პორტუგალია) - 6, **მარიუშ ლევანდოვსკი** (პოლონეთი) - 5, **დავიდ სილვა** (ესპანეთი) - 5

საგოლე პასი: **მიროსლავ კლოზე** (გერმანია) - 2, **დირკ კუიტი** (ჰოლანდია) - 2

## ვინ რა მანძილი დაფარა

| ნაკრები | ფეხბურთელი | მანძილი |
|---|---|---|
| ჩეხეთი | პლაშილი | 11,24 კმ |
| შვეიცარია | ფერნანდესი | 11,21 კმ |
| პორტუგალია | ჟოაო მოუტინიო | 10,28 კმ |
| თურქეთი | მეჰმეთ აურელიო | 10,42 კმ |
| ავსტრია | შტანდფესტი | 11,23 კმ |
| ხორვატია | სრნა | 11,17 კმ |
| გერმანია | ბალაკი | 11,55 კმ |
| პოლონეთი | დუდკა | 11,54 კმ |
| რუმინეთი | ნიკოლიცა | 12,24 კმ |
| საფრანგეთი | მალუდა | 10,69 კმ |
| ჰოლანდია | ვან დერ ვაარტი | 11,34 კმ |
| იტალია | გატუზო | 11,97 კმ |
| ესპანეთი | ჩავი | 12,04 კმ |
| რუსეთი | სემაკი | 11,70 კმ |
| შვედეთი | ანდერსონი | 11,32 კმ |
| საბერძნეთი | ბასინასი | 10,10 კმ |

დააჯარიმდა: **დავიდ ვილია** (ესპანეთი) - 6, **დარიუშ დუდკა** (პოლონეთი) - 5, **დავიდ იაროლიმი** (ჩეხეთი) - 5, **კაზიმ კაზიმი** (თურქეთი) - 5, **იაცეკ კრჟინოვეკი** (პოლონეთი) - 5, **კლოდ მაკელელე** (საფრანგეთი) - 5, **სერგეი სემაკი** (რუსეთი) - 5

მის წინააღმდეგ დააჯარიმდნენ: **დარიო სრნა** (ხორვატია) - 6, **იური ჟირკოვი** (რუსეთი) - 6

პასი: **კლოდ მაკელელე** (საფრანგეთი) - 75, **ჩავი ერნანდესი** (ესპანეთი) - 73, **სოტირის კირიაკოსი** (საბერძნეთი) - 72, **იური ჟირკოვი** (რუსეთი) - 72

სწორი პასი: **უილიამ გალასი** (საფრანგეთი) - 98%, **ანდრეა ბარძალი** (იტალია) - 97%, **იაცეკ ბაკი** (პოლონეთი) - 92%, **რობერტ კოვაჩი** (ხორვატია) - 92%, **მარიუშ ლევანდოვსკი** (პოლონეთი) - 92%.

გრძელი პასი (მეკარეების გარეშე): **ანდრეა პირლო** (იტალია) - 21, **ანგელოს ბასინასი** (საბერძნეთი) - 18

საშუალო პასი: **სოტირის კირიაკოსი** (საბერძნეთი) - 55, **კლოდ მაკელელე** (საფრანგეთი) - 50, **ერიკ აბიდალი** (საფრანგეთი) - 49, **ჩავი ერნანდესი** (ესპანეთი) - 49

მოკლე პასი: **მარსელ იანსენი** (გერმანია) - 23, **დინიარ ბილიალეტდინოვი** (რუსეთი) - 18, **ჯენარო გატუზო** (იტალია) - 18, **ვილი სანიოლი** (საფრანგეთი) - 18

ჩაწოდება: **იოახიმ შტანდფესტი** (ავსტრია) - 9, **ლუდოვიკ მანინი** (შვეიცარია) - 7, **დარიო სრნა** (ხორვატია) - 6

კუთხური: **დარიო სრნა** (ხორვატია) - 7, **სიმაო საბროსა** (პორტუგალია) - 6, **ანდერს სვენსონი** (შვედეთი) - 6

თამაშგარე: **რომან პავლიუჩენკო** (რუსეთი) - 4, **თუნჯაი ჩანლი** (თურქეთი) - 3

მოგერიება: **იგორ აკინფეევი** (რუსეთი) - 8, **პეტრ ჩეხი** (ჩეხეთი) - 6, **სტიპე პლეტიკოშა** (ხორვატია) - 6

## გუნდები

**გოლი საჯარიმოდან:** ჰოლანდია - 3

**გოლი საჯარიმოს გარედან:** ესპანეთი - 3

**კარისკენ დარტყმა:** ესპანეთი - 21, ჰოლანდია -18

**კარში დარტყმა:** ესპანეთი - 12, ჰოლანდია - 9, პორტუგალია - 8

**კუთხური:** ხორვატია - 7, პორტუგალია - 7

**თამაშგარე:** პორტუგალია - 6, გერმანია - 5, რუსეთი - 5

**შეტევა:** ესპანეთი - 21, იტალია - 16

**შეტევა მარცხნიდან:** ესპანეთი - 8, გერმანია - 7, თურქეთი - 7

**შეტევა მარჯვნიდან:** შვეიცარია - 9, ესპანეთი - 7

**შეტევა ცენტრიდან:** იტალია - 6, რუსეთი - 6, ესპანეთი - 6

**ბურთის ფლობა:** საფრანგეთი - 55%.

**დაჯარიმდა:** თურქეთი - 24, საფრანგეთი - 22, ესპანეთი - 22

**გუნდის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ:** პორტუგალია - 23, რუმინეთი - 22

**ყვითელი ბარათი:** ავსტრია - 3

**პასი:** საფრანგეთი - 560, საბერძნეთი - 542, შვეიცარია - 516

**სწორი პასი:** - საბერძნეთი - 80%, ესპანეთი - 80%, საფრანგეთი - 79%

**გრძელი პასები:** ავსტრია - 121, ჰოლანდია - 102, საბერძნეთი - 100

**საშუალო პასები:** საფრანგეთი - 361, საბერძნეთი - 349, შვეიცარია - 333

**მოკლე პასები:** საფრანგეთი - 127, იტალია - 125, გერმანია - 117

**ჩაწოდება:** ავსტრია - 24, შვეიცარია - 20

## მატჩები

**ყველაზე მეტი სეივი მატჩში:** ესპანეთი-რუსეთი, 1

**ყველაზე მეტი დარტყმა:** ჰოლანდია-იტალია, 34

**ყველაზე მეტი პასი:** საფრანგეთი-რუმინეთი, 1017

**ყველაზე მეტი სწორი პასი:** ესპანეთი-რუსეთი, 79%

**ყველაზე მეტი ჯარიმა:** ესპანეთი-რუსეთი, 40

**ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი:** ავსტრია-ხორვატია, 4

მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**

---

საფრანგეთი

# დომენეკმა იცის, რასაც აკეთებს... ვითომ?

## ანრი და ვიეირა ბრუნდებიან. ფრანგების მწვრთნელს ოთხი ფეხბურთელი აეჭვებს

**საფრანგეთი ნაკლებად შთამბეჭდავი იყო ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში, რუმინეთის წინააღმდეგ, თუმც ადრეც ყოფილა მსგავსი სიტუაცია. როცა ფრედ დასრულებული მატჩის ბოლო წუთებზე რაიმონ დომენეკმა, იმედგაცრუებისგან წყლით სავსე ბოთლს ფეხი გაარტყა და მწვრთნელისთვის მონიშნულ ადგილს გასცდა, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ეს უკვე ნანახი გვქონდა, რაღაც დეჟა-ვიუს მაგვარი ხდებოდა. ძნელად დასაჯერებელია, რომ გულწრფელ მწვრთნელს ეს პირველად მოუვიდა, ხოლო თუ გავითვალისწინებთ მის გამორჩეულ ხასიათს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ქცევა კიდევაა მოსალოდნელი...**



ჰოლანდიასთან დომენეკს ვიეირაც ეყოლება და ანრიც

რას ფიქრობდა **რაიმონ დომენეკი,** როცა საფინალო სასტვენისთანავე ტაში შემოჰკრა, ჯერაც საიდუმლოდ რჩება. ის ცდილობდა, ელიარებინა, რომ შედეგი არც ისე ცუდია, მაგრამ "ლურჯებს", მართლაც და, ბედი არ სწყალობდათ საცემრად მომზადებული ბიჭების წინააღმდეგ და, როგორც ჩანს, უნდა შეგუებოდნენ შედეგს. რუმინეთისთვის ფრეს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შოკირებულ იტალიელებთან მატჩში შეიძლება სამი ქულის აღება და ჯგუფიდან გასვლა ჰოლანდაისთან ერთად, რაც კარგად გაკეთებულ საქმედ ჩაითვლება. საფრანგეთმა კი ყველაფერი ხელახლა უნდა დაიწყოს.

მათ შეუძლიათ, იტალიას სატურნირო ცხრილში ერთი ქულით გაასწრონ, მაგრამ წინ სირთულეები ელით. "სკუადრა აძურას", თუ ისინი ჭკუით იმოქმედებენ, რუმინეთთან 3 ქულის მოპოვება შეუძლია, რადგან კარპატელებს მსოფლიო ჩემპიონებთან თამაშის გამოცდილება აკლიათ. ამ დროს, საფრანგეთი ფრთაშესხმულ ჰოლანდიას დაუპირისპირდება. რთული თამაში ექნება. ჯგუფის ბოლო მატჩში საფრანგეთი იტალიას ხვდება და აქ, შესაძლოა, ფრანგებმა გაიმარჯვონ და შინ დაბრუნება აღარ მოუწიოთ, თუმცა **რობერტო დონადონის** ბიჭებს მაინც უპირატესობა აქვთ.

ყველაზე ცუდი სცენარის მიხედვით, თუ იტალია რუმინეთს დაამარცხებს, საფრანგეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს "ნარინჯისფერებთან" მატჩის მოგებისთვის, რადგან სხვა არაფერი დააკმაყოფილებს. საფრანგეთი ადრე უკვე იყო ამგვარ სიტუაციაში - სუსტი სტარტის შემდეგ გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე და ტურნირს უმაღლეს დონეზე ამთავრებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის მსოფლიო თასზე გამარჯვება ვერ მოიპოვეს, ცოტა თუ გაიყვანს მათ ფინალში ასეთი უსახური დასაწყისის შემდეგ, თუმცა, როგორც გახსოვთ, **ზინედინ ზიდანმა, პატრიკ ვიეირამ, კლოდ მაკელელემ, ლილიან ტურამმა** და მათმა მეგობრებმა საუცხოო თამაშით დაამარცხეს ესპანეთი, ფავორიტი ბრაზილია და პორტუგალია. ნუთუ ამგვარი რამაა ახლაც მოსალოდნელი?

ყველაფერი დამოკიდებულია წამყვან ფეხბურთელებზე. დომენეკი უფრო ნაკლებად დათრგუნული იყო ორი წლის წინათ, პირველი მატჩების დროს. წამყვან მოთამაშეებს არ მოსწონდათ არსებული სისტემა და მხოლოდ ზიდანისა და ტურამის ძალისხმევით წამოიწყეს საკუთარი, რაღაც რევოლუციის მაგვარი, რამაც მთელი გუნდი "დამუხტა" და ფინალში პენალტების სერიამდე მიიყვანეს საქმე.

იგივე შეიძლება განმეორდეს ახლაც, მაგრამ ზიდანი უკვე აღარ თამაშობს, ტურამი, მაკელელე და სხვებიც "დაბერდნენ". მიუხედავად იმისა, რომ კვლავ ძლიერ ფეხბურთელებად რჩებიან, მაინც ეჭვქვეშაა მდგომარეობის გამოსწორება მოკრძალებული ფიზიკური ფორმის გამო. საფრანგეთი ფავორიტად მიჩნეული დიდი სახელების გამო, მაგრამ **ტიერი ანრის, ლილიან ტურამს, ნიკოლა ანელკას, ფლორან მალუდას, ვილი სანიოლსა** და **ერიკ აბიდალს** კარგი სეზონი არ ჰქონდათ და როგორც ნახეთ, ერთის გარდა, პირველ მატჩში ყველამ ითამაშა. მაგრამ, ესეც განვსაჯოთ: **პატრის ევრამ** "მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო, **გაელ კლიშიმ** "არსენალს", ასე ვთქვათ, გული გადაუშალა, იგივე ითქმის "მილანში" ახლახან გადასულ **მატიო ფლამინიზეც**. **დავიდ ტრეზეგე** სერია A-ს ბომბარდირებს შორის მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ ნაკრებში არ აიყვანეს, ისევე, როგორც **ფილიპ მექსე**. **სებასტიან ფრეი**, სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, **ჯანლუიჯი ბუფონსა** და **ჟულიო სეზართან** ერთად, ნაკრებში "მეორე ვიოლინოს" პარტიას ასრულებს. რა გამოდის? დომენეკი თავის ფავორიტებს ათამაშებს?

სათამაშო კონდიციები დროებითია, ოსტატობა კი მუდმივი. ასე რომ, დომენეკმა მის ხელთ არსებული ფეხბურთელებიდან ვერ მოახერხა ერთიანი და მოტივირებული კოლექტივის შექმნა, რაც ეროვნული გუნდისადმი მის დამოკიდებულებას ერთობ უცნაურსა და გაუგებარს ხდის. ტურამმა, მაკელელემ, **უილიამ გალასმა** და, ალბათ ანრიმ, უნდა შეძლონ გამარჯვება **მარკო ვან ბასტენის** ჰოლანდიასთან მატჩში. ვგულისხმობთ იმას, რომ ამის გამორიცხვა არ შეიძლება, რადგან ზიდანის არყოფნის მიუხედავად, იქ ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელია. სანიოლი, აბიდალი, მალუდა, **ჟერემი ტულალანი** და ანელკა რომ შეეცვალათ, **ბაკარი სანიათი** (ან **ფრანსუა კლერით**), კლიშით, ევრათი, ფლამინითა და ტრეზეგეთი (ან **გომისით**), ამაზე კარგი ბალანსის წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა? მხოლოდ დრო გვიჩვენებს, რამდენად შორს წავლენ საფრანგეთის "ოქროს ბიჭების" ნარჩენები ამ ზაფხულს.

### აგრეთვე...

ქების ღირსია ჰოლანდია, რომელმაც საუცხოო თამაში აჩვენა. იტალია დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს მდგომარეობის გამოსწორების შანსი. ეჭვგარეშეა, ვან ბასტენის გუნდმა, სადაც ინდივიდუალობა ერწყმის გუნდის იშვიათ შრომისუნარიანობას, მთელი მინდორი დაიპყრო. თუმცა მათი დაცვის ხაზის მდგომარეობა ჯერაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას - "სკუადრა აძურას" მიერ შემონწმებულ ფეხბურთელთაგან, დაცვით პლანის მოთამაშეებიდან ყველაზე ძლიერი **ორლანდო ენგელაარი** იყო. როგორც **რუუდ გულიტი** ამბობს, სიტუაციის განმუხტვის მისმა საუცხოო უნარმა ჰოლანდიელებს მატჩის სადავეები ხელიდან არ გააშვებინა. მარცხენა ფლანგზე **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი** ლაღად თამაშობდა, **რაფაელ ვან დერ ვაარტიც** დიდებული იყო. მოგვიანებით, მას დაღლა დაეტყო, მაგრამ მაინც ახერხებდა პასების ისე განაწილებას, რომ გაოცებას იწვევდა. **დირკ კუიტი** და **უესლი სნეიდერი** დაუღალავად მუშაობდნენ. პირველმა ორჯერ შესანიშნავად მოახერხა ასისტენტის როლის შესრულება, სნეიდერის ნიჭი და აკრობატული ილეთით შესრულებული საგოლე დარტყმა კი მომავალშიც ავისმომასწავებელი იქნება.

### ჰოლანდიასთან მატჩისთვის...

მეორე ტურის შეხვედრის წინ, რომელიც ფრანგებისთვის დიდწილად გადამწყვეტი იქნება, **რაიმონ დომენეკი** ოთხ ცვლილებას გეგმავს. ამის თაობაზე მან პრესკონფერენციის დროს განაცხადა. თავისთავად, **ტიერი ანრისა** და **პატრიკ ვიეირას** დიდი ალბათობით მოსალოდნელი დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ **ჟერემი ტულალანი** და **ნიკოლა ანელკა** (ან **ქარიმ ბენზემა**) სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებენ. ანრიმ და ვიეირამ უკვე განაახლეს ვარჯიშები და ჰოლანდიასთან მატჩისთვის, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მზად იქნებიან.

დანარჩენ ორს შორის **ვილი სანიოლი** და **ერიკ აბიდალი** მოიაზრებიან. მარჯვენა ფლანგზე ბაიერნელი, შეიძლება, **ფრანსუა კლერმა** შეცვალოს, აბიდალის მაგივრად კი, ალბათ, იმ **პატრის ევრას** ვიხილავთ, რომლის იგნორირებამაც ფრანგი ექსპერტები ფრიად გააკვირვა.

მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, რადგან ვინ ვინ და დომენეკი, რომლის ფილოსოფიაა - "ფეხბურთი დაცვიდან იწყება", სწორედ რომ უკანა ხაზის სტაბილურობას დაეყრდნობა და ამ რგოლში რადიკალური ცვლილებებისგან თავს შეიკავებს.

მოამზადა **დავით ჩუბინიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

# დონადონი შეცდომებს არ აღიარებს, მაგრამ... ცვლილებები მაინც იქნება

## კასანო და დელ პიერო ძირითადში?



იტალიის ნაკრების კოშმარული ევროსტარტი იმის მანიშნებელია, რომ რუმინეთთან მეორე ტურის შეხვედრაში **რობერტო დონადონი** შემადგენლობას ცოტათი მაინც გადაახალისებს. ჰოლანდიასთან ნაგების შემდეგ "სკუადრა აძურას" მწვრთნელმა საკუთარი არჩევანის დაცვა სცადა. "დონს" პრესამ მძაფრად შეუტია, პირველ რიგში, საეჭვო სასტარტო შემადგენლობის გამო. მიმომხილველები და ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ არასწორი იყო ძირითადში **მასიმო ამბროზინისა** და **მარკო მატერაცის** დაყენება, ამას გარდა, არასწორად შეირჩა დაცვის ცენტრის კონფიგურაციაც, არადამაჯერებელი და დაგვიანებული იყო ცვლილებები, რომელიც დონადონიმ მეორე ტაიმში განახორციელა...

*"უაზრობაა ლაპარაკი არასწორ არჩევანზე მაშინ, როცა არავინ იცის, როგორ ითამაშებდნენ სხვა ფეხბურთელები სხვა არჩევანის შემთხვევაში. მე ვფიქრობ, ძირითადი შემადგენლობა სწორად იყო შერჩეული. ნაგების შემდეგ ადვილია საუბარი შეცდომებზე, მაგრამ თითოეული მატჩი უამრავი ისეთი დეტალისგან შედგება, რომელსაც წინასწარ ვერ გაითვალისწინებ"* - თქვა დონადონიმ ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

მაგრამ მწვრთნელმა იქვე დაამატა, რომ რაკი საკუთარი არჩევანის სისწორეში დარწმუნებულია, ეს არ ნიშნავს ცვლილებების უარყოფას. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ შეცვლაზე შესულმა **ალესანდრო დელ პიერომ, ანტონიო კასანომ** და მეტადრე **ფაბიო გროსომ** გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს, ვიდრე მათმა პარტნიორებმა, რომლებიც მოედანზე თავიდანვე იყვნენ. დონადონი ამას მარტივად ხსნის: *"ისინი მოედანზე გაორმაგებული მოტივაციით შევიდნენ. ეს გასაგებიცაა, რადგან თამაში გადასარჩენი იყო, თუმცა მალე მესამე გოლი მივიღეთ და ყველანაირი ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდა"*.

ჩემპიონატისწინა საწვრთნელ პროცესში დონადონი ძირითადად 4-1-4-1 სისტემაზე იყო ორიენტირებული. მაგრამ მოულოდნელად, ჰოლანდიასთან მან 4-3-3 აირჩია. იმავე ექსპერტთა მოსაზრებით, ჰოლანდიასთან, რომელსაც საუცხოოდ დაყენებული კონტრთამაში გამოარჩევს, ამგვარი განლაგების გამოყენება შეცდომა იყო. ისევ მწვრთნელს მოვუსმინოთ: *"ჩვენ სხვადასხვა ვარიანტი გვაქვს. ოთხი ნახევარმცველით თამაშისას, აუცილებლად გვჭირდება ერთი ნატურალური მარცხენაფლანგელი, მაგრამ სამწუხაროდ, გუნდში ასეთი ფეხბურთელი არ გვყავს"*.

რაც შეეხება **დანიელე დე როსის** იგნორირებას. რომაელი ნახევარმცველი სეზონის ბოლომდე ბრწყინვალე ფორმაში იყო. ვარჯიშებზე დონადონი მას ხშირად აყენებდა მცველების წინ (4-1-4-1 სისტემიდან გამომდინარე), რაც პირლოს შემოქმედებითი თამაშის საშუალებას აძლევდა. სხვათა შორის, "მილანის" ნახევარმცველმა მწვრთნელს ამაზე საჯაროდაც მიანიშნა. თუმცა დონადონიმ, რატომღაც, ამბროზინიზე გააკეთა აქცენტი. "სკუადრა აძურას" თავკაცის არგუმენტი ერთობ არადამაჯერებელია:

*"დიახ, განსხვავებული არჩევანი გავაკეთე. თქვენი არ იყოს, მეც ვიცი, რომ დე როსი დიდი ფეხბურთელია და პირლოსთან ერთად წყვილში კარგადაც უთამაშია. მაგრამ შემადგენლობას მე ვარჩევ და, უბრალოდ, გადავწყვიტე, ამჯერად ასეთი არჩევანი გამეკეთებინა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ დე როსის ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ აქვს"*.

მოკლედ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დონადონი შეცდომებს ხედავს, მაგრამ არ აღიარებს. ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, იხტიბარს არ იტეხს. ის გაღიზიანებულია პირველი მარცხითა და იმ კრიტიკის ქარ-ცეცხლით, რაც მედიისგან დაატყდა. თუ "დონი" ცვლილებებზე წავიდა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ საზოგადოებრივ აზრს ითვალისწინებს. თუმცა მწვრთნელებს ამის აღიარებაც არ სჩვევიათ, არა თუ შეცდომების.

მიმომხილველები კი დაბეჯითებით აცხადებენ, რომ რუმინეთთან მატჩისთვის სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი. ზოგიერთი ვერსიით, დონადონი ძირითადში ოთხ კორექტივს შეიტანს, ზოგიც ხუთი ფეხბურთელის შეცვლას ვარაუდობს. ეს დასკვნებიც ბოლო ვარჯიშებიდანაა. მიუხედავად იმისა, რომ პრესა ერთხელ უკვე მოტყუვდა, ჟურნალისტები და ექსპერტები რისკავენ, რომ პროგნოზი ამჯერადაც მცდარი აღმოჩნდეს.

დავიწყოთ იმით, რომ რუმინეთთან ტაქტიკური სქემა, მათი აზრით, 4-3-1-2 იქნება. მატერაცის ნაცვლად დაცვის ცენტრში **ჯორჯო კიელინის** გამწესებას ელიან, **ჯენარო გატუზოს** კი ვითომ დე როსი შეცვლის. შეიძლება, ნდობის კრედიტი მიიღოს გროსომ, რომელმაც პირველ მატჩში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ასევე არ არის გამორიცხული, რომ **ლუკა ტონისთან** ერთად, დონადონიმ სასტარტოში კასანო და დელ პიეროც დააყენოს. ეს უკანასკნელი ბაიერნელთან ერთად მეორე ფორვარდი იქნება, კასანო კი ოდნავ უკან იმოქმედებს, სადღაც ფლეიმეიქერის როლში. ცოტა უცნაური კია, მაგრამ ვნახოთ...

სხვათა შორის, კასანოს ძირითადში დაყენებას მისი ძველი მასწავლებელი ("ბარიში" მუშაობის დროიდან), გამოცდილი მწვრთნელი **ეუჯენიო ფაშეტიც** ითხოვს:

*"მიმაჩნია და დარწმუნებულიც ვარ, რომ კასანომ აუცილებლად უნდა ითამაშოს ძირითად შემადგენლობაში. ჰოლანდიასთან თამაშმა გვაჩვენა, რომ მას შეუძლია სიტუაციის შეცვლა. გახსოვთ, რა შანსი შეუქმნა ლუკა ტონის? ანტონიოს აქვს კლასიც და შემოქმედებითი ნიჭიც. ამიტომ, იტალიის ნაკრებმა ეს უნდა გამოიყენოს"*.

ამას გარდა, ფაშეტი სხვა რგოლებზეც ამახვილებს ყურადღებას. მას აეჭვებს **ანდრეა ბარძალი**, რომელსაც "პალერმოში" ცუდი სეზონი ჰქონდა:

*"ბარძალი? ბოლო ორი წლის განმავლობაში "პალერმო" ერთ მატჩში საშუალოდ სამ გოლს უშვებს. ესე იგი, ამ გუნდს დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს. ბუნებრივია, ამაში ბარძალისაც მიუძღვის ბრალი. ახლა ვნახოთ ნახევარდაცვა. ვერც შუახაზელებმა დამარწმუნეს, რომ ფორმაში არიან. სამი მილანელი ერთად? და ეს მაშინ, როცა ეს გუნდი სერია A-ში მეხუთე ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა ლიგიდანაც ადრეულად გავარდა. გამოდის, რომ აქაც პრობლემებია. ამ დროს კი, პეროტა, დე როსი და აკვილანი თამაშს სათადარიგოთა სკამიდან უყურებდნენ. მე მგონი, ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება"*.

საბერძნეთი

# საით, მეფეო?

## ხუთი მცველი და ორი საყრდენი ნახევარმცველი. რეჰაგელს ტაქტიკის შეცვლას უკიჟინებენ

ევროპის ჩემპიონთა საქმეში სანახავად პირველი ტურის ბოლო დღემდე მოგვიხდა ლოდინი. მიმომხილველებს აინტერესებდათ, რა ფორმაში იყვნენ ბერძნები და რა შანსი გააჩნდათ ტიტულის შესანარჩუნებლად. **მეფე ოტოსა** და მის შეგირდებს არ გაუმართლათ. იმ საღამოს, ზალცბურგში სამეფო რეგალიები შვედებს ხვდათ წილად.

ევროპელმა მიმომხილველებმა **რეჰაგელის** პირველ მატჩს "მეფის დაბრუნება" უწოდეს. ოთხი წლის წინანდელი სენსაციური ტრიუმფის შემდეგ, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. ბერძნებმა ისევ ხუთი მცველითა და ორი საყრდენი ნახევარმცველით ითამაშეს და მეტოქის თავდამსხმელებს გვარიანად გაურთულეს საქმე. ოთხი წლის წინანდელისაგან განსხვავებით, ამჯერად რეჰაგელის ტაქტიკამ არ გაამართლა - მისმა გუნდმა გოლიც (გოლებიც) გაუშვა და დამარცხდა კიდეც.

რეჰაგელი მინდვრის კიდეზე იდგა და ნერვიულად იძლეოდა მითითებებს. მწვრთნელი ამჩნევდა, რომ თამაშის მსვლელობაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა. ბერძნები ენერგიულად მოასპარეზე შვედებს ვერაფერს უხერხებდნენ. რეჰაგელი მისმა მეგობარმა ბერძენმა ჟურნალისტებმაც გააკრიტიკეს. 69 წლის სპეციალისტს ყველა კოზირის გამოყენება მართებს.

ოთხი წლის წინათ, პორტუგალიაში, საბერძნეთის ჩემპიონობის შანსს 100/1-ზე აფასებდნენ. ოთხი წლის შემდეგ ვითარება ბევრად არ შეცვლილა. რეჰაგელის გუნდს კვლავ მაღალი კოეფიციენტი აქვს - პირველი მატჩის შემდეგ, განსაკუთრებით. მისი ჩემპიონობაზე ყველაზე თავგადაკლული ფანიც კი ველარ დადებს თავს.

შვედეთთან მატჩის მეორე დღეს, რეჰაგელმა პრესკონფერენცია გამართა. კითხვაზე, რატომ აირჩია ასეთი ფრთხილი ტაქტიკა, მწვრთნელმა მიუგო: *"სხვაგვარად რომ გვეთამაშა, პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 5:0 იქნებოდა"*.

ბერძნები მომდევნო მატჩს შაბათს, რუსეთის ნაკრებთან გამართავენ. ოთხი დღის შემდეგ, ჯგუფის ბოლო შეხვედრა ელით ესპანეთთან. გერმანელი მწვრთნელი ამბობს, რომ მისი გუნდი აქცენტს ისევ დაცვაზე გააკეთებს. ბერძნების სტრატეგია არც ერთ შეხვედრაში არ შეიცვლება.

რეჰაგელი: *"რა თქმა უნდა, გვინდა გოლების გატანა, მაგრამ გულახდილად გეტყვით, ბევრი გოლი ვერ გაგვაქვს. ამიტომაც, თუ წარმატების მიღწევა გვსურს, ჯერ კარის უსაფრთხოებაზე უნდა ვიზრუნოთ. შემდეგ კი გამოჩნდება, მოვახერხებთ თუ არა მეტოქის დამწუხრებას. გაითვალისწინეთ, რომ საბერძნეთს გერმანიის ნაკრების შემტევი პოტენციალი არ გააჩნია. ზოგიერთი ფეხბურთელი ოპტიმალურ ფორმაში არ არის, რაც შვედებთან მატჩისას ნათლად გამოჩნდა. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ შვედეთის დარ ათლეტურ გუნდთან, ყველა მცდელობა ამაო გამოდგა."*

საბერძნეთი დრო და დრო ისეთ ამაზრზენ ფეხბურთს თამაშობდა, რომ ტრიბუნები გამაყრუებლად უსტვენდნენ. *"მცველებს უფრო აქტიურად თამაში დავავალე. მათ კი ჩემი მითითება ისე გაიგეს, თითქოს საკუთარ ნახევარზე უნდა ეგორებინათ ბურთი. შვედეთმა დამსახურებულად გაიმარჯვა"*, - თქვა რეჰაგელმა.

თუ ბერძნებს მეოთხედფინალში გასვლა სურთ, ტაქტიკა უნდა შეცვალონ. *"ასეთი თამაშით არც ერთი მატჩის მოგება არ გვიწერია,"* - აღიარებს მეფე ოტო. *ისე ვთამაშობდით, თითქოს გვეშინოდა. როცა ბურთს გამუდმებით უკან აბრუნებ, თამაშის მოგება შეუძლებელია,* - ეს თავდამსხმელ **იოანის ამანატიდისის** სიტყვები გახლავთ - *უნდა შევუტიოთ. მე თუ მკითხავთ, თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა. წინ უნდა გავიხედოთ. მეორე მატჩამდე დარჩენილ დღეებში სწორედ ამაზე უნდა ვიმუშაოთ."*

ბერძნებმა ხუთი მცველისა და ორი საყრდენის გარდა, ორი თავდამსხმელიც გამოიყვანეს, მაგრამ რეალურად, მეტოქის კართან, ერთი კაცი - **თეოფანის გეკასი** იდგა. მისი პარტნიორი, **ანგელოს ხარისტეასი** უმეტესად ნახევარდაცვაში თამაშობდა. მარტო დარჩენილი გეკასი შვედ მცველებთან ვერაფერს ხდებოდა.

შვედეთი მოედნის ცენტრში იოლად გაბატონდა. ნამატჩევს რეჰაგელმა დაიჩივლა - ჩვენმა ნახევარმცველებმა დაკისრებული ამოცანა ვერ შეასრულესო. ბერძნებს ერთი ღირებული მომენტიც კი არ შეუქმნიათ. ისინი ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანასაც კი ვერ ახერხებდნენ.

მეფე ოტოს ტაქტიკის შეცვლას უკიჟინებენ. რეჰაგელი სიჯიუტითაა ცნობილი. რუსეთთან მატჩისას გამოჩნდება, გაითვალისწინებს თუ არა საყოველთაო კრიტიკას. თუ საბერძნეთმა ისევ უკბილოდ ითამაშა, ათენში დაბრუნებული მეფე ოტო ბევრ უსიამოვნო საყვედურს ვერ ასცდება.



ოტო რეჰაგელი

ესპანეთი

# ესპანეთის ლუციფერი

დავიდ ვილია რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ დაავიწყდებათ. ამ ერის დიდი ნაწილის შოვინისტური გატაცების გათვალისწინებით, იოლი შესაძლებელია, ესპანელი ფორვარდი საშვილიშვილო სალანძღავ და საძულველ პიროვნებად აქციონ... თუმცა ვილიას ამით არაფერი დააკლდება. ის ისტორიაში შევიდა და ბუნებრივია, გასული ორი დღის ყველაზე პოპულარულ ადამიანადაც იქცა. ამ ყველაფრის გამო "ვალენსიის" ვარსკვლავი საყოველთაო ყურადღების ეპიცენტრში მოექცა. მასზე იმდენი ინფორმაცია გვაქვს, რომ გაზეთის რამდენიმე გვერდიც კი არ გვეყოფა. ამიტომ, საინტერესო ცნობებს, ფრაგმენტებად და ნაწილ-ნაწილ გაგაცნობთ...




## ვილიას კურიოზული ტრავმა

ესპანეთისა და რუსეთის მატჩის გმირი დაუვიწყარი ტრიუმფის მიუხედავად, შეხვედრის დასრულების შემდეგ ცუდ ხასიათზე გახლდათ. არ გეგონოთ, რომ **დავიდ ვილიას** სამი გოლი არ ეყო. არა, ის კურიოზული ტრავმის გამო წუხდა. პირველი გოლის გატანის შემდეგ ვილია საგოლე პასის ავტორს, **ფერნანდო ტორესს** ძმურად ჩაეხუტა. უსიამოვნო ინციდენტის მიზეზი სწორედ პირენეელთა ძმური ამბორი გამოდგა. საქმე ის არის, რომ პირველი ბურთის აღნიშვნისას დავიდმა მარჯვენა ხელის თითი იტკინა. შეხვედრის მსვლელობისას ის უმნიშვნელო ტკივილს გრძნობდა, თუმცა თამაშის დასრულების შემდეგ სერიოზულად შეშფოთდა. ფეხბურთელს თითი გაუსივდა და ტკივილმაც საგრძნობლად იმატა. დავიდი იმ ავადსახსენებელ ეპიზოდს ასე იხსენებს:

*"ტორესმა ფანტასტიკური დრიბლინგი შეასრულა და არაჩვეულებრივი პასი მომცა. გოლის გატანისთანავე, რა თქმა უნდა, მადლობის სათქმელად გავიქეცი. ფერნანდოს მაისურა დავქაჩე, ის საპირისპირო მხარეს გაიწია და თითი დამეჭიმა. მაშინ იმდენად გახარებული ვიყავი, რომ ტკივილი, პრაქტიკულად, არ მიგრძვნია. გასახდელში შესულმა კი აღმოვაჩინე, რომ ნატკენი ფალანგი გასიებული მქონდა".*

ბუნებრივია, ესპანელმა ექიმებმა ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანეს. ვილია მათ უმალ ინსბრუკის საუკეთესო საავადმყოფოში გააქანეს და რენტგენი გადუღეს. ექიმებმა არცთუ სახარბიელო სურათი მიიღეს. ვალენსიელმა თითი სერიოზულად იღრძო, ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ძვალიც გაებზარა. დავიდს მომდევნო შეხვედრებისთვის ხელზე ფიქსატორს გაუკეთებენ. "სელექსიონის" მთავარი მწვრთნელი იმედოვნებს, რომ საყვარელ შეგირდს ტრავმა არ გაუმიზეზდება.

## მისი საუკეთესო მატჩი

მეორე დილით ვილია საგანგებო პრესკონფერენციაზე მშვენიერ ხასიათზე გამოცხადდა. როგორც გაირკვა, ფორვარდს ტკივილი დაავიწყდა, ჰეთ-თრიკით გამოწვეული სიხარული კი ოდნავადაც არ განელებია. აი, რა განაცხადა მან:

*"შეუძლებელია ჩემი ემოციებისა და განწყობის სიტყვებით გადმოცემა. ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ რუსეთის წინაალმდეგ კარიერის საუკეთესო მატჩი ჩავატარე. ყველაზე კარგი ის არის, რომ ესპანეთის ნაკრებმა ფანტასტიკური შთაბეჭდილება დატოვა. ჩემი აზრით, არაჩვეულებრივად ვითამაშეთ. ბურთს ძალიან კარგად ვაკონტროლებდით. მოედნის ცენტრში სოლიდური უპირატესობა მოვიპოვეთ. მიმაჩნია, რომ გამართულად ვიასპარეზეთ. რუსეთის ნაკრები საკმაოდ ძლიერი გუნდია, ნურავინ იფიქრებს, რომ დიდი ანგარიშით გამარჯვება იოლად მოვახერხეთ. უბრალოდ, მაქსიმალური კონცენტრაციით ვიასპარეზეთ და მეტოქის შეცდომები ჩვენთვის სასარგებლოდ გამოვიყენეთ. ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ტრიუმფალური გამარჯვება მოვიპოვეთ, მაგრამ ამის გამო ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ. მომდევნო შეხვედრებისთვის ისე უნდა მოვემზადოთ, თითქოს რუსებთან საერთოდ არ გვითამაშია. ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ. დარწმუნებული ვარ, ღირსეულად ვიასპარეზებთ და ჯგუფიდან გავალთ. ოპტიმიზმის საბაბს მობილური ნახევარდაცვა, საიმედო დაცვა და ძლიერი თავდასხმა მაძლევს. თუ სადებიუტო ორთაბრძოლაში ოთხი გოლი გავიტანეთ, ვფიქრობ, მომდევნო ტურებშიც მოვახერხებთ მოწინაალმდეგეთა კარის დალაშქვრას. მოკლედ, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მთავარია, ეიფორიამ არ მოგვიცვას".*

## ვილია პლატინის რეკორდის დამხობით იმუქრება

რუსეთის ნაკრების კარში სამი ბურთის შეგდების წყალობით დავიდ ვილია ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის ჰეთ ტრიკის შემსრულებელთა კოჰორტას შეუერთდა. სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად, რამდენიმე მაგალითს გაგაცნობთ.

2000 წლის კონტინენტის პირველობაზე ერთ შეხვედრაში სამი გოლის შეგდება ერთბაშად ორმა ფეხბურთელმა მოახერხა. იუგოსლავიასთან მატჩში **პატრიკ კლუივერტმა** სწორედ სამჯერ გაიტანა. სხვათა შორის, მაშინ 1976 წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფში პირველი ჰეთ ტრიკი გაფორმდა. იმავე ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე პორტუგალიელმა **სერჟიო კონსეისაომ** გერმანიის ეროვნულ გუნდს ასევე სამჯერ გაუტანა.

ამ ჰეთ-თრიკებს ლეგენდარული **მარკო ვან ბასტენის** ტრიუმფი უძღვოდა წინ. 1988 წელს დიუსელდორფში ჰოლანდია ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდა. მაშინ ბევრისთვის მოულოდნელად "ნარინჯისფრებმა" ბრიტანელები დაამარცხეს 3:1. სამივე გოლი, რა თქმა უნდა, მფრინავი ჰოლანდიელის ანგარიშზე ჩაიწერა.


ფერნანდო ტორესი შეცვლამ გააბრაზა

ისევ ოთხი წლით უკან გადავინაცვლოთ და ასევე ლეგენდარული **მიშელ პლატინის** მიღწევაზე ვისაუბროთ. 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბელგიელების წინაალმდეგ მატჩში უეფას ამჟამინდელმა პრეზიდენტმა სამჯერ იხეირა. ის პაექრობა "მამლებმა" გამანადგურებელი ანგარიშით, 5:0 მოიგეს. პლატინის მიღწევა უნიკალურია. მან ჰეთ ტრიკი მომდევნო შეხვედრაში, იუგოსლავიასთანაც შეასრულა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლეგენდარულმა ნახევარმცველმა ევროპის ჩემპიონატების ფინალური სტადიების ისტორიაში ყველაზე სწრაფ ჰეთ ტრიკს გამოჰკრა ხელი. სამი ბურთის შესაგდებად მას სულ რაღაც 18 წუთი ეყო. ეს მოვლენა იმითაცაა საინტერესო, რომ მოსიე მიშელმა ხსენებული სამი გოლი თავური დარტყმით, მარჯვენა და მარცხენა ფეხით გაიტანა.

ფინალურ ეტაპზე შესრულებული პირველი ორი ჰეთ-თრიკი კი გერმანელ ფეხბურთელებს ეკუთვნით. 1980 წელს **კლაუს ალოფსმა** სამი ბურთით ჰოლანდია დასაჯა. ამ საქმის პიონერი კი **დიტერ მიულერი** გახლდათ. გერმანელმა ფორვარდმა დაუვიწყარი შეხვედრა ჩაატარა. 1976 წელს მისი გუნდი იუგოსლავიასთან ნახევარფინალურ დაპირისპირებას 0:2 აგებდა. მიულერი მოედანზე 79-ე წუთზე შევიდა. აღსანიშნავია, რომ ეს მისი პირველი საერთაშორისო ოფიციალური შეხვედრა გახლდათ. ჰერ დიტერმა ბურთთან პირველივე შეხებით ანგარიში გაათანაბრა და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა. იმ საღამოს მიულერმა ერთი გოლი არ იკმარა და დამატებით დროში კიდევ ორჯერ ივაჟკაცა. გერმანელებმა 4:2 მოიგეს და ფინალში გაიღწიეს. მიულერი პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ფეხბურთელია, რომელმაც კონტინენტის პირველობაზე შეცვლაზე შესვლის შემდეგ სამჯერ გამოიჩინა თავი. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ ბატონი დიტერი ევროპის ჩემპიონატების პირველი ჰეთ ტრიკის ავტორია.

როგორც ხედავთ, ამ საპატიო სიას კიდევ ერთი ადამიანის გვარი მიემატა. დავიდ ვილიამ ისტორიაში დაიდო ბინა, თუმცა ესპანელი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს და პლატინის რეკორდის გამეორებას უმიზნებს. ვალენსიელს იმედი აქვს, რომ მიმდინარე ტურნირში სამი ბურთის შეგდების შესაძლებლობა კიდევ მიეცემა. მთავარია, მისმა თანაგუნდელებმა მომდევნო თამაშებშიც შეუწყონ ხელი.

## არაგონესმა ტორესს თითი დაუქნია

უდავოა, რუსეთის წინაალმდეგ გამართული მატჩის გმირი და კაშკაშა ვარსკვლავი დავიდ ვილიაა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, სხვა ესპანელები გულხელდაკრეფილები ისხდნენ და არაფერს აკეთებდნენ. ყველა სპეციალისტი ერთხმად აცხადებს, რომ დავიდს თანაგუნდელების დახმარების გარეშე ამ შედეგის მიღწევა ძალიან გაუჭირდებოდა. ზემოთაც ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, რომ პირველი გოლის გატანაში ფერნანდო ტორესმა უდიდესი წვლილი შეიტანა. "ელ ნინიო" სხვა ეპიზოდებშიც გამორჩეული გახლდათ. პრესამ მისი თამაშიც საუცხოოდ შეაფასა. თითქოს, "ლივერპულის" ფორვარდს ბედნიერებისთვის ყველა საბაბი გააჩნდა, მაგრამ რუსეთთან მატჩმა ტორესი უკიდურესად უკმაყოფილო დატოვა. ამ უკმაყოფილების საბაბი **ლუის არაგონესის** მიერ მიღებული გადაწყვეტილება გახდა. ესპანელთა მთავარმა მწვრთნელმა 53-ე წუთზე ტორესი **სესკ ფაბრეგასით** შეცვალა. ფერნანდო ამით უაღრესად აღშფოთებული დარჩა. აი, რა განუცხადა "ელ ნინიომ" თანამემამულე ჟურნალისტებს:

*"არ დავმალავ, რომ თამაშიდან გასვლით ძალიან გავბრაზდი. ვერ ვხვდები, მთავარმა მწვრთნელმა ეს გადაწყვეტილება რა მოტივით მიიღო. ჩემი აზრით, ძალიან კარგად ვთამაშობდი. თანაგუნდელებიც არაჩვეულებრივად გამოიყურებოდნენ, მათთან საერთო ენის გამონახვა არ მიჭირდა, მაგრამ ლუისმა მაინც შემცვალა. ჩემი აზრით, მან არასწორი ნაბიჯი გადადგა".*

საგულისხმოა, რომ მოედნიდან გასვლის შემდეგ ტორესმა მთავარ მწვრთნელს ხელი არ ჩამოართვა. არაგონესს მან ბუზღუნით ჩაუარა, მაისურა მოისროლა და სათადარიგოთა სკამზე დაჯდა. დაგვეთანხმებით, ასეთი საქციელი ყოველთვის დემარშად აღიქმება. ფერნანდო მაშინ მართლაც უკიდურესად გაბრაზებული იყო, თუმცა მეორე დღეს საზოგადოებაში სრულიად დამშვიდებული გამოჩნდა. მან ჟურნალისტებს მოკლე ინტერვიუც მისცა. თქვენს სამსჯავროზე ახლა ყველაზე საინტერესო ფრაგმენტს გამოვიტანთ:

*"ვაღიარებ, ძალიან გავცხარდი. როცა საერთო საქმეს ემსახურები ვალდებული ხარ, ემოციები მოთოკო და ეგოიზმი დათრგუნო. ბუნებრივია, მთავარი მწვრთნელი ყოველთვის გუნდის ინტერესებით ხელმძღვანელობს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გამარჯვება მოვიპოვოთ. ბავშვური საქციელისთვის ბოდიშს ვიხდი. ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. იმედია, ჩემი გაცხარების გამო "სელექსიონი" არ დაზარალდება. დავიდ ვილიას ულრმეს მადლობას ვუხდი. პირველ ყოვლისა იმის გამო, რომ გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა. და მეორე, დავიდმა პირველი გოლი მე მომიძღვნა. სასიამოვნოა, რომ ჩემმა მეგობარმა გარჯა დამიფასა".*

ტორესის მიერ ბოდიშის მოხდამ ჯიუტ და პრინციპულ ლუის არაგონესს გული ვერ მოულბო. პირენეელთა თავკაცმა შეგირდის დემარშს საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა და განაცხადა:

*"ყველას გასაგონად ვამბობ, რომ ასეთ გამოხდომებს შევეგუები. მე მთავარი მწვრთნელი გახლავართ და შეცვლებს ვერავის ვერ შევუთანხმებ. დისციპლინის დარღვევას არ დავუშვებ. ძალიან კარგად მესმის, რომ ფეხბურთელებს ემოციებთან გამკლავება ძალიან უჭირთ. ფეხბურთელი მეც ვყოფილვარ. შეცვლებზე მეც მტკივნეულად ვრეაგირებდი, მაგრამ წლების გასვლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება. ტორესს კატეგორიულად ვაფრთხილებ, დემარშს კიდევ თუ მოაწყობს, ნაკრებიდან გავაძევებ. მე მისი ტალანტის თაყვანისმცემელი ვარ, "ელ ნინიოს" თანამედროვეობის უდიდეს ფორვარდად მივიჩნევ, მაგრამ როგორც გითხარით, დისციპლინას არავის დავარღვევინებ. იმედია, ამ საკითხზე საუბარი აღარასოდეს მოგვიწევს".*

[illegible] ნიკოლაიშვილი

# EURO 2008



პირველი ტურის შემდეგ...

# სანახაობაც და პრაგმატიზმიც

...როცა ამ სტრიქონებს გაეცნობით, A ჯგუფში უკვე მეორე ტურის მატჩები იქნება დასრულებული. თუმცა დღეს ჩვენ შევეცდებით, რომ ოთხივე ჯგუფის პირველი ტურის შეხვედრები და ზოგადი ტენდენციები მიმოვიხილოთ. უპირველესად, ის ვთქვათ, რომ სანახაობრივი მხარე ერთობ მაღალია: შვეიცარია-ჩეხეთისა და საფრანგეთი-რუმინეთის მატჩების გარდა, ყველა სხვა დანარჩენი მატჩები ლამაზი გამოდგა. ალარაფერს ვამბობთ დონეზე - თექვსმეტივე გუნდში არაერთი მაღალი კლასის ოსტატი თამაშობს და მათგან, უმრავლესობა, პირველ ტურშიც გამოირჩა. რაც შეეხება ტაქტიკურ სიახლეებს, ამ მხრივ რევოლუციური ჯერ არაფერი ჩანს, თუმც ზოგადი სურათი მაინც გამოიკვეთა: გუნდების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ორი "საყრდენით" ასპარეზობს... ეგ კი არა, ჩეხებს, თურქებსა და იტალიელებს ძირითად შემადგენლობაში სულაც სამი (!) ჩამშლელი ტიპის ნახევარმცველი ჰყავდათ. სამწუხაროდ, კლასიკური "ათი ნომრების" დრო ნელ-ნელა წარსულს ბარდება. თანამედროვე ფეხბურთისთვის უკვე "ზედმეტია" მარადონას, კრუიფის, პლატინის, ზიდანისა და ყიფიანის სტილის ფეხბურთელები...

ფაქტობრივად, ამ ჩემპიონატზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ორი გამოკვეთილი ფლეიმეიქერი ვიხილეთ - **დეკუ** (პორტუგალია) და **ვან დერ ვაარტი** (ჰოლანდია), თუმცა მათაც ზურგს ორ-ორი ჩინებული საყრდენი ნახევარმცველებიც უმაგრებდნენ. მოკლედ, ხვდებით, რომ ჯერჯერობით, ტურნირზე "მოდური", 4-2-3-1 განლაგება "ბატონობს"; თურქებმა 4-3-2-1 შემოგვთავაზეს, რუსებმა და ჩეხებმა - 4-5-1, აი, ბერძნები კი სულაც ხუთი მცველით გამოვიდნენ. ანუ, გამოდის, რომ კლასიკური (4-4-2) სქემა ნამეტნავ "უმცირესობაშია". თუმცა, ვინც აირჩია, არ უნანია და ამის ნათელი დადასტურება ესპანეთის ნაკრების შთამბეჭდავი თამაში იყო. პირველი დღის მერე აღვნიშნეთ, რომ პორტუგალიის სახით პირველი ფავორიტიც ვიხილეთ. **ლუიშ ფელიპე სკოლარის**, მართლაც, ჩინებულ გუნდს კი დღე და დღე ემატებოდნენ სხვა ფავორიტებიც: გერმანია, ჰოლანდია, ესპანეთი. ჩვენც თანმიმდევრულად მივყვეთ და ჯერ ყველა ტურნირის მარადიულ ფავორიტზე, გერმანიის ნაკრებზე ვისაუბროთ. რა თქმა უნდა, ერთი მატჩით ძნელია საბოლოო დასკვნების გამოტანა, მაგრამ რეალობასაც ვერსად გავექცევით - **იოახიმ ლიოვმა** ოპტიმალურ შემადგენლობასაც მიაგნო და თავის სამწვრთნელო შესაძლებლობები ყველას თვალნათლივ დაგვანახა. ყველასთვის მოულოდნელი იყო მისი არჩევანიც, როცა ნახევარდაცვის ფლანგები **კლემენს ფრიტცსა** და **ლუკას პოდოლსკის** ჩააბარა; ამ უკანასკნელს კი ამპლუის შეცვლა ისე მოუხდა, რომ სულაც დუბლი შეასრულა. ნაკრებში მოსვლის მერე ლიოვი მისთვის საყვარელ ტაქტიკურ სქემას (4-4-2) არ ცვლის და ასე იყო ახლაც. სამაგიეროდ, ჰოლანდიელთა მთავარი მწვრთნელი **მარკო ვან ბასტენი** არ მოერიდა რადიკალურ ცვლილებებს. ვერც ვიხსენებთ, რამდენი წელიწადია, რაც ჰოლანდიური კლუბები თუ ამ ქვეყნის ნაკრები თავიანთთვის "საკულტო" განლაგებით (4-3-3) ასპარეზობენ. თუმცა ვან ბასტენმა "ტრადიციასაც" უგანა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნაკრები ნელ-ნელა გადაიყვანა თანამედროვე და, რაც მთავარია, უფრო ეფექტიან 4-2-3-1-ზე. კრიტიკოსები და ქომაგები აღშფოთებას ვერ მალავდნენ - ჰოლანდიის ნაკრების სანახაობრივი მხარე მცირდებოდა, შედეგიანობამაც იკლო; მაგრამ ვან ბასტენი, წარსულში გენიალური ცენტრფორვარდი, გამჭრიახი და, მართლაც, მაღალი დონის მწვრთნელი გამოდგა! აბა, გაიხსენეთ, როდის წააგო ბოლოს იტალიის ნაკრებმა სამი ბურთის სხვაობით? ვან ბასტენმა თავის კოლეგასა და 90-იანი წლების ფანტასტიურ "მილანში" ყოფილ თანაგუნდელ **რობერტო დონადონის** სასტიკი მარცხი აგემა! დონადონის ისედაც უდიდესი ტვირთი ერგო, როცა ნაკრებში... **მარჩელო ლიპის** მერე მივიდა. ეგეც რომ არ იყოს, პროვინციული "ლივორნოდან" რომ მსოფლიო ჩემპიონი გუნდის მწვრთნელად მიდიხარ, რაღაც განსაკუთრებული მონაცემები უნდა გქონდეს. დონადონის კი ასეთი არ აღმოაჩნდა; უფრო მეტიც: 90 წუთის განმავლობაში ჰოლანდიელებმა საფეხბურთო სამყარო გასული საუკუნის 70-იან წლებში დააბრუნეს. ანუ, ახლაც ტოტალური ფეხბურთის ზეიმი იყო! ვან ბასტენმა იმდენი სიურპრიზი მოუმზადა მეტოქეს, რომ სანამ იტალიელები გამოერკვეოდნენ, თამაში უკვე მორჩენილი იყო. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ დაცვის მარჯვენა ფრთაზე **ხალიდ ბულარუზი** ითამაშებდა? ფეხბურთელი, ვინც განაცხადში ჩემპიონატის დაწყების წინ, **რაიან ბაბელის** ტრავმის გამო მოხვდა; უცნაური იყო ასევე ძირითადში **დირკ კუიტის** გამოჩენა - შესარჩევში და ბოლო ამხანაგურებში ვან ბასტენი "ლივერპულის" ფორვარდს აღარ ენდობოდა; არანაკლებ მოულოდნელი იყო საყრდენებად **ნაიჯელ დე იონგისა** და **ორლანდო ენგელაარის** გამოჩენა - ამ დუეტმა მთლიანად "გადაყლაპა" იტალიელთა და, კერძოდ, "მილანის" მრისხანე ნახევარმცველების ტრიო, **ჯენარო გატუზოს, მასიმო ამბროზინისა** და **ანდრეა პირლოს** სახით. არადა, ჩემპიონატის დაწყებამდე თითქმის ყველა საკონტროლო მატჩში ვან ბასტენი ცენტრში **დემი დე ზეეუვსა** და **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს** ათამაშებდა. ეს უკანასკნელი იტალიელებთან მატჩში თავის ჩვეულ ადგილას, მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობდა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესოც იყო (ისე, როგორც დაუღალავი **უესლი სნეიდერი**). საერთოდაც, ვან ბასტენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჰოლანდიური სამწვრთნელო სკოლა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. **რინუს მიხელსი, იოჰან კრუიფი, ლუის ვან გაალი, ფრანკ რაიკაარდი** - ყველა მათგანს საკლუბო და სანაკრებო დონეზე არაერთი გამარჯვება მოუპოვებია. ამას გარდა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ევროპის ჩემპიონატზე... ერთდროულად სამი ჰოლანდიელი მწვრთნელია! ვან ბასტენზე უკვე ვთქვით და დანარჩენი ორი ვახსენოთ. **ლეო ბეენჰაკერი** უაღრესად გამოცდილი სპეციალისტია და თავისი შესაძლებლობები ადრეც არაერთხელ დაამტკიცა. სამწუხაროდ, "გერმანული მანქანის" სახით ისეთი ძლიერი მეტოქე ჰყავდა, რომ წაგებაში არავინ დაძრახავს. მით უმეტეს, რომ ტრავმის გამო პოლონელებს გუნდის კაპიტანი **მაცეი ჟურავსკი** გამოაკლდათ. ბეენჰაკერს კიდევ აქვს საშუალება სიტუაცია გამოასწოროს - ავსტრია და ხორვატია ნამდვილად არ არიან გერმანიის დონის გუნდები.

აი, კიდევ ერთ აღიარებულ და გამოცდილ ჰოლანდიელ მწვრთნელს **გუუს ჰიდინკს** საქმე ბევრად უფრო რთულად აქვს. ჰიდინკს სამწვრთნელო მიღწევებთან ერთად კოლეგებისგან ერთი განმასხვავებელი ნიშანიც ჰქონდა. "მისტერ... იღბლიანი" მსოფლიო ფეხბურთში ჰიდინკის მსგავსი ყისმათა მწვრთნელი, ალბათ, არც ყოფილა (ერთ ცნობილ ქართველ სპეციალისტს თუ არ ჩავთვლით) და ტყუილად არ შეურქმევიათ. მაგრამ ყველასა და ყველაფერს აქვს დასასრული და მითი ჰიდინკის "მარადიული იღბლიანობის" შესახებ ესპანელებმა დაამსხვრიეს! არ დავმალავთ - რუსეთის ნაკრებისგან ამ ჩემპიონატზე ბევრს მოელოდნენ (ისევ და ისევ მწვრთნელის ფაქტორის გამო), და ეს იმის მიუხედავად, რომ ჰიდინკმა არაერთი საკამათო საკადრო გადაწყვეტილება მიიღო. დავიწყოთ იქიდან, რომ ადრევე უარი თქვა ორ, მართლაც, ჩინებულ ნახევარმცველზე - **ალექსეი სმერტინსა** და **მარატ იზმაილოვზე**; იგივე ბედი ეწიათ ცნობილ ფორვარდებსაც: **ალექსანდრ კერჟაკოვსა** და **დმიტრი ბულიკინს**. ზედ ჩემპიონატის წინ მთლიანად შეცვალა დაცვის ხაზი (რატომღაც, ტყუპი **ბერეზუცკები** და **სერგეი იგნაშევიჩი** მოიძულა), ასევე ამპლუები შეუცვალა რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს (**იური ჟირკოვს, დმიტრი სიჩოვს**), კაპიტნის სამკლაური **სერგეი სემაკს** ჩააბარა, ფეხბურთელს, რომელსაც ორი წელიწადი ნაკრებში აღარ იძახებდნენ; და, რაც მთავარია, შეცვალა ტაქტიკა. საბოლოოდ, რაც მოიმკო, ყველამ ვნახეთ - ესპანეთის ნაკრებმა პირწმინდად დაჯაბნა მეტოქე. რომ არა **იგორ აკინფეევი**, ანგარიში უფრო კატასტროფულიც იქნებოდა, მაგრამ რუსეთის ნაკრების, მართლაც, ჩინებული მეკარეც უძლური იყო ესპანელთა წინააღმდეგ. აი, **ლუის არაგონესს** კი, თამამად შეუძლია თავისი სიჯიუტითა თუ არანაკლებ რადიკალური ექსპერიმენტებით იამაყოს! ესპანეთმა ჯერჯერობით, ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, **დავიდ ვილიამ** ჩემპიონატზე პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა, და საერთოდაც ნათლად ჩანდა, რომ არაგონესმა თავის სახელოვან კოლეგას ტაქტიკური დუელი მოუგო.

...1988 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრებმა ჯგუფში პირველი მატჩი წააგო. იმ შეხვედრაში მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე ვან ბასტენი, მაგრამ ვერც მან მოახერხა თამაშში გარდატეხის შეტანა. საბოლოოდ, ყველაფერი როგორც დასრულდა, კარგად მოგეხსენებათ: ჰოლანდია ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო ვან ბასტენი - საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი. ანუ, იმის თქმა გვსურს, რომ ერთი შეხვედრით საბოლოო დასკვნების გამოტანა ნაადრევია. იმავე საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებების ჩამოწერაზეც ფიქრი ზედმეტია; ისევე როგორც სხვა გუნდების. თუნდაც, შვედების შანსებზე რატომ არ უნდა ვისაუბრობთ? ისე, სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ შვედეთისა და საბერძნეთის მატჩი ერთობ მოგვეწონა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ორი ყველაზე ხანდაზმული გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს და ამის მიუხედავად, საკმაოდ სწრაფი თამაში ვიხილეთ. **ზლატან იბრაჰიმოვიჩზე** კი ახალი რა უნდა ვთქვათ? ამ ჩემპიონატის ყველაზე ლამაზი გოლი ხომ სწორედ მან გაიტანა...

დაბოლოს, პირველი ტურის კიდევ ორ უცნაურობაზეც. პირველი ის არის, რომ თითქმის ყველა მატჩი უკომპრომისოდ გამოირჩევა - რვა მატჩიდან მხოლოდ ერთი დასრულდა ფრედ! მეორე არანაკლები უცნაურობა კი მსაჯების ქმედებაა. ამ შემთხვევაში არ ვისაუბრებთ კონკრეტულ ეპიზოდში პენალტისა თუ სადაო თამაშგარე მდგომარეობის დანიშვნა-დაფიქსირებაზე; თვალში სხვა რამ გვხვდება - ყვითელი ბარათების სიმცირე! ანუ, მსაჯები ფეხბურთელებს თამაშის საშუალებას აძლევენ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო - მთავარი ხომ ახლა იწყება...

## პირველი ტურის სიმბოლური ნაკრები





პირველი ტურის საუკეთესო გუნდი და საუკეთესო მწვრთნელი: ჰოლანდიის ნაკრები და მარკო ვან ბასტენი

**გია ტუხაშვილი**

კალათბურთი. ნაკრების კანდიდატი

# მიშა და სტაბილურობა



**მიხეილ ფანჩულიძე**
დაიბადა: 24.09.1983
სიმაღლე: 195 სმ.
გუნდი: თსუ
პოზიცია: მსროლელი/მსუბუქი ფორვარდი

**კარიერა**
1999-01 "ორშერ ვალეი" (აშშ-ს სკოლა)
2001-03 "ნესა" (აშშ-ს კოლეჯი)
2003-08 თსუ (საქართველო)

მეექვსე წრეში თსუ-ს ძალიან გაუჭირდა. იგი მეორე ადგილიდან მეოთხემდე ჩამოქვეითდა და პლეი ოფს მიღმა დარჩენის საშიშროების წინაშე დადგა. დინამოელებმა "ავიამშენთან" მოგებით თსუ-ს გადასწრებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთეს, მაგრამ იმავე დღეს სტუდენტებმა ბევრისთვის მოულოდნელად რუსთავში "ენერჯი" დაამარცხეს. მეორე დღეს თსუ-მ "ავიამშენსაც" მოუგო და რეგულარული ჩემპიონატი მეორე ადგილზე დაასრულა.

ამ ორ კრიტიკულ მატჩს **ნუგზარ ჭეიშვილი** ვერ მოიგებდა, **მიხეილ ფანჩულიძე** რომ არ ჰყოლოდა. მიშამ რუსთაველებთან მეორე ტაიმში გაილაღა, რამდენიმე გადამწყვეტი სამქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 22 ქულით დაასრულა. მომდევნო დღეს "ავიამშენთან" ორმაგად უკეთესად ითამაშა და ქულების რაოდენობაც თითქმის გაიორმაგა - 42. 42 ქულა ერთი-ორად მაშინ ფასობს, როცა გუნდისთვის გამარჯვება მოაქვს და როცა ჩემპიონატის საუკეთესო დამცველის მეურვეობის ქვეშ გიწევს თამაში - ფანჩულიძის მეურვე კოტე ტულუში ჩვენი გაზეთის გამოკითხვაში საუკეთესო დამცველად დასახელდა. აი, რა თქვა ტურის კალათბურთელად აღიარების შემდეგ მიშა ფანჩულიძემ: "თსუ კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა, "ენერჯისთან" და "ავიამშენთან" წაგებებს შეიძლება პლეი ოფს მიღმა დავეტოვებინეთ, ამიტომ ფსიქოლოგიურად სათანადოდ განვეწყე და შედეგიც მივიღე. ამა თუ იმ მატჩისადმი წინასწარ განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს".

მეექვსე წრის ბოლოს, აპრილში დავწერეთ - მიხეილ ფანჩულიძე ნაკრების მწვრთნელის ყურადღებას იმსახურებს-თქო. თუმცა, მან პლეი ოფი ისე ვერ ჩაატარა, როგორც "ავიამშენთან" მატჩი, მარტოს ერთი შეხვედრის ბედიც არ გადაუწყვეტია და ჩვენს დაწერილზე დაგვაფიქრა: ნაკრებში მისი გამოძახება ნაადრევი ხომ არ იქნებაო.

თუმცალა, ეროვნული გუნდის გაფართოებული შემადგენლობის გამოცხადებამ საკითხი სხვაგვარად დასვა: ნაკრებში მოხვედრა-არმოხვედრის საკითხი თავად კალათბურთელის გადასაწყვეტია - თუ მწვრთნელი იგორ კოკოშკოვს თავს მოაწონებს, მისთვის ეროვნულის კარი აუცილებლად გაიღება. გაფართოებული შემადგენლობისთვის შეკრება 25 ივლისს დაიწყება და თავგამოჩენილებს ბატონი კოკოშკოვი 12-კაციან განაცხადში ჩასვამს.

ფანჩულიძეზე საუბრისას წუთშესვენებას ავიღებთ და მოგახსენებთ: **დღეიდან 25 ივლისამდე ჩვენი გაზეთის მკითხველს ნაკრების ყველა კანდიდატს შევახვედრებთ.** წინასწარ იმასაც გეტყვით, რომ მომდევნო კანდიდატი, ვისზეც ფანჩულიძის შემდეგ ვისაუბრებთ, **ანატოლი ბოისა** იქნება. წუთშესვენების შემდეგ ერთი გუნდი მეორეს დიდხანს რომ ელოდება, მოსაწონი ნამდვილად არ არის. ამიტომ მოედანზე სწრაფად დავბრუნდეთ და მიხეილ ფანჩულიძეზე საუბარი განვაგრძოთ.

იგი ამერიკიდან საქართველოს ჩემპიონატში მაშინ დაბრუნდა, როცა თსუ-ს მამუკა ტურაშვილი ხელმძღვანელობდა. მწვრთნელი მიშას ბოლომდე ენდობოდა და უკვე 2005 წელს გაჩნდა აზრი ფანჩულიძის ნაკრებში გამოძახების შესახებ. 2006-07 წლებში თსუ-ში ორი მწვრთნელი შეიცვალა და კალათბურთელს შედარებით ნაკლები სათამაშო დრო ეძლეოდა. 2007-08 წლების სეზონში კი ნუგზარ ჭეიშვილის გუნდში ყველა ბოლომდე გაიხსნა, მათ შორის ფანჩულიძეც.

იგი 195 სმ. სიმაღლისაა და ფლანგის მოთამაშეა. ხან მსროლელის ფუნქციებს ასრულებს, ხან მსუბუქი ფორვარდის.

მიშა ფანჩულიძეს არ დაეწუნება სისწრაფე, სიხისტე, დაცვაში თამაში (საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე) და სროლა. მისი მთავარი პლუსი ის გახლავთ, რომ სისწრაფეს როცა აკრეფს, თამამად შედის ფარქვეშ და არც საკუთარ ტრავმას ერიდება, არც - მეტოქისას.

მისი მინუსი, არასტაბილურობაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფანჩულიძეს ისე რომ ეთამაშა, როგორც მესამე წრის ბოლოს, თსუ შეიძლება ფინალში მოხვედრილიყო.

**მოდით, ახლა თავად მიხეილ ფანჩულიძეს მოვუსმინოთ. მასთან საუბარი ნაკრების სიაში შეყვანით დავიწყეთ.**

- ეს კარგი წამოწყებაა. ეროვნული გუნდის თავკაცმა უნდა იცოდეს, რა რეზერვი გააჩნია. ამისთვის აუცილებელია ის კალათბურთელები შეათვალიეროს, ვინც საქართველოს ჩემპიონატში გამოირჩევიან. ყველას კარგად მოეხსენება, რომ თითოეულ მწვრთნელს თავისებური გემოვნება გააჩნია, შეიძლება ერთს დაცვაში კარგად მოთამაშეები მოსწონდეს, მეორეს - შემტევები, კარგი მეპასეები და ა.შ. მოკლედ, კალათბურთელები საკუთარი ტაქტიკისთვის თავად უნდა შეარჩიოს.

**- თუ არ ვცდები, გორდონ ჰერბერტსაც ჰყავდი ნანახი.**

- მნახა, მაგრამ სამოქალაქო ფორმაში. ვისაუბრეთ, ვუთხარი ამერიკაში სადაც ვთამაშობდი და გაიხსენა, რომ ჩემს ყოფილ კლუბთან კოლეჯში მუშაობისას ხშირად უთამაშია. ეს იყო და ეს, გორდონ ჰერბერტს შეკრებაზე არ გამოვუძახებივარ.

**- იგორ კოკოშკოვს რით შეიძლება თავი მოაწონო?**

- მოვეწონები თუ არა, ეს მწვრთნელის საქმეა. მე კი ვეცდები, როგორც ყოველთვის, დაცვაში მჭიდროდ ვითამაშო და მებრძოლი ხასიათი გამოვავლინო. ამის მიღწევა რთული იქნება სათანადო მომზადების გარეშე. სწორედ ამიტომ აქტიურად ვვარჯიშობ და მინდა, ნაკრების შეკრებას ოპტიმალურ ფორმაში შევხვდე. მთავარი კი ის იქნება, მწვრთნელი ვისში რა თვისებებს დაინახავს.

**- გასული სეზონი შენს კარიერაში რა ადგილს დაიკავებს?**

- წინა წელს მცირე ჩავარდნა მქონდა, 2007-08 წლების სეზონში კი შედარებით უკეთ გამოვედი. მქონდა რამდენიმე კარგი თამაში, თუმცა საკუთარი გამოსვლით კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ, სტაბილურობა მაკლდა. ვიმედოვნებ, მომდევნო ჩემპიონატში კიდევ უფრო მოვუმატებ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# ჩემპიონის საკითხი პარასკევს გადაწყდება



ფინალი, შესაძლოა, გადათამაშდეს

როგორც ჩანს, "თბილისის" საკითხი საბოლოოდ პარასკევს გადაწყდება. აღნიშნულ თემაზე არაერთხელ დავწერეთ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალს, რომელშიც "თბილისის" ხელმძღვანელობის აზრით, სტუ-ელ **ლევან ბერძენიშვილს** თამაშის უფლება არ ჰქონდა.

როგორც იქნა, საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში მოვიდა ევროპის ფედერაციის პასუხი. ევროპული ხელბურთის შეფები წერილში კიდევ ერთხელ განმარტავენ, რომ ბერძენიშვილს 17 და 19 მაისს, საქართველოს ჩემპიონატში თამაშის უფლება არ ჰქონდა, რაკილა ევროპის ფედერაციამ მისი თურქული "ჩაიკურიდან" საქართველოში დაბრუნების ლიცენზია გასცა 20 მაისს.

მოკლედ, მოხდა ის, რაც ვივარაუდეთ. ევროპის ხელბურთის ფედერაცია დროულად არავინ ჩააყენა საქმის კურსში, რომ ბერძენიშვილმა "ჩაიკურთან" საიჯარო ხელშეკრულება ვადაზე ადრე - 5 მაისს გაწყვიტა. არადა, თავის დროზე რომ ეცნობებინათ, ევროპა 17 მაისამდე გასცემდა ლევანის სტუ-ში დაბრუნების ლიცენზიას და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი.

ჰოდა, რაკილა ევროხელბურთის შეფებს არავინ აცნობა ამის შესახებ, ხომ არ დაესიზმრებოდათ? ამიტომაც ადგნენ და როგორც საბუთებში ოფიციალურად იყო გაფორმებული, ბერძენიშვილს სტუ-ში დაბრუნების ლიცენზია მისცეს 20 მაისს.

ახლა აღარ დავიწყებთ იმის გარჩევას, ვინ არის დამნაშავე და ვის უნდა ჩაეყენებინა ევროპა დროულად საქმის კურსში. ამაზე საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში პარასკევს იმსჯელებენ და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოვიდნენ შექმნილი ჩიხიდან და ვინ უნდა დაისაჯოს.

ფაქტია, რომ "თბილისის" პრეტენზია საფუძვლიანი აღმოჩნდა და ბერძენიშვილს ოფიციალურად მართლაც არ ჰქონდა ფინალებში თამაშის უფლება. ამდენად, საინტერესოა, რა გზას მონახავს ხელბურთის ფედერაცია.

სტუ-ს ორივე ფინალის 0:10 წაგებას ვერ ჩაუთვლიან, რადგან მაშინ სტუ სავსებით სამართლიანად მიედავება ფედერაციას - თუ ბერძენიშვილს ფინალებში თამაში არ შეეძლო, რატომ მიეცით ამის უფლებაო.

სავარაუდოდ, ფინალები გადათამაშდება. თუმცა, შესაძლოა მეორე - ცოტა არ იყოს, კურიოზული ვარიანტიც - სტუ-ც და "თბილისიც" ჩემპიონებად გამოცხადდნენ. სხვათა შორის, ასეთი ფაქტი რამდენიმე წლის წინათ, აზერბაიჯანის საკალათბურთო ჩემპიონატში მოხდა, როდესაც ფინალში მომხდარი ინციდენტის გამო, "გალა" და ნუგზარ კანდელაკის "გიარბ უნივერსიტეტი' თანაჩემპიონებად გამოაცხადეს...

თუმცა, მოდით, დაველოდით პარასკევის პრეზიდიუმის სხდომას, რომელიც საკმაოდ შრომატევადი იქნება.

**სხვათა შორის, პარასკევსვე ისაუბრებენ ხელბურთის ფედერაციის მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც 29 ივნისს შედგება. პრეზიდენტობის მსურველთა განაცხადი 15 ივნისამდე მიიღება, მაგრამ ჯერჯერობით, საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში არცერთი განაცხადი არ შესულა...**

**კობა ხატისაშვილი**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# ბერლინში უკვე დაასრულეს




გია - ჟორჟი ტოსეირო

ქალთა წყვილის მსგავსად, ბერლინის ეტაპი საკვალიფიკაციო ეტაპზევე დაასრულა ვაჟთა დუეტმა **გეორ-გიამ.** ჩვენი ფრენბურთელები პირველივე შეხვედრაში მასპინძლებს **დოლინგერსა** და **კაცმაკერს** დაუპირისპირდნენ და სამ სეტში დამარცხდნენ 18:21, 21:16, 14:16. მორიგი ეტაპი, სადაც ჩვენი ფრენბურთელები იასპარეზებენ, 17-22 ივნისს, პარიზში გაიმართება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი. ინტერვიუ დავით ჯოჯუასთან

# დიდოსტატური მატება

ამ რამდენიმე დღის წინათ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში სასიამოვნო ცნობა მოვიდა - ფიდეს კონგრესმა, რომელიც 31 მაისს გაიმართა, სამ ქართველ მოჭადრაკეს, დავით ჯოჯუას, თორნიკე სანიკიძესა და ნინო ბაციაშვილს დიდოსტატის ნორმები დაუმტკიცა; სულ მალე კი ოფიციალურადაც მიანიჭებს მოჭადრაკეთათვის უმაღლეს სტატუსს. მოვლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია - ქართული ჭადრაკი სამი დიდოსტატით შეივსო, რაც ნამდვილად იმსახურებს აღნიშვნას. სამივეს ვულოცავთ წარმატებას, მომავალში უფრო ძლიერ ოსტატად ქცეულიყვნენ.

ეს მოვლენა განსაკუთრებით სასიხარულო დავით ჯოჯუასთვის იყო, რომელსაც 8 ივნისს შეუსრულდა 19 წელი. შევნიშნავთ, რომ თორნიკე სანიკიძეცა და ნინო ბაციაშვილიც 19 წლისანი არიან. დღეს იუბილარ დიდოსტატს შეგახვედრებთ – ჯოჯუას რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ და დასტურიც მივიღეთ.

**- დათო, გილოცავ დიდოსტატობას. ალბათ, ძალიან რთული იყო ამ საფეხურამდე მისვლა...**

- დიდი მადლობა მილოცვისთვის. სიმართლე გითხრათ, დიდოსტატის ნორმის შესრულება ძალიან არ გამჭირვებია, - მართალია, სამჯერ უნდა დააგროვო ძლიერ ტურნირებში შესაბამისი ქულები, რაც არ გახლავთ იოლი, მაგრამ შარშანდელი და წლევანდელი საჭადრაკო სეზონი ჩემთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა და ამადაც შევძელი ქულათა საკმარისი მარაგის შექმნა. უფრო საერთაშორისო ოსტატის წოდების მიღება გამიჭირდა - რამდენიმე წელიწადი დამჭირდა მიზნის მისაღწევად.

**- ალბათ, ლოგიკურიც არის - წლების მატებასთან ერთად ოსტატობაც იმატებს და ძლიერ მეტოქეებთან თავს თანასწორად გრძნობ. ერთიც არის, კვალიფიციურ მწვრთნელთან ვარჯიშიც საკმაოდ სასარგებლოა...**



დავით ჯოჯუა

- გეთანხმებით. 2004 წლიდან ხვიჩა სუპატაშვილთან ვმეცადინეობ და ჩემი პროფესიული ზრდაც მასთან მუშაობამ განაპირობა: გავაუმჯობესე სადებიუტო რეპერტუარი; ტაქტიკა-სტრატეგიაშიც ბევრი რამ უკეთ გავითავისე და რაშიც ადრე უკეთ ვიყავი მომზადებული, ცოდნა კიდევ მეტად გავიღრმავე.

**- საქართველოში დღემდე ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატად მერაბ გაგუნაშვილი ითვლება, რომელსაც 17 წლის ასაკში მიენიჭა უმაღლესი წოდება. ბევრად უფროსი არც შენ ხარ და ეს სიამაყის გრძნობას არ განიჭებს?**

- ცხადია, ძალიან მიხარია, მაგრამ შევნიშნავ, რომ ფიდეს კონგრესმა ნორმა დამიმტკიცა, ხოლო ოფიციალურად მაშინ მომანიჭებს, როცა ჩემი რეიტინგი 2500-ს მიაღწევს. პირველ ივლისს გამოქვეყნდება ახალი რეიტინგი, სადაც 2489 ქულა დამიფიქსირდება; 11 ქულასაც, იმედია, მომდევნო სამ თვეში იოლად დავაგროვებ. სხვათა შორის, ასეთივე პირობები აქვს დასაკმაყოფილებელი თორნიკე სანიკიძესაც...

**- დათო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტიც ხარ. სწავლისა და სპორტის შეთავსება არ გიჭირს?**

- ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე მთარგმნელ-რეფერენტის სპეციალობას ვეუფლები. საკმაოდ საინტერესო და საჭირო სპეციალობაა და მეც ვცდილობ, შესაბამისი განათლება მივიღო. მართალია, ხუთოსანი არ გახლავართ, მაგრამ ცუდ სტუდენტად ნამდვილად არ ვითვლები. თავიდან მეგონა, რომ სწავლა ჭადრაკში ხელს შემიშლიდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა - უკეთ ავთამაშდი. შესაძლოა, ჭადრაკის გარდა სხვა სფეროში მოღვაწეობამ, ყურადღების გადატანამ ჭადრაკის მოყირჭებისგან მიხსნა და ზედმეტი ფსიქოლოგიური ტვირთი მომიხსნა, - დამეთანხმებით, მთელი დღის განმავლობაში ერთი საქმის კეთება ძალიან დამღლელი და მოსაბეზრებელია.

**- ბოლო პერიოდი კარგი მქონდაო, აღნიშნე, საქართველოს ჩემპიონატში მართლაც კარგად ითამაშე და მხოლოდ მეოთხედფინალში დამარცხდი მომავალ ჩემპიონ ლევან ფანცულაიასთან. იმ ტურნირებს ხომ ვერ გაიხსენებდი, სადაც ნორმატივი შეასრულე?**

- საქართველოს ჩემპიონატზე ისეთი სისტემით ვთამაშობდი, ნორმას ვერ შევასრულებდი, არადა, ცუდად მართლაც არ მითამაშია: პირველ წრეში დავით ზარქუას ვაჯობე, ხოლო მეორეში ზურაბ სტურუა დავამარცხე. პირველად ნორმა 2007 წელს თბილისში, არჩილ ებრალიძის მემორიალზე შევასრულე; მეორედ - ერევანში - იმავე წლის ოქტომბერში. მესამე და გადამწყვეტი ევროპის ჩემპიონატზე, პლოვდივში მივიღე, თუმცა, ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი ორ ნორმად ითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთიც რომ მქონოდა იქამდე, მაინც ჩამეთვლებოდა.

**- კიდევ ერთხელ გილოცავ წარმატებას და მალე სუპერ-რეიტინგიც მოგვილოცოს.**

- დიდი მადლობა.

ზვიად შათირიშვილი

# მაინც არ ითამაშა

ლამის საგად ქცეული ამბავის ბოლო, როგორც იქნა, გამოჩნდა და დადგინდა, რომ 16-წლამდელთა საქართველოს ნაკრებში მეოთხე ვაკანტური ადგილისთვის მინი-ტურნირში **გიორგი ნიკოლაშვილთან, ზურაბ ჯავახაძესა** და **თორნიკე გაბუნიასთან** ერთად **რევაზ ჭკუასელი** იბრძოლებს. რევაზის მას შემდეგ მისცეს თამაშის უფლება, რაც **ქეთი ნაწალაშვილმა** საბოლოოდ თქვა უარი. არადა, თითქოს ნაწალაშვილმა შეცვალა გადაწყვეტილება და თამაშზე დასტური მისცა, მაგრამ ტურნირის დაწყების დღეს არ გამოცხადდა. წესის თანახმად, მწვრთნელთა საბჭომ იმსჯელა და მეოთხე კანდიდატად რევაზ ჭკუასელი დაასახელა.

შეჯიბრი წრიული სისტემით, ორ წრედ გაიმართა. სულ ექვსჯერ მოუწევთ მოჭადრაკეებს დაფებთან დასხდომა. გუშინ მეორე ტურის მატჩები გაიმართა. პირველ ტურში ჭკუასელი თეთრებით ჯავახაძეს შეხვდა და დამარცხდა, გიორგი ნიკოლაშვილმა კი თორნიკე გაბუნიას სძლია. მეორე ტურში რეზო ჭკუასელი კვლავ თეთრებით იყო, ამჯერად გიორგი ნიკოლაშვილს ხვდებოდა და კვლავ მარცხი იწვნია; ზურაბ ჯავახაძისა და თორნიკე გაბუნიას შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

ორი ტურის შემდეგ 2 ქულით ნიკოლაშვილი ლიდერობს; ჯავახაძეს 1.5 ქულა აქვს; გაბუნიას - ნახევარი, ხოლო ჭკუასელი უქულოდაა. დღეს, მესამე ტურში ხვდებიან: გაბუნია-ჭკუასელი; ნიკოლაშვილი-ჯავახაძე.

ზვიად შათირიშვილი



ქეთი ნაწალაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. U 12

# დეა ლიდერობს, ბიჭებში ორხელისუფლებიანობაა

12-წლამდელთა ჩემპიონატი დღეიდან გადამწყვეტ ფაზაში შევა - დარჩა სამი ტური, რომელიც ყველაზე დამაინტრიგებელი იქნება. გუშინ, მეექვსე ტურის პარტიები გათამაშდა. როგორც გახსოვთ, გოგონებშიც და ვაჟებშიც 5 ქულით ერთპიროვნული ლიდერები იყვნენ გამოკვეთილი: **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** და **დეა გოგიშვილი**. ქუმსიაშვილს ნახევარი ქულით ოთხი მოჭადრაკე ჩამორჩებოდა, რაც მას მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევდა, გოგიშვილს კი ერთქულიანი უპირატესობა ჰქონდა, ასევე ოთხკაციან ჯგუფთან და შეეძლო ურისკოდ ეთამაშა. ასეც მოიქცა და მიუხედავად იმისა, რომ თეთრებით ეთამაშებოდა **ანა შამათავას**, მოსაგებად არ გაიწია - საწყისი უპირატესობა შეინარჩუნა და შუა თამაშში, როცა მძიმე ფიგურები გაიცვალა, ყაიმზეც შეუთანხმდა მეტოქეს. ასეთი შედეგის დაფიქსირებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მეორე დაფაზე, სადაც ოთხქულიანი **მარიამ ვალიშვილი** და **თეკლა მაჭარაშვილი** თამაშობდნენ, რამდენიმე წუთით ადრე ყაიმი გაფორმდა. სხვათა შორის, კიდევ ერთმა ოთხქულიანმა - **ნინო ხომერიკმა** შავებით ვერ გაუწია **ნატო იმნაძეს** სათანადო წინააღმდეგობა და დამარცხდა. იმანძეს 3.5 ქულა ჰქონდა და გამარჯვებამ რეალური შანსები დაუბრუნა - ახლა ის მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს ვალიშვილთან, მაჭარაშვილსა და შამათავასთან ერთად.

ვაჟებში კიდევ დაიძაბა ვითარება. **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** შავებით ხვდებოდა **გიგლა ბენიძეს** და დებიუტის შემდეგ უკეთესი პოზიცია მიიღო, - პაიკითაც დაწინაურდა. ობიექტურად ზედმეტპაიკიანი ენდშპილი უნდა მოეგო, მაგრამ მთლად ზუსტად ვერ ითამაშა და მეტოქემ თავის დაცვა მოახერხა.



ქუმსიაშვილის შეფერხებით ისარგებლა ირაკლი ბერაძემ და შავებით დაამარცხა **მამუკა ანთაძე**, რომელიც ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია. ბერაძეს 5.5 ქულა გაუხდა და ქუმსიაშვილთან ერთად ტანდემში ჩაუდგა ცხრილს სათავეში.

ამათ ხუთი ქულით ოთხი მოჭადრაკე მოჰყვება: **ირაკლი კელაპტრიშვილი, გიგლა ბენიძე, გუგა ბურდული** და **უჩა მღვდელაძე**. 4.5 ქულა ექვს მონაწილეს აქვს, დღეს რომლებიც ერთმანეთში ითამაშებენ. საპრიზო ადგილებისთვის სწორედ ესენი თუ გამოიღებენ ხელს, თორემ სხვებს შანსი უკვე დაკარგული აქვთ.

მეექვსე ტური. გოგონები: **დეა გოგიშვილი (5.5) - ანა შამათავა (4) - 0.5:0.5; მარიამ ვალიშვილი (4) - თეკლა მაჭარაშვილი (4) - 0.5:0.5; ნატო იმნაძე (3.5) - ნინო ხომერიკი (4) - 1:0. ადა ქაქუთია (3.5) - მეგი ჭაჭია (3.5) - 0:1; მარიამ ჭოლაძე (3) - მარიამ სამურკასოვი (3) - 0:1; ნინო ჯღარკავა (3) - მარიამ ცერცვაძე (2.5) - 1:0.**

ვაჟები: **გიგლა ბენიძე (4.5) - ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (5) - 0.5:0.5; მამუკა ანთაძე (4.5) - ირაკლი ბერაძე (4.5) - 0:1; ალექსანდრე ურდულაშვილი (4.5) - ირაკლი კელაპტრიშვილი (4) - 0:1; უჩა მღვდელაძე (4) - გიორგი მამნიშვილი (4) - 1:4; გუგა ბურდული (4) - გიორგი დანგაძე (4) - 1:0; ალექსანდრე ებრალიძე (3.5) - ბექა ბესელია (3.5) - 1:0; ნიკოლოზ ბერძენაძე (3.5) - გიორგი სიბაშვილი (3.5) - 1:0.**

მეშვიდე ტურში: გოგონები: **დეა გოგიშვილი (5.5) - მარიამ ვალიშვილი (4.5); თეკლა მაჭარაშვილი (4.5) - ანა შამათავა (4.5); მეგი ჭაჭია (4) - ნატო იმნაძე (4.5); მარიამ სამურკასოვი (4) - ნინო ჯღარკავა (4); ნინო ხომერიკი (4) - ადა ქაქუთია (4).**

ვაჟები: **ირაკლი ბერაძე (5.5) - ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (5.5); ირაკლი კელაპტრიშვილი (5) - გიგლა ბენიძე (5); გუგა ბურდული (5) - უჩა მღვდელაძე (5); გიორგი ბოსიკაშვილი (4.5) - ალექსანდრე ებრალიძე (4.5); დიმიტრი ოხანაშავილი (4.5) - მამუკა ანთაძე (4.5); ალექსანდრე ურდულაშვილი (4.5) - ნიკოლოზ ბერძენაძე (4.5).**

ზვიად შათირიშვილი

რაგბი. IRB-ის ერთა თასი

# ამის წაგება როგორ შეიძლებოდა?




**11 ივნისი, ბუქარესტი**

**საქართველო-სამხ. აფრიკა A 3:11**

საქართველო (15-9) ბარკალაია, შკინინი, თოდუა (ხმალაძე 61), გიგაური, ჩხიკვაძე, მალალურაძე, სამხარაძე; (1-8) გასვიანი, ნატრიაშვილი (ბრეგვაძე 77), მელიქიძე (ხოსიტაშვილი 41), ნემსაძე, გუჯარაიძე სბ 7 (უჩავა 41), მაისურაძე, გუნდიშვილი (ძაგნიძე 77), უდესიანი - *ს (ბარკალაია)*

სამ. აფრიკა A (15-9) ბასონი (როუზი 74), ნობლი, იანსენი, ნიუმენი, ლოუსონი, დოლი, პრეტორიუსი (მალგასი 63); (1-8) ფანნიკერკი, იენეკერი სბ 66, ლემერი (ადრიანსე 46), ხრობლერი, დიუპლესი (რუდტი 70), მოფუ (ფარიანსფელდი 66-76), რობენჰაიმერი, პრინსლოო (ჯონსონი 57) - *ლ (ნობლი), 2ს (დოლი)*

მსაჯი: ფალკონე (იტალია)

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა IRB-ის ერთა თასის გათამაშების პირველ დღეს "მზარდ ქურციკებთან" მოსაგები მატჩი 3:11 წააგო.**

"ვოდაკომის" თასზე მოთამაშე მორაგბეებით დაკომპლექტებულ ქურციკთა გუნდს პირველ ნახევარში ბორჯღალოსნებმა ტოლი არაფერში დაუდეს. ერთი ეგ იყო, მაინც ოდნავი რიდით თამაშობდნენ. ერთადერთი, ვისაც არც აფრიკელები ადარდებდა და არც მეტოქის კარის სიშორე, საქართველოს ნაკრების ათი ნომერი **ლაშა მალალურაძე** იყო. 36-ე წუთზე, როცა 0:3 ვაგებდით, ლაშამ ჯერ 60 მეტრიდან საჯარიმო დაარტყა, მერე მეტოქის მიერ 22-მეტრიანი ზონიდან ფეხით გადმოგდებულ ბურთს თითქმის იმავე პოზიციაზე დაეუფლა და ამჯერად არეკნით სცადა კარის დალაშქვრა. ორივე შემთხვევაში ბურთი კარს აცდა და მოედნის მიღმა გადავიდა.

ასეთი მცდელობა უშედეგოდ მაინც არ დასრულებულა. აფრიკელებმა ოცდაორმეტრიანი ზონიდან ბურთის ისე გამოტანა სცადეს, რომ თვითონვე დაუფლებოდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ბორჯღალოსნებმა დერეფნის მოწოდების უფლება მოიპოვეს, მოლით ოცდაორმეტრში შეაღწიეს და იქ წარმოქმნილ რაკში მეტოქეს საჯარიმო გამოსტყუეს. **ოთარ ბარკალაიამ** ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა 3:3.

ანგარიშის გასახსნელად აფრიკელებს მთელი 28 წუთი დასჭირდათ. ამასაც ვერ შეძლებდნენ, ჩვენი შერკინება ცოტა ყოჩაღად რომ დამდგარიყო. პირველ ტაიმში ოთხჯერ დაგვიტრიალეს შერკინება, ერთიც კი საკუთარი დავთმეთ. სალელოედ არც ჩვენს გუნდს შეუტევია და არც მეტოქისთვის მიუცია ამის შანსი.

მეორე ნახევარში საქართველოს ნაკრების უპირატესობა უკვე თვალსაჩინო იყო. თუმცა ანგარიში მეტოქის სასარგებლოდ იზრდებოდა. 49-ე წუთისთვის აფრიკელები 6:3 იგებდნენ. მათმა დამრტყმელმა **ისმაელ დოლიმ** 40 მეტრიდან საჯარიმო გაგვიტანა. აი, ლელო კი სრულიად კურიოზული იყო. შერკინება ჩვენი გუნდის სასარგებლოდ მოწინაალმდეგის ოცდაორმეტრიან ხაზთან დაინიშნა. იქიდან ბურთი თითქოს სუფთად გამოვიდა და **ბიძინა სამხარაძეს** უნდა აელო, მაგრამ მეტოქის 9 ნომერმა დაასწრო, მარცხნივ მოკლე ფრთაზე გარემარბ **ჰოვარდ ნობლს** გადააწოდა, რომელმაც ჩვენი გუნდის ლელომდე ირბინა და ბურთი ალამთან ახლოს დადო. დოლიმ ვერ გარდასახა, 11:3.

ამის შემდეგ აფრიკელებს ანგარიშის გაზრდის შანსი ერთხელაც არ მისცემიათ. ქართველებს კი ამის შესაძლებლობა უამრავი ჰქონდათ. დრამატულ-კომიკური მოვლენები შეხვედრის 58-ე წუთზე მოხდა. რაკში თამაშისას ერთი წუთის განმავლობაში აფრიკელები ორჯერ დაჯარიმდნენ. 45 მეტრიდან საჯარიმო ჯერ **ბარკალაიამ** დაარტყა და მარცხენა ძელს გაარტყა, მერე თითქმის იმავე პოზიციიდან უკვე **მალალურაძემ** დაუმიზნა მარჯვენა ძელს.

რვა წუთში რაკში თამაშისას აფრიკელმა კვაჭმა **ჯოდი იენეკერმა** ჩვენს ერთ-ერთ მორაგბეს ზურგში ფეხი ჩაარტყა, რაც გვერდითმა არბიტრმა შენიშნა და მთავარს აცნობა. იენეკერი ათი წუთით გააძევეს და ბორჯღალოსნების სასარგებლოდ საჯარიმო დაინიშნა. კარში დარტყმა შეიძლებოდა, თუმცა მალალურაძემ კიდეზე გადაიტანა. ხუთმეტრიან დერეფანში ბურთი პირველ მხტომელზე მოვაწოდეთ. **სიმონ მაისურაძე** ბურთს კი დაეუფლა, მაგრამ მოწინააღმდეგესთან ჯაჯგურში, მოლის დაყენებისას მეორეხაზელ **გიორგი ნემსაძეს** უხერხულად მიაწოდა და ამ უკანასკნელს ბურთი იღლიის ქვეშ გაუძვრა. მსაჯმა წინ თამაში დააფიქსირა და შერკინებიდან აფრიკელებმა სიტუაციის განმუხტვა შეძლეს.

კიდევ უფრო ხელსაყრელი მომენტი გავუშვით ხელიდან **ბესიკ უდესიანის** ბრწყინვალე გარღვევის შემდეგ. ბესომ ბურთი მოწინააღმდეგის ლელოდან ხუთ მეტრში მიიტანა, ბოჭვის შემდეგ წარმოქმნილი რაკიდან ბურთის გამოტანისას ერთ-ერთ ბორჯღალოსანს წინ გაუვარდა. არადა მარცხნივ გრძელ ფრთაზე უკანახაზელებს საგრძნობი რიცხვობრივი უპირატესობა ჰქონდა შექმნილი. ერთხელაც, მეტოქის 22-ში მეტოქემ მოლი გაგვიჭედა და ბურთი ასე აგვართვა.

ერთი სიტყვით, წვრილ-წვრილი შეცდომები, რომლებიც მაინცდამაინც გადამწყვეტ მომენტში მოსდიოდათ ჩვენს მორაგბეებს, საკმაოდ ბევრი იყო. არადა, დასანანია, საქართველოს თუნდაც ექსპერიმენტულმა ნაკრებმა სამხრეთ აფრიკის A ნაკრების დამარცხების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან.

დანარჩენ ორ მატჩში იტალიამ პრემიალური ქულით დაამარცხა რუსეთი, ხოლო რუმინეთმა მოუგო, თუმცა პრემია დაუთმო ურუგვაის.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| | |
|---|---|
| იტალია A-რუსეთი | 38:15 |
| რუმინეთი-ურუგვაი | 10:6 |

**მეორე ტური. 15 ივნისი**

საქართველო-ურუგვაი
იტალია A-სამ.აფრიკა A
რუსეთი-რუმინეთი

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი, ისევ მარცხი



მარტის ბოლოს ამერიკულ ჰემონდში მიღწეული წარმატების შემდეგ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა **მაკა ჩახნაშვილმა** (185) ვერა და ვერ შეძლო წარმატების გამეორება. ჰემონდში მან ფინალი დათმო **კარლი გალიქსონთან**, ამის შემდეგ კი 25 წლის ქართველმა ზედიზედ ორი მატჩის მოგებაც ვერ შეძლო. პარიზში, „როლან გაროსის" მეორე საკვალიფიკაციო წრეში დამარცხების შემდეგ მაკამ მარსელში გადაინაცვლა, სადაც 75-ათასიანი საპრიზო ფონდის ტურნირი დაიწყო. პირველ წრეში ჩახნაშვილი რუმინელ **აგნეშ სატმარის** (206) შეხვდა და, მოულოდნელად, სამ სეტში დამარცხდა – 6:3, 4:6, 3:6. ჩახნაშვილი მარსელს უკვე დაემშვიდობა, რადგან წყვილთა თანრიგში არ ასპარეზობს.

ტეხასის შტატის ქალაქ ელ პასოში 25-ათასიან ტურნირში მე-2 ნომრად არის განთესილი 18 წლის **ანა ტატიშვილი** (244). ანა უკვე მერვედფინალშია, თუმცა წესით მას „უაილდ ქარდით" მიწვეულ ამერიკელ **ალექსის პრუსისთან** (518) არ უნდა გასჭირვებოდა, არადა 23 წლის მეტოქე მესამე სეტის ბოლოსღა გატეხა – 3:6, 6:1, 7:5. ანას მომავალი მეტოქე ამალამ გაირკვეოდა **ლინდსეი ლი-უოტერსის** (აშშ) და **ანა ვიშინკის** (ავსტრალია) მატჩში. წყვილთა თანრიგში ანა ტატიშვილმა და **კიმბერლი კაუტსმა** „უაილდ ქარდით" მიწვეული ამერიკელები (**ჰარკინსი, სანდერემი**) დაამარცხეს და მეოთხედფინალში გააღწიეს – 6:2, 7:6 (2).

სტამბოლში (10 ათასი დოლარი) მე-2 ნომრად განთესილი თურქი **კაგლა ბუიუქაგჩაის** (398) და 16 წლის **ანა ჯიქიას** მატჩში **ეკა გორგოძის** მომავალი მეტოქე უნდა გარკვეულიყო. სამწუხაროდ, ანამ დათმო ფავორიტთან – 1:6, 4:6. ასე რომ, გორგოძეს ბუიუქაგჩაისთან მოუწევს ბრძოლა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მატჩი მე-7 ნომრად განთესილი **ოქსანა კალაშნიკოვას** (581) და მისი თანამემამულის, **სოფიო ქვაცაბაიას** (699) შორის გაიმართა. ოქსანამ ორ სეტში დაამარცხა ორი წლით უფროსი მეტოქე – 7:5, 6:1. **მანანა შაფაქიძემ** „იღბლიანი დამარცხებული" **ჯეიდ ჰოპერი** (ავსტრალია) ჩამოიცილა გზიდან – 7:5, 6:1. კალაშნიკოვა რუს **მარია ჟარკოვას** (703) შეხვდება, ხოლო შაფაქიძე – ბელგიელ **ინეკე მერგაერტს** (973).

უკრაინის ქალაქ ჩერკასიში **ლაზარე კუხალაშვილმა** ფინალური საკვალიფიკაციო ბარიერიც დაძლია, მან მე-2 ნომრად განთესილ უკრაინელ **დმიტრო კამინინს** აჯობა – 6:2, 6:3. აი, მე-11 ნომრად განთესილი **გიორგი ხრიკაძე** კი დამარცხდა, მას მე-8 ნომრად განთესილმა რუსმა, **ანდრეი ლევინმა** აჯობა – 4:6, 0:6. ძირითადი ბადის კენჭისყრაში ლაზარეს არ გაუმართლა, მას პირველ ნომრად განთესილი უკრაინელი **არტიომ სმირნოვი** (411) ერგო მეტოქედ. ქართველმა უშანსოდ წააგო – 0:6, 3:6. ძირითადი ბადიდან ჩაება საქმეში საქართველოს ნაკრების წევრი **ნოდარ ითონიშვილი**, თუმცა ისიც პირველ წრეში დამარცხდა მე-6 ნომრად განთესილ უკრაინელ **ალექსანდრ იარმოლასთან** (671) ბრძოლაში – 6:4, 5:7, 2:6. ითონიშვილისა და ხრიკაძის წყვილი პირველივე რაუნდში დამარცხდა ბადეში – (სმირნოვი, **მოლჩანოვი**) – 3:6, 7:6 (4), 4:10.

გერმანიის ქალაქ მაინის ოფენბახში მიმდინარეობს 18-წლამდელ ჩოგბურთელთა პირველი კატეგორიის ტურნირი. ვაჟთა ტურნირის ძირითად ბადეში **ნიკოლოზ ბასილაშვილია** (192). პირველ წრეში 16 წლის ქართველმა გერმანელი **მაიკ ბურლაგე** დაამარცხა – 6:2, 6:4. მეორე წრეში ბასილაშვილი მე-11 ნომრად განთესილ ფრანგს, **ჟულიენ ობრის** (133) ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თავისუფალი ჭიდაობა

# ბოლო სტარტი პეკინის წინ

დღეს საქართველოს ნაკრების ოთხი წევრი - **ოთარ თუშიშვილი** (66), **გელა სალირაშვილი** (74), **რევაზ მინდორაშვილი** (84) და **გიორგი გოგშელიძე** (96) რუმინელ პიტეშტში გაემგზავრა, სადაც 13-15 ივნისს იონ კორნიანუს მემორიალი იმართება. იქიდან გამომდინარე, რომ ახლა ჩვენებურთა უმთავრესი საზრუნავი პეკინის ოლიმპიადაა და აქცენტიც მასზე კეთდება, რუმინეთშიც მხოლოდ ლიცენზიამოპოვებულები გაუშვეს. თუმცა არ წაუყვანიათ ოლიმპიური გუნდის მეხუთე მონაწილე - **ბესარიონ გოჩაშვილი** (55), რომელსაც ამჯერად ასვენებენ. საქმე ისაა, რომ ჩვენებისთვის ეს ბოლო საკონტროლო შეჯიბრებაა ოლიმპიადამდე, გოჩაშვილმა ევროპირველობის მერე ორ სალიცენზიო ტურნირში იჭიდავა და საშეჯიბრო პრაქტიკის დეფიციტს არ განიცდის. აი, დანარჩენებს კი ეს ნამდვილად სჭირდებათ. განსაკუთრებით - თუშიშვილს, მინდორაშვილსა და გოგშელიძეს, რომლებსაც ნაევროპევს არსად უჭიდავიათ, სალირაშვილი კი მახაჩყალაში, ალი ალიევის სახელობის ტურნირში გამოვიდა.

თუმცა ამ ხუთეულიდან სატურნირო პრაქტიკის დეფიციტს ყველაზე მეტად თუშიშვილი განიცდის, რომელიც ნაირნაირმა ტრავმებმა გატანჯეს. ამ მიზეზით ევროპის პირველობაც გამოტოვა და მერე ვერც ალიევის ტურნირში გამოვიდა, თუმცა ეგ ყველაფერი კიდევ ჯანდაბას, ფეხის ტრავმამ კინალამ რუმინულ შეჯიბრებასაც გამოაკლო. მან ფეხი ბორჯომში, შეკრებაზე იტკინა და ტრავმა ძალიან რთული არ იყო, მაგრამ რამდენიმე დღე სრული დატვირთვებით ვარჯიშში კი შეუშალა ხელი. თან, იმის საშიშროებაც გაჩნდა, რომ გართულების შემთხვევაში ვერც რუმინეთში წავიდოდა. საბედნიეროდ, ამჯერად მდგომარეობა არ გართულებულა და ტურნირზე წავიდა, მაგრამ ეს ფეხი მაინც საშიშია. არადა, ტურნირი ჰაერივით სჭირდება, რადგან ძალზე ბევრი გაუცდა.

რუმინეთის ტურნირი ჩვენი ფალავნებისთვის ნაცნობია, ოლონდ მეორე სტილის ნაკრებისთვის. საერთოდ, ეს შეჯიბრება კაცთა ორივე სტილში და ქალებშიც ტარდება, მაგრამ რატომღაც აქამდე იქ ჩვენგან მხოლოდ "ანტიკოსები" მიდიოდნენ. ოლონდ ადრე ტურნირი ქალაქ ბრაშოვში ტარდებოდა, სადაც იქაურებს თურმე მშვენიერი ბაზა ჰქონიათ. ანტიკოსთა დამრიგებელი **ბეგი დარჩია** აღფრთოვანებულია ჩინებულ ბუნებაში გაშენებული იმ კეთილმოწყობილი ბაზით, თუმცა რატომღაც მასპინძლები წლეულს იქაურობას შეელივნენ და ტურნირი პიტეშტში გადაიტანეს.

ეს შეჯიბრება ერთ-ერთი გამორჩეული და ავტორიტეტულია, სადაც მუდამ ძლიერი შემადგენლობა გროვდებოდა. იმედია, არც ამჯერად იქნება სუსტი და ჩვენებს კარგი სპარინგები გამოუვათ. 13-ში აწონვებია, 14-ში კი ჩვენებურთაგან თუშიშვილი და მინდორაშვილი იჭიდავებენ. სალირაშვილი და გოგშელიძე ხალიჩაზე 15-ში გავლენ.



ნაკრების ერთ-ერთი წევრი გელა სალირაშვილი

რუმინეთიდან დაბრუნების შემდეგ ნაკრები სომხურ წახკაძორში გაემგზავრება საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებაზე. შეგახსენებთ, რომ იქ უკვე იმყოფებიან "ანტიკოსები".

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი

# მაკლარენის იუბილე




9 ივნისს, ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გუნდი "მაკლარენი" თავისი პირველი გამარჯვების 40 წლისთავს აღნიშნავდა. ამასთან დაკავშირებით, საჯინიბოს პრესსამსახურმა სადღესასწაულო რელიზი გაავრცელა, ხოლო გუნდის ონლაინ-მაღაზიებში მალე გაიყიდება საიუბილეო სუვენირები.

გთავაზობთ "მაკლარენის" პრესრელიზის რამდენიმე ფრაგმენტს: *"პირველი გამარჯვების დავიწყება შეუძლებელია. Bruce McLaren Motor Racing Team-ს ფორმულა 1-ში დებიუტი 1966 წელს ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ 1968 წლიდან დაიწყო საკუთარი შასის გამოყენება, ხოლო ამავე წლის 9 ივნისს, ბელგიის სპაზე ბრიუს მაკლარენმა პირველ გამარჯვებას მიაღწია. სინამდვილეში, McLaren M7A-მ პირველი სტარტი ცოტათი ადრე, ბრენდს ჰეტჩის ეტაპზე მოიგო, მაგრამ ის რბოლა არ შედიოდა ჩემპიონატის ჩათვლაში. ამიტომაც, გამარჯვებების ოფიციალური ათვლა ბელგიის გრან პრიდან იწყება".*

"მაკლარენს" 24 რბოლა დასჭირდა იმისთვის, რომ ეს ისტორიული გამარჯვება ეზეიმა. **ბრიუს მაკლარენი** მეორე პილოტი გახდა ისტორიაში, ვინც თავისი სახელობის მანქანით შეძლო რბოლის მოგება. პირველად ეს სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა **ჯეკ ბრებემმა** გააკეთა, რომელიც 1966 წელს, საფრანგეთის გრანპრიზე Brabham BT9-ით მივიდა ფინიშზე პირველი.

*"ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე იყო"*, - იხსენებდა მოგვიანებით მაკლარენი. იმ წლებში, სპა ერთ-ერთ ყველაზე რთულ ტრასად ითვლებოდა. ზელანდიელმა 14-კილომეტრიან ტრასაზე 28 წრე გაიარა - 394 კილომეტრი საათსა და 40 წუთში დაფარა და მეორე ადგილზე გასულ **პედრო როდრიგესს** 12 წამი მოუგო.

*"იმ პირველი მოგების შემდეგ გუნდის ფილოსოფია არ შეცვლილა - "მაკლარენის" მთავარი მიზანი ყოველთვის გამარჯვებაა, მაგრამ ფორმულა 1 მას შემდეგ ძალიან შეიცვალა. 1968 წელს, "მაკლარენის" შტატში 30 ადამიანი შედიოდა, რომელთაგან ორი დღესაც მუშაობს Vodafone McLaren Mercedes-ში - ტაილერ ალექსანდერი სისტემური ინჟინრის მოვალეობებს ასრულებს, რეი როუ გადაცემათა კოლოფის მექანიკოსად მუშაობს. დღეს გუნდში 1115 ადამიანი ირიცხება, რომლებიც სამ ბაზაზე - უოკინგში, ბრიკსუორტსა და შტუტგარტში არიან გადანაწილებულნი. "მაკლარენის" 158 გამარჯვებიდან, 54 "მერსედერსთან" თანამშრომლობის შედეგად არის მიღწეული, ამაში შედის მსოფლიო ჩემპიონის სამი ტიტულიც.*

*პროექტი McLaren 7A ოთხი ინჟინერის მიერ იყო შემუშავებული, დღევანდელ MP4-23-ზე კი, 135 სპეციალისტი მუშაობს. მაშინ, მანქანის შესაქმნელად 86 ნახაზი გახდა საჭირო, MP4-23-ის დოკუმენტაცია კი, 4600 გვერდს შეადგენს.*

*McLaren 7A საათში 300 კილომეტრ სიჩქარეს ანვითარებდა, MP4-23-ის მაქსიმალური სიჩქარე 345 კილომეტრს საათში უტოლდება".*

**მაკლარენის სტატისტიკა**

637 სტარტი (228 "მერსედესთან" ერთად)

158 მოგება (54 "მერსედესთან" ერთად)

419 პოდიუმი (169 "მერსედესთან" ერთად)

3219.5 ქულა (1297 "მერსედესთან" ერთად)

137 საუკეთესო წრე (678 "მერსედესთან" ერთად)

**8 კონსტრუქტორთა თასი**

11 ტიტული პირად ჩათვლაში

ამ 40 წლის განმავლობაში, "მაკლარენში" 18 ქვეყნის 47 მრბოლელი ირიცხებოდა.

**გიორგი თვალია**

ჩოგბურთი. უიმბლდონის წინ

# ბორგი: ნადალი უიმბლდონის ფავორიტია

ლეგენდარული შვედი ჩოგბურთელი **ბიორნ ბორგი** იმდენად მოიხიბლა როლან გაროსზე **რაფაელ ნადალის** თამაშით, რომ ესპანელი ჩოგბურთელი 2008 წლის უიმბლდონის მთავარ ფავორიტად მონათლა.

*"ნადალს ნებისმიერ საფარზე შეუძლია თამაში. დღეს რომ უიმბლდონის ფავორიტის დასახელება მთხოვონ, უყოყმანოდ ესპანელს ავირჩევდი. მან უკვე კარგად იცის, როგორ უნდა ითამაშოს და როგორ გაიმარჯვოს ბალახზე. რაფა ბრწყინვალე მოთამაშე და შესანიშნავი ადამიანია"*, - ამბობს ბიორნ ბორგი.

რა თქმა უნდა, ესპანელის მთავარი კონკურენტი **როჯერ ფედერერი** იქნება. შვეიცარიელმა ზედიზედ მესამედ წააგო როლან გაროსის ფინალი რაფასთან, სამაგიეროდ, უიმბლდონის ბოლო ორ ფინალში როჯერი ამარცხებდა ნადალს.

სხვათა შორის, ბორგის ოპტიმიზმს ნაკლებად იზიარებენ ბუკმეიკერები და უიმბლდონის ფავორიტად ფედერერს ასახელებენ. შვეიცარიელის ჩემპიონობაზე ფსონი 11/10-თან არის. ნადალისა და სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩის** შანსები თანაბრად ფასდება - 4/1. ქალებში კი სხვაგვარი სიტუაციაა. შარშანდელი ჩემპიონი **ვენუს უილიამსი** არ ითვლება მთავარ ფავორიტად (3.5/1). ამერიკელი **მარია შარაპოვასა** (2/1) და თავის დას, **სერენა უილიამსს** (9/4) ჩამორჩება. რაც შეეხება მსოფლიოს ახალ პირველ ჩოგანსა და როლან გაროსის ახალ დედოფალს, სერბ **ანა ივანოვიჩს**, უიმბლდონის მოგებაზე მისი ფსონი 6/1-თან არის.

**გია თვალაბეიშვილი**



ბიორნ ბორგი

მძლეოსნობა. ვარსკვლავი

# პაუელს ოლიმპიური ოქრო რეკორდს ურჩევნია

იამაიკელი სპრინტერი **ასაფა პაუელი**, ვისაც ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდი ცოტა ხნის წინათ, მისივე თანამემამულე **უსაინ ბოლტმა** ჩამოართვა, იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ ამ სეზონში მისთვის მთავარი ოლიმპიური ოქროს მოპოვებაა, რეკორდის დაბრუნებაზე კი მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ შეიძლება იფიქროს.

*"რეკორდი ადვილი დასამყარებელია. ამაზე უფრო რეალური და რთული გამოწვევა კი ოლიმპიური, ან მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მოპოვებაა. ოქროს მედალი რომ მოიპოვო, წინასწარ ოთხ გარბენში უნდა მიიღო მონაწილეობა. ასე რომ, ასეთ ტურნირებზე, სისწრაფის გარდა, დიდი მნიშვნელობა გამძლეობასაც ენიჭება. რეკორდს კი ერთ გარბენზე ამყარებ. სულ ესაა"*, - ამბობს ყოფილი რეკორდსმენი, ვინც მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

შესაძლოა, ოქროს მოპოვება მართლაც რეკორდის დამყარებაზე ძნელია, მაგრამ ასეა თუ ისე, პაუელმა მსოფლიო რეკორდსმენის წოდება მაინც დაკარგა და ახლა ის არც მსოფლიო ჩემპიონია, არც ოლიმპიური და არც რეკორდსმენი. პეკინში, თუ მანამდე არაფერი შეიცვალა, ის რიგითი სპრინტერის რანგში იასპარეზებს და შესაძლოა, ეს მისთვის უკეთესიც იყოს. რატომ?

გაგახსენებთ, რომ მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე, სადაც მსოფლიო რეკორდსმენის რანგში იასპარეზა, პაუელმა ფსიქოლოგიური ბარიერი ვერ დაძლია და მისგან რომ ყველა ოქროსთვის ბრძოლას ელოდა, ვერცხლიც კი ვერ აიღო. გავიდა სულ ათი დღე და იამაიკელმა ახალი რკორდი (9.74 წამი) დაამყარა.

ახლა კი ბოლტმა მის რეკორდს 0.02 წამი მოაკლო, რის გამოც, პაუელისგან ქებაც დაიმსახურა. *"ეს შესანიშნავი გამოსვლა იყო. უსაინი ძალიან ნიჭიერი სპორტსმენია და მიხარია, რომ მან ეს შეძლო. ჩვენ ერთი ქვეყნიდან ვართ და მთავარია, რომ რეკორდი ისევ იამაიკელს ეკუთვნის"*, - ამბობს პაუელი, ვინც იუჯინში (შტატი ორეგონი) ჩატარებულ პოპულარულ ტურნირ "პრეფონტეინ კლასიკს" ტრიბუნიდან უყურა, რადგან ახლა ტრავმირებულია და ჯერჯერობით, ასპარეზობას ვერ ახერხებს.

პაუელს მარჯვენა მხარის ტრავმა აწუხებს, რის გამოც, სასტარტო და ზოგიერთ ელემენტზე მუშაობას ვერ ახერხებს. სამაგიეროდ, ინტენსიურად დარბის და როგორც თავად ამბობს, კარგ ფორმაშიც იმყოფება. თანაც, მხარის ტრავმაც თითქმის მორჩენილი აქვს და როგორც თავადვე ამბობს, ორსამ კვირაში, სრული დატვირთვით ვარჯიშსაც დაიწყებს.




ასაფა პაუელი

პაუელი აღიარებს, რომ ოდესმე რეკორდის დაბრუნებას ეცდება, მაგრამ ახლა მთავარი პეკინში გამარჯვებაა: *"რა თქმა უნდა, რეკორდის დაბრუნებას ვეცდები. საერთოდ, როცა სტარტზე გავდივარ, ჩემგან ყოველთვის რეკორდს უნდა ელოდოთ. მაგრამ ამ ეტაპზე, რეკორდზე ფოკუსირებული არ ვარ. ტრავმის მიუხედავად, მაინც არ დამისვენია. სულ ვვარჯიშობ. სანამ მხარი მაწუხებდა, სირბილის ტექნიკას ვხვეწდი. ახლა კარგ ფორმაში ვიმყოფები და ვფიქრობ, რომ ახლავე შემიძლია კარგი შედეგების ჩვენება. ოლიმპიადისთვის კი კიდევ უკეთეს ფორმაში უნდა ვიყო"*.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კრივი

# ჰატონი უარზეა

როჭოს წონის (66.68 კგ-მდე) ბრიტანელმა მოკრივემ, **რიკი ჰატონმა** უარყო ამერიკელი **ოსკარ დე ლა ჰოიას** გამოწვევა, თავისი უარი კი იმით ახსნა, რომ სექტემბერში ბრძოლისთვის მომზადებას ვერ მოასწრებს. ორიოდ კვირის წინ, ჰატონმა ქვე-როჭოს წონაში (63.50 კგ-მდე) მექსიკელი **ხუან ლასკანო** დაამარცხა და მას ნაკლებად პრესტიჟული გაერთიანების, IBO-ის (კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია) ტიტული ჩამოართვა.

დე ლა ჰოიას თავისი კარიერის ბოლოსწინა (თუ რამე არ შეცვალა) ბრძოლის 20 სექტემბერს გამართვა აქვს გადაწყვეტილი, ეს თარილი კი ჰატონისთვის მიუღებელია, რადგან მამამისის, **რეი ჰატონის** თქმით, მისი შვილი ახლა ლასკანოსთან ბრძოლის დროს მიღებულ იარებს იმუშებს, მომდევნო ბრძოლას კი ალბათ, ნოემბერში გამართავს.

*"ჯერ მომდევნო ბრძოლაზე ლაპარაკიც ძალიან ადრეა. რიჩარდმა სულ ორი კვირის წინათ იბრძოლა და ჯერ დასვენება სჭირდება. ოსკარს სექტემბერში მექსიკის დამოუკიდებლობის დღეს ბრძოლა სურს, ჩვენ კი სხვა გეგმები გვაქვს, რიჩარდს ჯერ იარები აქვს მოსაშუშებელი"*, - ამბობს რეი ჰატონი.

დე ლა ჰოიას გაურბისო, ამას ჰატონზე ვერ ვიტყვით, რადგან ის არ მალავს, რომ **ფლოიდ მეივეზერთან** შეხვედრა სურს. მას რევანშის წყურვილი ამოძრავებს, იმ მარცხისთვის რევანშისა, რომელიც სპორტიდან ერთი კვირის წინათ წასულმა ამერიკელმა შარშან აწვნია. ეს ხომ მანჩესტერელი მოკრივესთვის პროფესიულ რინგზე ჩატარებულ 44 ბრძოლაში პირველი მარცხი იყო.

*"რიჩარდს ფლოიდთან რემატჩი სურს. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ის ფიქრობს, რომ პირველ ბრძოლაში ისე ვერ იმუშავა, როგორც შეეძლო. ფლოიდი კრივიდან კი წავიდა, მაგრამ როცა მასზე ვლაპარაკობთ, არასდროს ვთქვათ არასდროს. მას ნებისმიერ დროს შეუძლია გადაწყვეტილების შეცვლა. მითუმეტეს, ამას გავუადვილებთ, თუ სოლიდურ თანხას შევთავაზებთ"*, - ამბობს რეი ჰატონი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მოტორბოლა. ვარსკვლავი

# როსი იამაჰაში რჩება

მოტოგრანპრის სერიის მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერმა, იტალიელმა სუპერვარსკვლავმა **ვალენტინო როსიმ** გადაწყვიტა, რომ "იამაჰასთან" კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელოს. არაა გამორიცხული, რომ კონტრაქტის დასრულების შემდეგ, მან კვალიფიკაცია შეიცვალოს და მოტორბოლებიდან რალის მსოფლიო ჩემპიონატზე გადაინაცვლოს.

*"გუნდმა შემომთავაზა, რომ მე თვითონ გადამეწყვიტა, როდემდე მსურდა კონტრაქტის გაგრძელება. მე კი ამ გუნდში კიდევ ორი სეზონით დარჩენა ვარჩიე. სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, იმაზე ვფიქრობდი, თუ რამდენ ხანს შეიძლებოდა გამყოლოდა მოტივაცია. ვფიქრობ, ორი სეზონი ყველაზე ოპტიმალური ვადაა"*, - ესპანურ სპორტულ გაზეთ "ელ მუნდო დეპორტივოსთან" საუბრისას განაცხადა როსიმ, ვინც მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერია.




ვალენტინო როსი

როსიმ გასულ უქმეებზე მონაწილეობა მიიღო კატალონიის დიდ პრიზზე, რომელიც ესპანელი **დანი პედროსას** გამარჯვებით დასრულდა. თავად იტალიელი ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა. არადა, ბარსელონას "კატალუნია მონტმელოზე", სხვადასხვა კლასის მოტოციკლებით, რვა გამარჯვება აქვს მოპოვებული. კატალონიური ეტაპის შემდეგ, როსი ისევ ჩემპიონატის ლიდერია, პედროსას კი მეორე ადგილი უკავია. მესამეა როსის ესპანელი თანაგუნდელი **ხორხე ლორენსო**. ჯერჯერობით, ტიტულისთვის მებრძოლთა სიაში არ ფიგურირებს გასული სეზონის ჩემპიონი, ავსტრალიელი **კეისი სტოუნერი**.

*"ძალიან მომწონს ეს ტრასა. შარშან აქ სტოუნერმა მაჯობა და ახლა რევანში ავიღე, თუმცა გამარჯვება მაინც ვერ შევძელი"*, - ამბობს 29 წლის იტალიელი, ვისაც სხვადასხვა კლასებში, მსოფლიოს ჩემპიონის შვიდი ტიტული აქვს მოპოვებული.

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. III მატჩი

# ერთი კაცის შოუ



თამაში კობიმ და საშამ მოიგეს

**ლეიკერსი-ბოსტონი 87:81**

**20:20, 23:17, 17:25, 27:19**

ლ: ბრაიანტი (36+7 მოხსნა+2 ჩაჭრა), ვუიაჩიჩი (20), გასოლი (9+12 მოხსნა), ფიშერი (6), ფარმარი (5+5 პასი), ოდომი (4+9 მოხსნა), არისა (4), რადმანოვიჩი (3), ტურიაფი (2 დაფარება), უოლტონი.

ბ: რ. ალენი (25), გარნეტი (13+12 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), პოუსი (9+7 მოხსნა), პერკინსი (8+6 მოხსნა+3 ჩაჭრა+2 დაფარება), რონდო (8), პირსი (6+6 მოხსნა), ჰაუსი (6), ბრაუნი (3), კასელი (2), პოუ (1).

**სერია 1:2**

"ლეიკერსი" არ ბრწყინავდა, **პაუ გასოლი** კვლავ ნებით თუ უნებლიედ, ჩრდილში იყო მოქცეული, მაგრამ მასპინძლებმა მაინც მოახერხეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოპოვება და სერიაში ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს. "ლეიკერსის" წაგების შემთხვევაში, პრაქტიკულად, ყველაფერი გადაწყვეტილი იქნებოდა, რადგან ლიგის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, 0:3-ის შემდეგ, რომელიმე გუნდს სერია მოეგოს.

კიდევ კარგი, კალიფორნიელებს ჰყავთ **კობი ბრაიანტი**, რომელმაც **საშა ვუიაჩიჩის** დახმარებით მოახერხა თავისიანების უფსკრულიდან ამოთრევა და მეოთხე თამაშს **ფილ ჯექსონის** ბიჭები წელში გამართულები შეხვდებიან.

მატჩის შემდეგ, ბრაიანტი გალიმებული იძლეოდა ინტერვიუს. ის აცხადებდა, რომ პირველი ორი მატჩის შემდეგ, ტაქტიკა არ შეუცვლია. მერე რა, რომ მესამე შეხვედრაში იმდენი საჯარიმო შეასრულა, რამდენიც წინა ორ შეხვედრაში ერთად ალებული. აგრესიულობა ბოსტონურ მატჩებშიც იგივე მქონდაო - ამბობდა კობი.

"ლეიკერსის" ლიდერი თვალთმაქცობდა. ის პირველი შესაძლებლობისთანავე მეტოქის ფარქვეშ მირბოდა... როგორც ჩანს, **მეჯიქ ჯონსონს** დაუჯერა. პირველი ორი მატჩის წაგების შემდეგ, "ლეიკერსის" ლეგენდამ Young Hollywood-ს მისცა ინტერვიუ და ასეთი რამ განაცხადა: *"იმედგაცრუებული ვარ. გუნდი ძალიან რბილად თამაშობს, სულ არ ინდომებს დაცვაში და საერთოდაც, ვერაფერს უპირისპირებს "ბოსტონს". ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებთ. "სელტიქსი" კი, ყველა ბურთისთვის იბრძვის.*

*დაუშვებელია, რომ "ლეიკერსი" ასე ცოტა საჯარიმოებს ისვრის. თუ ფარქვეშ არ შედიხარ, შესაბამისად, შენზე არ ჯარიმდებიან. ეს ყველაფერი ნაკლები აგრესიულობის ბრალია.*

*ყველაზე მძიმე სანახავია, როცა პირსი და ალენი თავისუფლად ისვრიან ბურთს. და სად არის ჩვენი ნაქები სათადარიგოთა სკამი? მთელი სეზონი მათი იმედი გვქონდა, დღეს კი ისინი არ ჩანან. რეზერვისტებისგან ორმაგ შედეგიანობას ველი. ამ ყველაფრის შემხედვარე, ძალიან გაბრაზებული ვარ".*

პაუ გასოლი კვლავ არ გავდა საკუთარ თავს. ესპანელი აშკარად დაიღალა და ჩვეული დამაჯერებლობა დაკარგა. მისთვის პასის მიცემა მეტად სახიფათო გახდა, ვინაიდან პაუს იოლად უმკლავდება გარნეტი. გასოლი ანტი-გმირად მოინათლებოდა, მატჩის ბოლოს მეტოქის ფარზე რამდენიმე ბურთი რომ არ მოეხსნა, რისი წყალობითაც "ლეიკერსი" 7 ქულით დაწინაურდა.

შექებას არ იმსახურებენ "ლეიკერსის" სხვა მაღლები - **ლამარ ოდომი** და **ვლადიმერ რადმანოვიჩი**. მათ (გასოლთან ერთად) თამაშიდან 16 ტყორცნა გააფუჭეს (22-დან). შესაბამისად, აქცენტი პერიმეტრზე უნდა გაკეთებულიყო, სადაც ბრაიანტს ვუიაჩიჩი ამოუდგა მხარში.

საშამ "ლეიკერსში" თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. დიდი შესვენების შემდეგ, სამიდან სამი სამქულიანი ჩააგდო, დაცვაშიც ორჯერ საკმაოდ კარგად დაუდგა პირსს და ყველაზე მნიშვნელოვანი ქულები თავის გუნდს ძირითადის დასრულებამდე 2 წუთით ადრე მოუტანა. მასპინძლებს შეტევისთვის განკუთვნილი 24 წამი უმთავრდებოდათ, როდესაც ვუიაჩიჩმა მარჯვენა კუთხიდან უმნიშვნელოვანესი სამიანი ჩააგდო და თავისიანები 81:76 დააწინაურა.

*"ვუიაჩიჩს ყოველთვის ჩემი დიდი ნდობა ჰქონდა. დღეს მან კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ ჩვენი გუნდის ღირსეული წევრია. პაუ? მომენტებში შეცდომებს უშვებდა, მაგრამ მოდით, მის საბოლოო გამოსვლას მარტო სტატისტიკით ნუ განსჯით. გასოლი დიდ ყურადღებას იპყრობს და მასზე თითქმის ყოველთვის ორი მეტოქეა მიკრული. პაუ თავისი გამოცდილებითა და სიმშვიდით ძალიან დიდ დახმარებას გვიწევს"*, - მიაჩნია ფილ ჯექსონს, რომლის გუნდმა 34 საჯარიმოდან 13 ვერ გამოიყენა, ყველაზე მეტად კი იმავე იმავე გასოლმა "იყოჩაღა" - 8-ში 5 ჯარიმა გააფუჭა.

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მასპინძლების მხრიდან შეტევაში ყველაზე ეფექტური (არა სტატისტიკის მხრივ) **ლუკ უოლტონი** იყო, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მოედნის კარგი ხედვით. მხოლოდ მაშინ, როცა ის მოედანზე იყო, "ლეიკერსი" აწყობილ კალათბურთს თამაშობდა - ოდომისა და გასოლის პასებს ბოსტონელები იოლად კითხულობდნენ. საბოლოოდ, უოლტონის მარგი ქმედების კოეფიციენტი +12 გახლდათ. უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ ვუიაჩიჩს ჰქონდა.

მოკლედ, კალიფორნიელები აუცილებლად წააგებდნენ მესამე მატჩს, "ბოსტონის" ორი მეგავარსკვლავს - **პოლ პირსსა** და **კევინ გარნეტს** რომ არ "ეყოჩაღათ".

ლოს ანჯელესში მატჩის მოსაგებად მარტო **რეი ალენი** რომ არაა საკმარისი, ეს აღნიშნულმა შეხვედრამაც დაადასტურა. თუ ალენს, ასე თუ ისე, სროლაც წაუვიდა და ამ დაცვაშიც ნორმალურად ითამაშა, გარნეტი დიდ სისულელეებს სჩადიოდა, პირსმა კი, რაც ისროლა, თითქმის ყველა ააცილა. თავად განსაჯეთ - ამ წყვილმა თამაშიდან 35 სროლიდან მხოლოდ 8 (!) ჩააგდო. ორივემ თავიანთი პირველი ქულები, სადღაც მეორე მეოთხედის შუაში დააგროვეს.

ამჯერად არ წაუვიდა თამაში წინა მატჩის გმირს, **ლეონ პოუს**. ტრავმა მიიღო და ერთი პირობა გასახდელს მიაშურა **რაჟონ რონდომ**... მოკლედ, "ბოსტონისთვის" პრობლემას პრობლემა დაემატა და სერიაში ანგარიშიც მინიმუმამდე შემცირდა. ცნობისთვის, "ლეიკერსი" საკუთარ მოედანზე 28 მარტის შემდეგ არ დამარცხებულა.

**ზურაბ თალაკვაძე**

# ჰიუსტონის მეორე ცდა



ახლო წარსულში, "ნიუ იორკ ნიქსის" ერთ-ერთი ლიდერი, **ალან ჰიუსტონი** კიდევ ერთხელ შეეცდება დიდ სპორტში დაბრუნებას. 1999 წლის ფინალური სერიის მონაწილეს ამჯერად სერიოზული გეგმები აქვს და მიზნის მისაღწევად ბევრს და მონდომებით ვარჯიშობს.

*"ნიქსში" რამდენიმე წელიწადი ვთამაშობდი და ვიცი, როგორ აქტიურად ქომაგობენ გუნდს ფანები. სხვაგან ასეთი რამ არ მინახავს. მარტო ამის გამო ღირს კალათბურთში დაბრუნება"*, - განაცხადა 37 წლის ჰიუსტონმა, რომელმაც შარშანაც სცადა კარიერის განახლება, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა, რადგან მიხვდა, რომ მისი ფიზიკური ფორმა არ შეესაბამებოდა NBA-ის მოთხოვნებს.

ასოციაციაში ჰიუსტონი ორი გუნდის - "დეტროიტისა" (1993-96) და "ნიუ იორკის" (1996-2005) ღირსებას იცავდა. 2000 წელს, სიდნეიში ამერიკის ნაკრებთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

**გია თვალაბეიშვილი**

## TV სპორტი

**12 ივნისი. ხუთშაბათი**

**რუსთავი 2**

**19:30** ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
**20:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-ხორვატია (LIVE).
**22:45** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-პოლონეთი (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**10:00** საფეხბურთო კლუბი.
**10:45** ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. ჩეხეთი-პორტუგალია.
**12:55** საფეხბურთო კლუბი.
**13:30** ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-თურქეთი.
**15:40** საფეხბურთო კლუბი.
**16:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:50** ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. ჩეხეთი-პორტუგალია.
**19:00** საფეხბურთო კლუბი.
**19:45** ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-ხორვატია (LIVE).
**21:55** საფეხბურთო კლუბი.
**22:30** ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-პოლონეთი (LIVE).
**00:40** საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:30** ცურვა. Mare Nostrum. მონტე კარლო.
**09:05** სპორტდოსიე. ხელბურთი.
**09:30** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
**10:00** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**10:30** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-ჩეხეთი.
**12:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-ფიორენტინა.
**13:55** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-თურქეთი.
**15:40** ფეხბურთი. Barca TV.
**15:50** ცურვა. Mare Nostrum. ბარსელონა. ესპანეთი.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**18:30** ფეხბურთი. ევრო 2008.
**20:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანტა-ხორვატია (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**22:45** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-პოლონეთი (LIVE).
**00:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-ფიორენტინა.
**03:30** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-ჩეხეთი.
**05:15** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-თურქეთი.

**EUROSPORT**

**10:30** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**11:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**11:30** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-ხორვატია.
**13:30** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-პოლონეთი.
**15:30** ფეხბურთი. ევრო 2008.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**17:30** ველოსპორტი. პრო ტური. კრიტერიუმ დოფინე ლიბერე. IV ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
**18:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**19:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
**19:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:45** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ოსტრავა. ჩეხეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
**22:15** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ოსტრავა. ჩეხეთი (LIVE).
**23:00** პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი.
**00:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
**01:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
**01:30** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-ჩეხეთი.

**EUROSPORT-2**

**09:00** ახალი ამბები.
**09:15** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-პოლონეთი.
**11:00** ახალი ამბები.
**12:00** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. კვალიფიკაცია. საფრანგეთი.
**13:00** რაგბი. IRB-ის ერთა თასი. რუმინეთი-ურუგვაი. რუმინეთი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-ხორვატია.
**17:45** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-პოლონეთი.
**19:30** ახალი ამბები.
**20:00** ექსტრემალური სპორტი.
**21:00** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. კვალიფიკაცია. საფრანგეთი (LIVE).
**23:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
**23:30** არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. იუტა-ლოს ანჯელესი.
**00:00** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. კვალიფიკაცია. საფრანგეთი (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია (LIVE).
**02:15** ახალი ამბები.
**03:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
**03:45** ახალი ამბები.
**04:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
**04:45** ახალი ამბები.
**05:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
**05:45** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| იტალია. სერია B. პლეიოფი | |
|---|---|
| ალბინოლეფე-ლეჩე | 0:1 |

| ისლანდია | |
|---|---|
| ფიოლნირი-ფილკირი | 1:0 |

| შვედეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| სირიუსი-ვასბი | 1:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ჰალე | |
|---|---|
| ბერდიხი-სიოდერლინგი | 2:6, 5:7 |
| კოლშრაიბერი-ჰაასი | 7:5, 5:7, 7:6 |
| ზვერევი-ბეკი | 7:6, 6:7, 1:6 |
| ფედერერი-ბერერი | 6:4, 6:2 |
| ბლეიკი-ბეკერი | 4:6, 7:5, 6:3 |

| ATP. ლონდონი | |
|---|---|
| გასკე-ბოლელი | 6:3, 6:3 |
| ნიშიკორი-პატიენსი | 7:6, 6:3 |
| როდიკი-ჯინეპრი | 6:7, 6:1, 6:1 |
| ფიში-გუჩიონე | 4:6, 7:6, 6:4 |
| ჰიუიტი-მალისე | 6:3, 6:2 |
| ნადალი-ბიორკმანი | 6:2, 6:2 |
| გულბისი-სეპი | 6:3, 6:7, 6:3 |
| გონსალესი-საფინი | 6:3, 7:6 |
| ჯოკოვიჩი-კარანუშიჩი | 6:2, 7:6 |
| ტიპსარევიჩი-მინარი | 3:6, 6:3, 6:4 |
| მაიუ-ისნერი | 7:5, 6:4 |
| ნალბანდიანი-ტროიცკი | 6:4, 7:6 |

| ATP. ვარშავა | |
|---|---|
| გრანოლერსი-დანიელი | 6:2, 6:4 |
| სტარაჩე-კოროლიოვი | 5:7, 0:6 |
| დავიდენკო-ვანეკი | 4:6, 7:5, 6:1 |
| მონაკო-სერა | 7:5, 6:3 |

| WTA. ბარსელონა | |
|---|---|
| მარტინეს სანჩესი-პარმენტიე | 6:2, 6:4 |
| რიბარიკოვა-კოენ ალორო | 6:7, 0:6 |
| ერანი-ლეპჩენკო | 6:4, 7:5 |
| ლ. ვივესი-კომპოსტისოდე | 6:3, 6:0 |

| WTA. ბირმინგემი | |
|---|---|
| კირსტეა-ნაკამურა | 4:6, 6:4, 4:6 |
| შვედოვა-ო'ბრაიენი | 7:5, 1:6, 7:5 |
| დელაკუა-ვიკმაიერი | 2:6, 6:3, 3:6 |
| ა. ბონდარენკო-რ. პასკუალი | 7:6, 3:6, 7:5 |
| გოვორცოვა-ჩინკი | 3:6, 6:7 |
| ერაკოვიჩი-მირზა | 6:3, 6:0 |
| კავადაი-რაო | 6:4, 3:6, 1:6 |
| ბარტოლი-ჩეტკოვსკა | 7:5, 4:6, 0:6 |
| სტოსური-კ. ბონდარენკო | 3:6, 2:6 |
| დომახოვსკა-პინი | 4:6, 2:6 |
| ვაიდიშოვა-დეში | 6:1, 6:3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი

# კიმი ბრუნდება?



სენსაციური ინფორმაცია გამოქვეყნდა ბელგიურ გაზეთ De Standaard-ში. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **კიმ კლაისტერსი** დიდ სპორტში დაბრუნებისთვის ემზადება. სხვა დეტალებს ეს გამოცემა არ იტყობინება. სამაგიეროდ, ეს ამბავი ამერიკელმა **ლინდსი დავენპორტმა** განავრცო, რომელმაც განაცხადა, რომ კიმმა მასთან პირად საუბარში გამოთქვა კორტზე დაბრუნების სურვილი.

ბელგიელს გასულ კვირას შეუსრულდა 25 წელი. კიმმა დაახლოებით ერთი წლით დაანება ჩოგბურთს თავი, ამერიკელ კალათბურთელს გაჰყვა ცოლად და შვილიც გააჩინა. კლაისტერსის ანგარიშზე ერთეულთა 34 და წყვილთა თანრიგის 11 ტიტული მოდის. "დიდი სლემის" ტურნირებზე მან ერთხელ გაიმარჯვა - ეს მოხდა 2005 წელს, ამერიკის ღია პირველობაზე.

გია თვალაბეიშვილი

# მავნებელი ჩოგბურთი



გუშინ, ლივერპულში საინტერესო საჩვენებელი ტურნირი დაიწყო, რომელშიც მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მარტინა ჰინგისი** მიიღებს მონაწილეობას. სტარტის წინ, შვეიცარიელმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც დაწვრილებით ისაუბრა იმის შესახებ, რომ WTA-ს ტურში გამოსვლა ახალგაზრდა ჩოგბურთელებს ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევს.

*"ყველას ჰგონია, რომ ჩოგბურთი ფუფუნებით ცხოვრების საშუალებას იძლევა. ეს გარკვეულწილად მართალია, მაგრამ ამავდროულად, ჩოგბურთი ძალიან ბევრს გვართმევს. მთელი წლის განმავლობაში კონტინენტიდან კონტინენტზე, ქალაქიდან ქალაქში გაუთავებელი მოგზაურობები მთლიანად ფიტავს სპორტსმენს,* - ამბობს ჰინგისი. *- რა თქმა უნდა, თუ კარგად თამაშობ და მწვერვალზე იმყოფები, საკუთარ თავს ბევრი რამის უფლების აძლევ, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს - იმისთვის, რომ საუკეთესო იყო, თითქმის ყველაფერი უნდა გაილო მსხვერპლად. მოზარდის ასაკის პერიოდი, პრაქტიკულად, არ არსებობს და გოგონები ძალიან სწრაფად ყალიბდებიან ზრდასრულ ქალებად. 20 წლის ასაკისთვის, მათ ქალთა ტურში მოღვაწეობის ათწლიანი სტაჟი გააჩნიათ".*

პრესკონფერენციაზე ჰინგისმა თავის მომავალ გეგმებზეც ისაუბრა: *"ჩოგბურთისგან ძველებურად დიდ სიამოვნებას ვიღებ. კარგ ფორმაში ვარ და საჩვენებელ ტურნირებში ხშირად მივიღებ მონაწილეობას".*

გია თვალაბეიშვილი

ჩოგბურთი

# ანას ერთგული მწვრთნელები

უცნაური ამბები ხდებოდა პარიზში, ტრიუმფალური თაღის ქვეშ, როლან გაროსზე **ანა ივანოვიჩის** გამარჯვების შემდეგ. სერბი ჩოგბურთელის სამწვრთნელო შტაბმა სპორტსმენისთვის მიცემული დაპირება შეასრულა და... დანარჩენს სურათზეც კარგად ხედავთ.



როგორც ივანოვიჩის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, ფიზმომზადების მწვრთნელი **სკოტ ბერნსი**, კონსულტანტი **სვენ გრონეფელდი**, მოწოდების მწვრთნელი **მარჩინ როჟპედსკი** და აგრეთვე ჩოგბურთელის ძმა - **მილოში**, ანას ვარდისფერ სათამაშო კაბებში გამოეწყვნენ და ასე ჩაირბინეს ტრიუმფალური თაღის სიახლოვეს. მათ პირობა ჰქონდათ დადებული, თუ ივანოვიჩი როლან გაროსს მოიგებდა, ყველა მათგანი ჩოგბურთელის სათამაშო ფორმას მოირგებდა.

გია თვალაბეიშვილი

კრივი

# როკმენი ტაისონი

ცნობილი როკ-ჯგუფის, The Killers-ის წევრები საინტერესო პროექტის განხორციელებას აპირებენ. როკმენებმა სინგლის ჩასაწერად ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე, **მაიკ ტაისონი** მიიწვიეს. გარდა ამისა, მუსიკოსები აცხადებენ, რომ "რკინის მაიკთან" ერთად სიამოვნებით იმღერებენ რომელიმე საზაფხულო როკ-ფესტივალზე.



*"ტაისონი ლას-ვეგასის ერთ-ერთ კლუბში გავიცანით. ერთმანეთს შევხედეთ და მივხვდით, რომ ეს ერთი ნახვით შეყვარება იყო. გაცნობის შემდეგ, დამსწრე აუდიტორია ცოტათი გავანვალეთ უიტნი ჰიუსტონის სიმღერის - I Wanna Dance With Somebody-ის ჯგუფური შესრულებით. და უნდა ვაღიარო - მაიკი შესანიშნავად მღერის! სწორედ ამის შემდეგ დაგვებადა მასთან თანამშრომლობის იდეა",* - განაცხადა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, **რონი ვანუჩიმ.**

გია თვალაბეიშვილი

ავტოსპორტი

# ქერათმიანი ზაუბერი

კანადის გრან-პრის ტრიუმფატორის, BMW Sauber-ის ყოფილი შეფი **პეტერ ზაუბერი** უახლოეს დღეებში თავის დანაპირებს შეასრულებს - მან ქერად უნდა შეიღებოს თმები.



64 წლის შვეიცარიელმა ეს პირობა ორი წლის წინათ დადო, როცა "ზაუბერის" საკონტროლო აქციათა პაკეტი გერმანულ კონცერნ BMW-ს მიჰყიდა. მაშინ საჯინიბოს საქმეები იმდენად ცუდად მიდიოდა, რომ თავად ბიზნესმენმა და გუნდის სხვა წევრებმა ეს დანაპირები ხუმრობად აღიქვეს. მაგრამ სულ რაღაც 42 რბოლაში, BMW-ს ფინანსური და ტექნიკური ძალის წყალობით, გუნდმა მონრეალში დუბლი შეასრულა და პეტერ ზაუბერს ისღა დარჩენია დანაპირები შეასრულოს - თმები ქერად შეიღებოს.

შეგახსენებთ, რომ ფორმულა 1-ში "ზაუბერი" 1993-2005 წლებში გამოდიოდა. 200-ზე მეტ რბოლაში მისმა პილოტებმა 195 ქულა დააგროვეს და ექვსჯერ ავიდნენ პოდიუმზე, მაგრამ "ზაუბერის" კოლექციაში არცერთი გამარჯვება არ ყოფილა. ამ გუნდში ბევრ ცნობილ პილოტს დაუწყია კარიერა: **ჟან ალეზი, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი, ნიკ ჰაიდფელდი, ფელიპე მასა, კიმი რაიკონენი...**

სეზონის წინ, BMW-ის ხელმძღვანელები აცხადებდნენ, რომ გუნდის მთავარი მიზანი ერთი გრან პრის მოგება იქნებოდა. ეს ამოცანა მიღწეულია. გარდა ამისა, კანადის გრან პრის შემდეგ, პირად ჩათვლას სათავეში ჩაუდგა პოლონელი **რობერტ კუბიცა.**

გია თვალაბეიშვილი

ფეხბურთი. ევრო 2008

# ევროფანები





